ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ორშაბათი, 8 ივნისი, 2009 №26 (3519) | ფასი 1 ლარი


# გინდ იცინეთ, გინდ იტირეთ

## რატომ გადაგვექცა სტადიონი ოცნებების სასაფლაოდ?!




როცა ქართველ კაცს ასეთი რამის გაკეთება მოაფიქრდება, იქ მართლა ვერ არის საქმე კარგად.

ერთ კონკრეტულ კაცზეც ხომ არ არის ლაპარაკი — უკვე მარაზმი ხდება საქართველოს ეროვნული ნაკრების თამაშების ყურება და ამას სარკისებურად ირეკლავს ქომაგი. უკლებლივ ყველა, ვისაც გული შესტკივა ქართულ ფეხბურთზე.

ფეხბურთიც ხომ იმიტომაა ფეხბურთი, რომ ის არც ახალკაცისაა, არც კუპერის, არც რამიშვილის, არც პეტრესი და არც პავლესი.

ფეხბურთი ხალხისაა, მაგრამ...

# სადაა ფეხბურთი?!



# არ ვნანობ!

## გია გრიგალაშვა: რა თქმა უნდა, ჩემი გადაწყვეტილება საქართველოში დადებით რეაქციას ვერ გამოიწვევს

# ფედერ-ერა დაბრუნდა!





## რუსული ფინალი კუზნეცოვამ მოიგო

**ზაფხულში სარბიელი იქნება 24-გვერდიანი**

ერთწლიანი პაუზის შემდეგ „მილანი“ ისევ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგაში და ამ ამბავმა ძალიან გაახარა კახა კალაძე. მილანელთა ქართველი მცველი ტრავმას იშუშებს და ჯერაც ვერ ვარჯიშობს სრული დატვირთვით, თუმცა წესით, გუნდს პირველივე შეკრებაზე უნდა გაჰყვეს...



# ანჩელოტისთან უთანხმოება კი არა, დისკუსია მქონდა

„ბედნიერი ვარ, რომ კვლავ მომიწევს ჩემპიონთა ლიგაში თამაში. ახლა მთავარია, კარგად მოვემზადოთ ახალი სეზონისთვის“ — განუცხადა კალაძემ საკუთარ ვებგვერდს და აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ მას ინგლისური „ლივერპული“ ეპატიჟებოდა, თუმცა საქმე ამის იქით აღარ წასულა.

რაც შეეხება „მილანიდან“ კარლო ანჩელოტის წასვლას და მის ნაცვლად ლეონარდოს დანიშვნას, კალაძე ამ ამბავსაც კმაყოფილებით შეხვდა...

„ანჩელოტი კარგი ადამიანი და კარგი მწვრთნელია. მან ბევრი რამ შესძინა „მილანს“ და ეს დასაფასებელია. ხშირად იწერებოდა მასთან ჩემი უთანხმოების შესახებ, მაგრამ რომელ სამსახურში არ იმართება დისკუსიები? თუ ჩვენს შორის ოდესმე რაიმე მომხდარა, ყოველთვის გონივრულად გადაწყვეტილა. და რაც შეეხება ახალ მწვრთნელს: სიამოვნებით მივესალმები ლეონარდოს!“

**კახა შალამბერიძე**

# ღვინიანიძე უბრალოა!



**გერმანული** „მიუნხენ 1860“-ის ქართველი მცველი მათე ღვინიანიძე, საბედნიეროდ, იოლად გამოძვრა სკანდალიდან.

გეხსომებათ, მათეს მავანი გოგონას გაუპატიურება ბრალდებოდა და საქმეს გერმანიის პროკურატურა იძიებდა, თუმცა ქართველ ფეხბურთელს ბრალი არ დაუმტკიცდა.

გერმანული წყაროების ცნობით, გოგონა ღვინიანიძის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელით ხმაურის ატეხვას და პოპულარობის მოპოვებას ცდილობდა.

შეგახსენებთ, რომ ღვინიანიძე 31 მაისს დაიბარეს პოლიციაში და დაკითხეს, თუმცა მალევე გაათავისუფლეს...

**კახა შალამბერიძე**

# დინამო დღეიდან იწყებს

**დღეს** თბილისის „დინამო“ დილმის ბაზაზე შეიკრიბება და საახალსეზონო მზადებასაც დაიწყებს.

საქართველოს თასის მფლობელები უეფას ევროპის ლიგის გათამაშება ელით და ალბათ ტრანსფერებითაც გამოიჩენს თავს.

„დინამო“ უკვე დატოვა მეკარე დიდიე ოვონომ. სავარაუდოდ, წავა ჩერნოგორიელი ნახევარმცველი დანილო ტომიჩიც, თუმცა ასეთ სიახლეებს რამდენიმე დღეში უფრო დეტალურად შევიტყობთ.

„დინამო“ თვის ბოლომდე ორჯერად ვარჯიშებს ჩაატარებს, მერე კი გერმანიაში გაემგზავრება შეკრებაზე.

**ოთარ მხეიძე**

# ზესტაფონი ძლიერდება



თორნიკე აფციაური



ზაალ ელიავა



კახა მეშველიანი

**„ზესტაფონმა“** ყველაზე ადრე, 31 მაისს დაიწყო საახალსეზონოდ მზადება.

იმერული გუნდი თბილისში შეიკრიბა და სამედიცინო შემოწმება გაიარა, ვარჯიშით კი ზესტაფონში ვარჯიშობს.

12-27 ივნისს გია გეგუჩაძე შეგირდებს სლოვენიაში წაიყვანს შეკრებაზე და მას შემდეგ, რაც უეფას ევროპის ლიგის წილისყრის შედეგებს შეიტყობს, გეგმებში ცვლილებებსაც შეიტანს — თუ ფეროელებს პირველი მატჩი სტუმრად ექნათ, შესაძლოა, შეკრებაზე ყოფნა გაიხანგრძლივონ და პირდაპირ სლოვენიიდან გაემგზავრნონ სათამაშოდ.

ვარჯიშთან ერთად „ზესტაფონმა“ ტრანსფერებსაც პირველმა მიხედა და უკვე სამი ახალწვეული ჰყავს — აზერბაიჯანული „გაბალადან“ ნახევარმცველი თორნიკე აფციაური გადმოიბირა, თბილისის „ლოკომოტივიდან“ მცველი ზაალ ელიავა, ხოლო ქუთაისის ბავშვთა გუნდ „კოლხიდადან“ მეკარე კახა მეშველიანი.

აფციაურმა იმერულ კლუბთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, ელიავამ — ერთწლიანი, ხოლო მეშველიანმა — ხუთწლიანი.

გარდა ამისა, „ზესტაფონი“ აქტიურად მუშაობს ლატვიური „ვენტსპილსიდან“ ზურაბ მენთეშაშვილისა და მოლდოვური „დაჩიადან“ ჯაბა დვალის გადმოყვანაზე.

რაც შეეხება ოლიმპელ გიორგი ონიანსა და სკონტოელ დავით გამეზარდაშვილს — ეს ტრანსფერები ალბათ ველარ განხორციელდება.

და ერთიც: „ზესტაფონი“ დატოვეს თავდამსხმელმა მიხეილ კაკალაძემ და ნახევარმცველმა გიორგი კვესიეშვილმა.

**კახა შალამბერიძე**

# ახალი ტურნირი ავაზაში დაიბადა

**ჯგუფ** „SBM Georgia“-ს ორგანიზებით ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა უკვე ვნახეთ და შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ასეთი წარმატებული პროექტი საქართველოში იშვიათობაა, ახლა კი ეს კომპანია „ალგორითმთან“ ერთად ახალ ტურნირს შეეჭიდა.

LG CUP-ის გათამაშება გუშინ დაიწყო „ავაზას“ ხელოვნურსაფარიან მოედანზე და ამ ტურნირში ისეთი ცნობილი ვეტერანები თამაშობენ, გოჩა ჯამარაული, ლევან ხომერიკი, მიხეილ ჯიშკარიანი და სხვები რომ გახლავან.

პირველი ტურის ტექნიკურ შედეგებს აქვე შეგიძლიათ გაეცნოთ, ჩვენ კი გეტყვით, რომ დღეს მეორე ტურია და ვფიქრობთ, ფეხბურთის გულშემატკივარს კარგი საშუალება ეძლევა, თვალი შეავლოს ვეტერან ფეხბურთელთა თამაშებს.

ჯგუფებიდან ორ-ორი საუკეთესო გავა ნახევარფინალში.

ორგანიზატორებს ბლომად პრიზები აქვთ დაწესებული და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები „ავაზას“ მოედანზე...

როგორც შევიტყვეთ, LG CUP ტრადიციული გახდება და ყოველწლიურად ჩატარდება.

**ლუკა თალაკვაძე**

**პირველი არხი 2:1 ინტერპლასტი**
1:0 დვალიშვილი (23), 2:0 ალთუნაშვილი (28), 2:1 თიგიშვილი (37)

**აფხაზეთი 2:6 ალგორითმი**
0:1, 0:2 კვიტაიშვილი (5, 8), 1:2 ჯიშკარიანი (11), 2:2 ჯელაძე (22), 2:3 ჩანთლაძე (25), 2:4 მაყაშვილი (26), 2:5, 2:6 კვიტაიშვილი (27, 32)

**ნატახტარი 2:4 ვეტერანები**
1:0 რევაზიშვილი (11), 1:1 ხომერიკი (23), 2:1 რევაზიშვილი (30), 2:2 ხომერიკი (31), 2:3, 2:4 ჯამარაული (35, 36)

**მაგთი — დეპარტამენტი**
უამინდობის გამო გადაიდო

| A ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალგორითმი | 1 | 1 | 0 | 0 | 6:2 | 3 |
| პირველი არხი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ინტერპლასტი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| აფხაზეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:6 | 0 |

| B ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვეტერანები | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| დეპარტამენტი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 3 |
| მაგთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ნატახტარი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |

| | |
|---|---|
| **II ტური** | |
| **8 ივნისი, ორშაბათი** | |
| 19.00 | პირველი არხი — აფხაზეთი |
| 20.00 | ალგორითმი — ინტერპლასტი |
| 21.00 | ნატახტარი — მაგთი |
| 22.00 | დეპარტამენტი — ვეტერანები |
| **III ტური** | |
| **10 ივნისი, ოთხშაბათი** | |
| 19.00 | ინტერპლასტი — აფხაზეთი |
| 20.00 | ნატახტარი — დეპარტამენტი |
| 21.00 | ვეტერანები — მაგთი |
| 22.00 | პირველი არხი — ალგორითმი |
| **ნახევარფინალი** | |
| **12 ივნისი, პარასკევი** | |
| 20.00 | A1 — B2 |
| 21.00 | B1 — A2 |
| **ფინალი** | |
| **14 ივნისი, კვირა** | |
| 20.00 | |

სარბიელელები 60 წლის იუბილეს ვულოცავთ აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მურად ანჯაფარიძეს!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია 60 წლის იუბილეს ულოცავს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მურად ანჯაფარიძეს!

სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაცია 60 წლის იუბილეს ულოცავს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მურად ანჯაფარიძეს!

იმერეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაცია და საფეხბურთო კლუბი „ტორპედო 2008“ მწუხარებით იუწყებიან, რომ დაიღუპა „ნორჩი ტორპედოს“ ფეხბურთელი
**მიხეილ ტოფაძე**
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

# არ ვნანობ!

## გია გრიგალავა: რა თქმა უნდა, ჩემი გადაწყვეტილება საქართველოში დადებით რეაქციას ვერ გამოიწვევს

მტკივნეული თემაა: გია გრიგალავამ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ რუსეთის ნაკრებში ითამაშებს! უკვე მერამდენე ქართველია, უცხო ქვეყანას რომ აფარებს თავს და ამ ამბავში უფრო სამწუხარო ისაა, რომ გრიგალავამ რუსეთის ნაკრები არჩია — გუნდი იმ ქვეყნისა, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ ქართულ მიწებს ბომბავდა... რა უნდა ვთქვათ; ძნელი და სათუთია ამ თემაზე რაღაც დასკვნების გაკეთება, რადგან ბოლო-ბოლო მეორე მხარეც ხომ არსებობს და ეს მეორე მხარე თავად ფეხბურთელია. ბუნებრივია, წარმოშობით მარტვილელ და ქუთაისში წამოზრდილ ფეხბურთელსაც ექნება თავისი მიზეზები და მოდით, ახლა სწორედ გია გრიგალავას მოვუსმინოთ. ინტერვიუ მას შემდეგ ჩავწერეთ, რაც გიამ მოსკოვის „დინამოს" სარეზერვო გუნდის წინააღმდეგ გამართულ ამხანაგურ მატჩში პირველად მოირგო რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მაისურა...



— რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში მოგიწვიეს და შენც თანხმობა განაცხადე. დიდხანს იფიქრე ამ ნაბიჯის გადადგმაზე?

— კი, გამომიძახეს და უკვე ამხანაგურ მატჩშიც ვითამაშე. რა თქმა უნდა, ადვილი არ იყო ასეთი გადაწყვეტილების მიღება, თუმცა უკვე გადავწყვიტე, რომ რუსეთის ნაკრებში ვითამაშებ.

— ანუ ეს გადაწყვეტილება საბოლოოა?

— ასე გამოდის. ახლა თუ ვითამაშებ ოფიციალურ მატჩში, მერე ხომ ისედაც აღარ შემეძლება სხვაგვარად მოქცევა.

— თავად გადაწყვიტე ასე თუ იყო გარკვეული ზეწოლა რუსული მხრიდან?

— როგორ გითხრათ... საქართველოს მოქალაქეობა რომ მიმეღო, „მოსკვაში" ლეგიონერად ჩავითვლებოდი. თან ახლა ამ გუნდში ოჯარით ვარ, ანუ ჯერ კიდევ დასამტკიცებელი მაქვს ჩემი შესაძლებლობები და ზედმეტი ლეგიონერი კიდევ დღეს არავის სჭირდება — ხომ ხედავთ, ყოველ წელს ამცირებენ უკვე ლეგიონერების რაოდენობას. ამ ყველაფრის გამო გადავწყვიტე რუსეთის ნაკრებში თამაში. ასე უფრო უკეთ შევძლებ წინსვლას. თქვენ კი, ჟურნალისტებს, დიდი მადლობა მინდა გითხრათ, რომ ყურადღებას მაქცევდით.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან და ნაკრებიდან ამ ბოლო ხანებში არავინ შეგხმიანებია?

— მიკავშირდებოდნენ ხოლმე, მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვით, ეს როდის იყო.

— ხომ არ ნანობ გადაწყვეტილებას?

— არა, არ ვნანობ. ყველაფერი კარგადაა...

— დიდი ხანი იყო იმაზე ლაპარაკი, თუ რომელ ნაკრებს აირჩევდი. დროს განგებ ჭიმავდი თუ, უბრალოდ, ასე დაემთხვა?

— არა, ფიქრით მართლა დიდხანს ვიფიქრე. განგებ არაფერი გამიკეთებია. უბრალოდ, ასე გამოვიდა, რომ დიდი დრო დამჭირდა გადაწყვეტილების მისაღებად.

— და მაინც: რა იყო ყველაზე მთავარი მიზეზი, რის გამოც მიიღე ეს გადაწყვეტილება? უკეთესი პერსპექტივა?

— უკეთესი პერსპექტივაც და ისიც, რომ კლუბში არ უნდოდათ, ლეგიონერი ვყოფილიყავი.

— როგორც ვიცი, მამაშენს ძალიან სურდა, რომ საქართველოს ნაკრებში გეთამაშა და საინტერესოა, მთლიანად შენი ოჯახი როგორ შეხვდა ამ გადაწყვეტილებას?

— კი, მამაჩემს მართლა ძალიან უნდოდა, ასე მომხდარიყო, მაგრამ... რას ვიზამთ...

— როგორ ფიქრობ, იმ ქვეყნის ნაკრებში თამაში, რომელიც რამდენიმე თვის წინ შენს სამშობლოს ბომბავდა, როგორ რეაქციას გამოიწვევს საქართველოში? რა შეგიძლია უთხრა ქართველ გულშემატკივრებს, რომლებსაც ძალიან უნდოდათ, რომ ჩვენს ეროვნულ გუნდში გეთამაშა?

— რა ვიცი, რა ვთქვა... რა თქმა უნდა, კარგ და დადებით რეაქციას ნაღდად ვერ გამოიწვევს ჩემი ეს გადაწყვეტილება...

— და ერთიც: დავუშვათ, რუსეთის ნაკრები საქართველოს შეხვდა და იმ დროს შენც რუსეთის ნაკრებში ხარ გამოძახებული. როგორი შეგრძნება გექნება? ჩვეულებრივად ითამაშებ?

— ამ კითხვაზე ჯერ ვერ გიპასუხებთ...

— კეთილი. მადლობა და წარმატებებს გისურვებ!

— პირიქით, თქვენც მადლობა.

**კახა შალამბერიძე**



## ლუჭაშვილი დინაბურგში

**თბილისის** „ვიტ ჯორჯიას" ყოფილი თავდამსხმელი ვასილ ლუჭაშვილი ლატვიურ „დინაბურგში" გადავიდა.

ლუჭაშვილი „დინაბურგში" ფიფას აგენტ ალექსანდრე რეხვიაშვილის დახმარებით მოხვდა.

შეგახსენებთ, რომ თამაზ პერტიას გუნდში კიდევ ერთი ქართველი ირიცხება — ირაკლი ქორთუა, ვინც ადრე კიევის „დინამოს" ასაკობრივ გუნდებში თამაშობდა.

**ოთარ მხეიძე**

## მეორე ლიგა

### აღმოსავლეთი

იმედი 2:0 ალგეთი
სპარტაკი 2 3:1 გარეჯი
იბსუ 7:1 ერთობა
ამერი 2 3:0 ალაზანი
35-ე სკოლა 1:0 ზოოვეტი
ლოკომოტივი 2 6:0 ჰერეთი 2
არაგველები 0:3 ლიახვი
ნ. დინამო 2 0:3 სამგორი
დუშეთი 3:0 ბორჯომი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 2 | 33 | 23 | 5 | 5 | 88:30 | 74 |
| იბსუ | 33 | 23 | 2 | 8 | 93:43 | 71 |
| ამერი 2 | 33 | 21 | 5 | 7 | 59:25 | 68 |
| სპარტაკი 2 | 33 | 19 | 7 | 7 | 73:36 | 64 |
| ლიახვი | 33 | 19 | 4 | 10 | 70:47 | 61 |
| დუშეთი | 33 | 18 | 6 | 9 | 62:38 | 60 |
| 35-ე სკოლა | 33 | 18 | 5 | 10 | 66:51 | 59 |
| გარეჯი | 33 | 16 | 6 | 11 | 54:40 | 54 |
| ჰერეთი 2 | 33 | 14 | 4 | 15 | 58:53 | 46 |
| სამგორი | 33 | 12 | 8 | 18 | 66:59 | 44 |
| იმედი (რ) | 33 | 10 | 8 | 15 | 41:58 | 38 |
| ალგეთი | 33 | 10 | 7 | 16 | 42:68 | 37 |
| არაგველები | 33 | 10 | 6 | 17 | 37:53 | 36 |
| ალაზანი | 33 | 10 | 3 | 20 | 33:53 | 33 |
| ერთობა | 33 | 10 | 3 | 20 | 40:80 | 33 |
| ზოოვეტი | 33 | 9 | 6 | 18 | 39:63 | 33 |
| ბორჯომი 2 | 33 | 7 | 1 | 25 | 23:82 | 22 |
| ნ. დინამო 2 | 33 | 3 | 4 | 26 | 20:85 | 13 |

### დასავლეთი

ჭიათურა 2 0:3 ტორპედო 2
კოლხეთი 2 3:0 ნ. ტორპედო
მერცხალი 3:0 მარგვეთი
მერანი 2 0:0 სქური
იმერეთი 5:2 გურია 2
ბაია 2 3:3 ადელი

გადმოტანილი მატჩი

ტორპედო 2 0:0 მერცხალი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 24 | 17 | 7 | 0 | 46:13 | 58 |
| იმერეთი | 23 | 14 | 1 | 8 | 41:29 | 43 |
| ბაია 2 | 24 | 12 | 7 | 5 | 51:30 | 43 |
| კოლხეთი 2 | 23 | 12 | 3 | 8 | 37:24 | 39 |
| მერანი 2 (მ) | 23 | 11 | 5 | 7 | 32:23 | 38 |
| სამტრედია 2 | 23 | 9 | 6 | 8 | 27:24 | 33 |
| გურია 2 | 23 | 9 | 4 | 10 | 43:39 | 31 |
| ტორპედო 2 | 23 | 8 | 5 | 11 | 35:40 | 29 |
| მარგვეთი | 23 | 8 | 5 | 10 | 30:41 | 29 |
| ნ. ტორპედო | 23 | 8 | 2 | 13 | 27:35 | 26 |
| ადელი | 23 | 7 | 5 | 11 | 33:43 | 26 |
| სქური | 23 | 5 | 4 | 14 | 23:40 | 19 |
| ჭიათურა 2 | 23 | 4 | 0 | 19 | 17:61 | 12 |

„ჭიათურა 2" მოხსნილია გათამაშებიდან



## ასათიანი ლოკომოტივს შეცვლაზე დაუბრუნდა

**მალხაზ ასათიანმა** გუშინ პირველი მატჩი ჩაატარა მოსკოვის „ლოკომოტივში".

კიევის „დინამოდან" რკინიგზულ გუნდში დაბრუნებული ქართველი მცველი „ხიმკისთან" ამხანაგურ მატჩში 76-ე წუთზე შევიდა მოედანზე და მოსკოველებმაც ერთადერთი ბურთი ამის შემდეგ გაიტანეს — „ლოკომოტივმა" 1:0 მოიგო.

ამ მატჩში შესვენების შემდეგ ითამაშა დავით მუჯირმა.

აქვე ვთქვათ, რომ ასათიანის დარად, ეს შეხვედრა პირველი იყო მწვრთნელ იური სიომინისთვისაც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამხანაგური მატჩი

# ეს ნაკრებია თუ კრებული?

„საქართველოს ნაკრებში საბრძოლო სულისკვეთება არ შეინიშნებოდა" — მწვრთნელი რომ ამ სიტყვებს იტყვის, იქ ყველაფერი გარკვეულია.

ჰექტორ რაულ კუპერი ვეღარ ერევა სიტუაციას და თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია წინ იხედება, უკვე დროა, ახალ კანდიდატებზე დაიწყოს მუშაობა.

არ გეგონოთ, მოლდოვასთან წაგებას კუპერს ვაბრალებდეთ. უფრო სწორად, მთლიანად ვაბრალებდეთ, თორემ მორიგ სანაკრებო სირცხვილში მისი დიდი წვლილიც რომ ურევია, საკამათო არ უნდა იყოს.

სამწუხაროდ, ისევ გრძელდება გაუგებარი კვალიფიკაციის ფეხბურთელთა ნაკრებში მიწვევა. რამდენი მწვრთნელი გამოიცვალა საქართველოს ნაკრებმა და თითქმის ყველას მიმართ ჩნდებოდა ასეთი კითხვები, მაგრამ კუპერის ხელში რაოდენობამ მკვეთრად იმატა.

ალბათ მოგბეზრდათ კიდეც იმ გვარების ჩამოთვლა, რომლებსაც დღემდე უიმედოდ ელის ქართველი ქომაგი...

ჩვენთვის ახლაც გაუგებარია, რატომ მოიწვია კუპერმა მალხაზ ასათიანი; ასეთი რა პადკატი გააკეთა ვარჯიშზე გოგიტა გოგუამ; რატომ არ ეღირსა გამოძახება ალექსანდრე ამისულაშვილს; რითი სჯობია რომელიმე უპრაქტიკო ფეხბურთელი „შტურმის" ლიდერად ჩამოყალიბებულ ილია კანდელაკს; ვის რა დაუშავა ასეთი რუსული პრემიერლიგის საუკეთესო დრიბლიორად მიჩნეულმა ლევან გვაზავამ; რატომ ჯობია ფლანგელ ნახევარმცველად თავდამსხმელის ან მცველის დაყენება, როცა სანდრო გურული გვყავს; რა გახდა ერთ უბრალო ამხანაგურ მატჩში გიორგი ადამიას გამოცდა...

კიდევ გავაგრძელოთ?

რა აზრი აქვს, წინასწარ ვიცით, რა პასუხსაც მივიღებთ ამ კითხვებზე — „მწვრთნელის კომპეტენციაში ვერ ჩავერევით", „კუპერმა თავად იცის, ვინ სჭირდება და ვინ არა", „ფეხბურთელს სხვის ნაცვლად ჩვენ ვერ გამოვიძახებთ"...

კი მაგრამ, შედეგი? აბა, რისთვის ვთამაშობთ ფეხბურთს? მხოლოდ მონაწილეობისთვის?

სადაცაა, ერთი წელი შესრულდება, რაც ჰექტორ რაულ კუპერი საქართველოს ნაკრებს ჩაუდგა სათავეში და მხოლოდ პირველ მატჩში შეძლო მოგება.

ესეც გარკვეულ ირონიას იწვევს — არავინ თქვას, კუპერი იმდენად ძლიერია, რომ ერთ დღეში შეძლო მკვდარის გაცოცხლება და უელსის დამარცხებაო...

პო, ფეხბურთელები არ გვყავსო...

აბა, ჩვენ რა გვარები ჩამოვთვალეთ ზემოთ?

და მოლდოვას ჰყავს ფეხბურთელები? იქნებ მომდევნო გვერდზე გახედოთ და მოლდოველთა შემადგენლობისთვის გადაგვეკრათ თვალი...

ვხედებით, შემადგენლობაში კარგს ვერაფერს ამოიკითხავდით და... ა, სტატისტიკასაც გადახედეთ?

და რა ნახეთ?

ის, რომ მოლდოვას შეუძლია, ყველასთან წააგოს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის საქართველოსთან მოგებაში?!

და რახან ფეხბურთელების არყოლას შევეხეთ, ბარემ აქვე გეტყვით — ჰექტორ რაულ კუპერს ჰყავს ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც ნაკრებში კლაუს ტოპმოლერის დროსაც თამაშობდა. ერთადერთი გამონაკლისია შოთა არველაძე. თუმც შოთამ ისედაც ცოტა ითამაშა ტოპმოლერის ხელში და თან ის არ იყო შოტლანდიასთან 2:0 მოგებულ მატჩში!

რა გამოდის?

შოტლანდიასთან გვყავდა ფეხბურთელები, მაგრამ ახლა აღარ გვყავს?

უცნაურია, არა?

სხვაზე ხელის შეხოცვას ხომ არ ჰგავს ეს ყველაფერი?

ვფიქრობთ, ფედერაცია ვალდებულია, მწვრთნელს პასუხი მოსთხოვოს და ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში არამც და არამც არ დაუწყოს ლაპარაკი კონტრაქტის გაგრძელებაზე!

ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ კუპერი კარგად შემზადებული ჩაუდგა ნაკრებს სათავეში...

რას ვგულისხმობთ? რას და, ჭალარა არგენტინელმა კარგად შეისწავლა ჭაღარა გერმანელის ქართული ბედი და ლამის საზღვარი არ ჰქონდა წესიერად გადმოკვეთილი, რომ გამოაცხადა — საქართველოს ჩემპიონატს დიდ ყურადღებას მივაქცევო.

ამას ისიც დაუმატა, საცხოვრებლად საქართველოში დავრჩებიო და მეტი რა უნდოდა ამაყ ქართველობას? ეს არის და გვეშველაო, ვიფიქრეთ...

„სიტყვას საქმეც მიჰყვა" და კუპერმა „სამშაბათობებიც" შემოგვაპარა ავანსად — ჩემპიონატში გამორჩეულ ბიჭებს სავარჯიშოდ იწვევდა.

მაგრამ როცა აქაც გაგვიჩნდა კითხვები სასამშაბათო შემადგენლობის არასწორად შერჩევის გამო, უმალ მოგვახალა — როდის ვთქვი, რომ ტურებში გამორჩეულ ფეხბურთელებს მოვიწვევო...

ეჰ, ფილეტონივით გრძელდება სანაკრებო ცხოვრება...

ცუდადაა საქმე, ბატონებო და ახლა თავის მართლების კი არა, მოქმედების დროა!

**ოთარ მხეიძე**

6 ივნისი. 20 საათი

საქართველო — მოლდოვა 1:2

თბილისი. მიხეილ მესხი. 8 000 მაყურებელი

0:1 სოფრონი (7), 0:2 გოლოვატენკო (57), 1:2 ხიზანიშვილი (85)

საქართველო: გ. ლომაია, გ. ფოფხაძე, ა. კვახაძე, ხიზანიშვილი, შაშიაშვილი, კვირკველია (გ. მერებაშვილი 60), კობიაშვილი (რაზმაძე 70), დაუშვილი (ყენია 77), ბ. გოცირიძე (სეთურიძე 27), ა. იაშვილი, ალექსიძე (ჟვალიშვილი 63)

*სათადარიგონი:* მამალაძე, გ. კაშია

მწვრთნელი: ჰექტორ რაულ კუპერი

მოლდოვა: სტ. ნამაშკო, სავინოვი, გოლოვატენკო, ეპურიანუ, არმაში, ჩებოტარუ, სოფრონი (ანდრონიკი 73), ბუგაევი (ოვსიანიკოვი 81), სუვოროვი (ს. ნამაშკო 71), ბულატი (ციგირლაში 80), იონიცე

*სათადარიგონი:* კალაჩა, პოპოვიჩი, კალინკოვი

მწვრთნელი: იგორ დობროვოლსკი

გაფრთხილება: ჩებოტარუ (23), იონიცე (27), გოლოვატენკო (31), ალექსიძე (56), კობიაშვილი (65), სოფრონი (74), სტ. ნამაშკო (90), ანდრონიკი (90)

მსაჯები: პ. სალი, ს. ჯაპასბაიევი, კ. კურბანოვი (სამივე ყაზახეთი), გ. ვადაჭკორია (საქართველო)

დამკვირვებელი: ა. კაჭახიძე



### საქართველო კუპერის ხელში

20 აგვისტო, 2008

ამხანაგური მატჩი

უელსი 1:2 საქართველო

6 სექტემბერი, 2008

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

საქართველო 1:2 ირლანდია

10 სექტემბერი, 2008

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

იტალია 2:0 საქართველო

11 ოქტომბერი, 2008

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

საქართველო 1:1 კვიპროსი

15 ოქტომბერი, 2008

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

საქართველო 0:0 ბულგარეთი

19 ნოემბერი, 2008

ამხანაგური მატჩი

რუმინეთი 2:1 საქართველო

11 თებერვალი, 2009

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

ირლანდია 2:1 საქართველო

28 მარტი, 2009

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

კვიპროსი 2:1 საქართველო

1 აპრილი, 2009

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

საქართველო 0:0 ჩერნოგორია

6 ივნისი, 2009

ამხანაგური მატჩი

საქართველო 1:2 მოლდოვა

10 თამაში, 1 მოგება, 3 ფრე, 6 წაგება, ბურთები 8:14



ლევან კობიაშვილს მოლდოველები ხისტად ეთამაშებოდნენ



ალექსანდრე იაშვილი ალექსანდრ იონიცეს წინააღმდეგ

# საქართველოს ნაკრების საყურადღებოდ: აი, ვისთან წააგეთ!






## სათბილისო შემადგენლობა

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| ნიკოლაი კალანჩა | ზიმბრუ, მოლდოვა |
| სტანისლავ ნამაშკო | შერიფი, მოლდოვა |
| ევგენი მატიუგინი | დაჩია, მოლდოვა |
| **მცველები** | |
| ალექსანდრ ეპურიანუ | მოსკვა, რუსეთი |
| სერგეი ლაშენკოვი | ოლიმპიკი, აზერბაიჯანი |
| ალექსეი სავინოვი | ბაკი, აზერბაიჯანი |
| ვიქტორ გოლოვატენკო | ხიმკი, რუსეთი |
| იგორ არმაში | ჰამარბი, შვედეთი |
| დმიტრი პოპოვიჩი | დაჩია, მოლდოვა |
| **ნახევარმცველები** | |
| ევგენი ჩებოტარუ | ჩაპლაული, რუმინეთი |
| იგორ ციგირლაში | ვენტსპილსი, ლატვია |
| ალექსანდრ სუვოროვი | შერიფი, მოლდოვა |
| ანდრეი კორნეენკოვი | შერიფი, მოლდოვა |
| ვიტალი ბორდიანი | მეტალისტი, უკრაინა |
| ალექსანდრ ონიკე | დაჩია, მოლდოვა |
| ვიქტორ ბულატი | დაჩია, მოლდოვა |
| ვალერი ანდრონიკი | ბოჰემიანსი, ჩეხეთი |
| არტურ იონიცე | ისკრა-სტალი, მოლდოვა |
| სერგეი ნამაშკო | ვოსტოკი, ყაზახეთი |
| **თავდამსხმელები** | |
| იგორ ბუგაევი | აკადემია, მოლდოვა |
| დენის კალინკოვი | აკადემია, მოლდოვა |
| გეორგი ოვსიანიკოვი | ოლიმპია, მოლდოვა |
| ვიაჩესლავ სოფრონი | ზიმბრუ, მოლდოვა |
| სერგეი ალექსეევი | ისკრა-სტალი, მოლდოვა |
| ვიტალი მანალიუ | ისკრა-სტალი, მოლდოვა |

ეს წერილი უფრო საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელებისთვის იწერება, ვიდრე ჩვენი ძვირფასი მკითხველისთვის.

დიახ, ასეთ უცნაურობასაც კი გაგაკეთებინებს საქართველოს ნაკრები და სხვა რა გზაა, მზად ვართ, კიდევ ერთხელ ავუხსნათ მათ, თუ ვისთან წააგეს. უფრო სწორად, ვისთან შერცხვნენ, თორემ წაგებით ზოგჯერ ბრაზილიის ნაკრებიც აგებს ობიექტურად თავისზე სუსტ გუნდთან.

საქართველოს ნაკრებმა წააგო გუნდთან, რომლის შემადგენლობაში ყველაზე ცნობილი ფეხბურთელია ალექსანდრ ეპურიანუ — რუსული „მოსკვას" მცველი.

საქართველოს ნაკრებმა წააგო გუნდთან, რომლის ფეხბურთელთა საშუალო ასაკი ოდენ 23,9 წელია.

საქართველოს ნაკრებმა წააგო გუნდთან, რომლის შემადგენლობაშიც 15 ფეხბურთელი თამაშობს მოლდოვის ჩემპიონატში, 2 — აზერბაიჯანში, 1 — ყაზახეთში და 1 — ლატვიაში.

საქართველოს ნაკრებმა წააგო გუნდთან, რომელიც ჩვენზე უარეს, 106-ე ადგილზეა ფიფა-„კოკა-კოლას" რეიტინგში.

საქართველოს ნაკრებმა წააგო გუნდთან, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარე შესარჩევი ციკლში ოდენ ერთი ქულა აქვს და ისიც ლუქსემბურგთან აიღო.

საქართველოს ნაკრებმა წააგო გუნდთან, რომელმაც ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ორი ბურთი მხოლოდ სომხეთის ნაკრებს გაუტანა (2:2).

საქართველოს ნაკრებმა წააგო გუნდთან, რომელსაც ბოლო ორი წლის განმავლობაში სტუმრად ვერც ერთი გუნდისთვის ვერ გაეტანა გოლი.

საქართველოს ნაკრებმა წააგო გუნდთან, რომელსაც 2008 წლის 6 თებერვლის შემდეგ მოგება არ ენახა.

საქართველოს ნაკრებმა წააგო გუნდთან...

დიახ, სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებმა წააგო გუნდთან, რადგან თავად გუნდისა არაფერი ეტყობა...

## და რაც მთავარია: საქართველოს ნაკრებმა უკვე ქართველ ქომაგთანაც წააგო!

## მოლდოვის ნაკრები 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში

6 სექტემბერი, 2008
**მოლდოვა 1:2 ლატვია**
10 სექტემბერი, 2008
**მოლდოვა 1:2 ისრაელი**
11 ოქტომბერი, 2008
**საბერძნეთი 3:0 მოლდოვა**
15 ოქტომბერი, 2008
**ლუქსემბურგი 0:0 მოლდოვა**
28 მარტი, 2009
**მოლდოვა 0:2 შვეიცარია**
1 აპრილი, 2009
**შვეიცარია 2:0 მოლდოვა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:4 | 13 |
| შვეიცარია | 6 | 4 | 1 | 1 | 11:6 | 13 |
| ლატვია | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 10 |
| ისრაელი | 6 | 2 | 3 | 1 | 10:8 | 9 |
| ლუქსემბურგი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:13 | 4 |
| მოლდოვა | 6 | 0 | 1 | 5 | 2:11 | 1 |

**ადგილი ფიფას რეიტინგში: 106**

## ბოლო ამხანაგური მატჩები

6 თებერვალი, 2008
**მოლდოვა 1:0 ყაზახეთი**
24 მაისი, 2008
**ხორვატია 1:0 მოლდოვა**
28 მაისი, 2008
**მოლდოვა 2:2 სომხეთი**
20 აგვისტო, 2008
**ლიტვა 3:0 მოლდოვა**
18 ნოემბერი, 2008
**ესტონეთი 1:0 მოლდოვა**
19 ნოემბერი, 2008
**მოლდოვა 1:1 ლიტვა**
11 თებერვალი, 2009
**მოლდოვა 1:1 მაკედონია**

## ურთიერთშეხვედრები

1991 ამ — **მოლდოვა 2:4 საქართველო**
0:1 ქეცბაია (5), 0:2 გ. დარასელია (13), 1:2 სპირიდონი (27), 2:2 ხარია (49), 2:3 მ. ჯიშკარიანი (79), 2:4 ყაველაშვილი (88)

1994 ეჩშ — **საქართველო 0:1 მოლდოვა**
0:1 ოპრია (40)

1995 ეჩშ — **მოლდოვა 3:2 საქართველო**
1:0 ტესტიმიცანუ (5), 2:0 მიტერევი (17), 2:1 დ. ჯანაშია (68), 3:1 მიტერევი (72), 3:2 კულიბაბა (82ს.კ.)

1997 მჩშ — **საქართველო 2:0 მოლდოვა**
1:0 შ. არველაძე (28), 2:0 ქინქლაძე (51)

1997 მჩშ — **მოლდოვა 0:1 საქართველო**
0:1 ქეცბაია (10)

2003 ამ — **საქართველო 2:2 მოლდოვა**
1:0 ჩალაძე (61), 1:1 დადუ (75), 2:1 აშვეთია (83), 2:2 დადუ (84)

2004 ამ — **მოლდოვა 1:0 საქართველო**
1:0 მიტერევი (67)

## ჩვენი ჯგუფი

**ბულგარეთი 1:1 ირლანდია**
0:1 დანი (24), 1:1 ტელკისკი (29)
**ბულგარეთი:** ივანკოვი, კიშიშევი, სტოიანოვი, ტომაშიჩი, ანგელოვი, ბოჟინოვი (მაკრიევი 59), ს. პეტროვი (გეორგიევი 61), მილანოვი, მ. პეტროვი, ტელკისკი (დიმიტროვი 82), ბერბატოვი
მწვრთნელი: სტანიმირ სტოილოვი
**ირლანდია:** გივენი, ლედგერი, კილბეინი, ოში (კელი 82), დანი, ველანი, დაფი, ენდრიუსი, ფოლანი, კინი (ბესტი 74), ჰანტი (მაკგიდი 71)
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
გაფრთხილება: ველანი, მილანოვი, ტელკისკი
მსაჯი: კ. ბო ლარსენი (დანია)
42 000 მაყურებელი

**კვიპროსი 2:2 ჩერნოგორია**
1:0 კონსტანტინუ (13), 2:0 მიხაილი (45პ), 2:1, 2:2 დამიანოვიჩი (65, 77)
**კვიპროსი:** გიორგალიდი (მორფისი 34), ხრისტოუ, ხარალამბუსი, ალონეფტისი, ილია, ოკასი, კონსტანტინუ, მაკრიდისი, მიხაილი, გარპოცისი (საციასი 68), ნიკოლაუ (ხარალამბიდისი 78)
მწვრთნელი: ანგელოს ანასტასიადისი
**ჩერნოგორია:** პოლეკშიჩი, ჯუდოვიჩი, პავიჩევიჩი, ბატაკი, ტანასიევიჩი, ვუიოვიჩი, კასკელანი, ნოვაკოვიჩი (ზვეროვიჩი 19), პეკოვიჩი (პატიჩი 86), დრინჩიჩი (დამიანოვიჩი 46), ვუჩინიჩი
მწვრთნელი: ზორან ფილიპოვიჩი
გაფრთხილება: პავიჩევიჩი, კონსტანტინუ, კასკელანი, ჯუდოვიჩი, ოკასი, ზვეროვიჩი, ალონეფტისი, მაკრიდისი
მსაჯი: კ. ველასკო (ესპანეთი)
4 500 მაყურებელი

## ფრეების ტურის შემდეგ

**ჯერ** კიდევ წილისყრის დასრულებისას ვწერდით, ამ ჯგუფში იმდენი ქულა დაიკარგება, თვლა არ ექნებაო და, აგერ მაგალითი — 6 ივნისის ორივე მატჩი ფრედ დასრულდა.

არადა, ბულგარეთში მოგებით ირლანდიას შეეძლო, საბოლოოდ ჩამოეტოვებინა სტანიმირ სტოილოვის გუნდი და პირველ-მეორე ადგილები იტალიასთან ერთად გადაენაწილებინა, მაგრამ...

ამ ამბავს ინტრიგა ტელკისკიმ დაუბრუნა, როცა დანის მიერ 24-ე წუთზე გატანილი გოლი მალევე გაქვითა და თავის გუნდს ქულა მოუტანა.

ბეჩავი საქართველოსთვის, აბა, რა აზრი აქვს, თუმცა მაინც ვთქვათ: კვიპროს-ჩერნოგორიამაც ქულები დაინაწილეს და ეს კიდევ ერთი შანსია ჯურღმულიდან ამოსასვლელად, მაგრამ...

რა გაეწყობა, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ჯგუფში საქართველოს ნაკრებს არანაირი შანსი არ აქვს, თუნდაც მეოთხე ადგილზე გავიდეს...

სამწუხაროა, მაგრამ ასეა...

**კახა ზალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 4 | 2 | 0 | 9:3 | 14 |
| ირლანდია | 7 | 3 | 4 | 0 | 8:5 | 13 |
| ბულგარეთი | 6 | 1 | 5 | 0 | 6:4 | 8 |
| კვიპროსი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:9 | 5 |
| ჩერნოგორია | 6 | 0 | 4 | 2 | 5:8 | 4 |
| საქართველო | 7 | 0 | 3 | 4 | 4:9 | 3 |

9 სექტემბერი
**ბულგარეთი — ჩერნოგორია**
**საქართველო — იტალია**
**კვიპროსი — ირლანდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩი



# სანამ დროა...

## ახალმა ახალგაზრდულმა პირველად მოიგო

5 ივნისი. 17.30 საათი

**საქართველო U21 1:0 მოლდოვა U21**

რუსთავი. ფოლადი. 600 მაყურებელი

1:0 თოთაძე (64)

საქართველო U21: რ. კვასხვაძე, ხურცილავა, სანაია (კაკუბავა 79), თოთაძე, გ. ხიდეშელი, შონია, ბეგლარიშვილი (კბილცეცხლაშვილი 63), განუგრავა (ნემსაძე 26), თარგამაძე (ფანცხავა 63), კლიმიაშვილი (ქედია 84), ივანიშვილი (ვ. ბოლქვაძე 63)

*სათადარიგო:* თევდორაძე

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

მოლდოვა U21: ტიგულეა, ვერბეტჩი, ბოგდანი (კარაულანი 78), ანდრონიკი, ჩეპტენე, პატრაში (კარაუსი 85), ტრუხანოვი (სიდორენკო 46), დედოვი (ეორნისელი 26), ბერბინში, ბონდარჩუკი (გროსუ 66), იონიტა

*სათადარიგონი:* სიჩაკი, ჩიჩიუკი

მწვრთნელი: სერგეი კირილოვი

გაფრთხილება: ფანცხავა, ბონდარჩუკი, ბერბინში

მსაჯები: ო. ხეცაძე, შ. ქუხილავა, გ. ყრუაშვილი, ვ. ელისაბედაშვილი

დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე



დავით თარგამაძე მოლდოველთა გარემოცვაში

**5 ივნისს** რუსთავის „ფოლადზე“ კახა ცხადაძემ მესამედ გამოსცადა თავისი სამწყსო და პირველი გამარჯვებაც მიითვალა.

მოლდოველი ახალგაზრდები დიდი გაქანების გუნდად ვერ დავინახეთ, ჩვენებსაც მთელი თამაშის მანძილზე უპირატესობა ხელიდან არ გაუშვიათ, თუმც სტუმრებს ოდენ ერთი გოლი აკმარეს.

მეორე ტაიმი რომ გახურდა, ლაშა თოთაძემ ჯარიმიდან ისეთი დაარტყა, მეკარემ ხელის აწევა ვერ მოასწრო და ბურთმაც თავზე გადაუქროლა. გამარჯვებას ესეც ეყო...

მოლდოველებს ერთადერთი საგოლე მომენტი თამაშის დასაწყისში ჰქონდათ, როცა ჩვენმა ცენტრალურმა მცველებმა მეტოქეს ხელსაყრელი პოზიციიდან დაარტყმევინეს, თუმც სტუმარმა სამიზნე ვერ გაისწორა.

ქართველ ახალგაზრდებს საგოლე შანსები არ დალევიათ, მაგრამ ბოლო მომენტში ბევრს სცოდავდნენ... ხანაც ძელ-ხარიხა ეხმარებოდა სტუმრებს, ერთი-ორჯერ მეკარემაც გამოიჩინა ფხა და სულ ეს იყო.

თამაში ხისტიც გამოდგა და დუნეც არ ეთქმოდა, მაგრამ მარილი მაინც აკლდა. სტუმარ-მასპინძელმა ერთი-ორჯერ ერთმანეთზეც გაიწიეს... გიორგი განუგრავა სულაც პირველ ტაიმშივე შესაცვლელი გახდა — ბურთისთვის ბრძოლაში ალექსანდრ დედოვმა ფეხი შუბლში მოარტყა, თავადაც დაშავდა და გიორგისაც ოთხი ნაკერი დაადეს.

ფაქტია, რომ ცხადაძე და მისი გუნდი სანაკრებოდ საინტერესო მოთამაშეებს ეძებენ. ამხანაგურიც იმისაა, ყველა კანდიდატი საქმეში ნახო. შესარჩევი ეტაპი ქართველ ახალგაზრდებს შემოდგომაზე ეწყებათ და იქ ექსპერიმენტების დრო არავის ექნება — იქ ჩამოყალიბებულმა, შეკრულ-შეთამაშებულმა გუნდმა უნდა იბრძოლოს.

დრო ნამდვილად არის და ცხადაძესაც ალბათ ექნება თავისი მონახაზი... ახლა ახალგაზრდულში ის ფეხბურთელები იყრიან თავს, ვისაც საკლუბო ევროპული გამოცდილებაც არ აკლია და ბევრ მათგანს ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია. პარასკევის ნაკრებიდან კი ზოგი ფორმაში არ იყო, ზოგს ზედმეტი წონა შეპარვია, ზოგსაც სათამაშო პრაქტიკა აკლდა...

სადღეისოდ არც ეს არის დიდი პრობლემა — წლის ეს დრო ხომ არცთუ ნაყოფიერია ფეხბურთში.

ზეგ ჩვენი ახალგაზრდები სტუმრად ალბანელ თანატოლებს გაეჯიბრებიან. ესეც დამატებითი პრაქტიკაა, თუმცა ისიც აღვნიშნოთ, რომ „ფოლადზე“ ნაჩვენები ფეხბურთით ალბანეთში გაგვიჭირდება.

სხვა მხრივ, გამარჯვება ყოველთვის სასიხარულოა, მით უმეტეს, ახლა, როცა ეს ძალიან გაგვიიშვიათდა. რაც მეტს მოიგებ, მით უკეთესი, იქნებ ეს ჩვევაშიც გადაიზარდოს და...

იმედია, ცხადაძეს და მის გუნდს უშუალოდ შესარჩევის დაწყებამდე ორიოდ ისეთი ამხანაგურიც ექნებათ შემონახული, რომ ნაკრების ძირითადმა ბირთვმა ერთად თამაში მოახერხოს...

რუსთავში კი მართლა კარგი ვარჯიში გამოვიდა — გრილოდა, მინდორსაც ცუდი არ ეთქმოდა და... თან მოვიგეთ!

**დათო დანელია**

# ცხადაძემ ნაკრები დატოვა



**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე კიევში გაემგზავრა, სადაც ხვალიდან პრო-ლიცენზიის კურსები იწყება.

ამგვარად, ცხადაძე ნაკრებს იძულებით დაშორდა და მის ნაცვლად ზაურ სვანაძე დაარიგებს გუნდს ალბანეთთან საგარეო ამხანაგურ მატჩში.

ცხადაძესთან ერთად უკრაინაში გაემგზავრა თბილისის „ამერის“ თავკაცი გიორგი ჩიხრაძეც.

ქართველი მწვრთნელები კიევში რამდენიმე დღე დარჩებიან და სემინარების პირველ ეტაპს დაესწრებიან.

**ქახა შალამბერიძე**



## ჩვენი ჯგუფი

31 მარტი

ირლანდია 0:3 თურქეთი

5 ივნისი

შვეიცარია 2:1 სომხეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| შვეიცარია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| საქართველო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ესტონეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| სომხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

9 ივნისი

სომხეთი — თურქეთი

# საქართველოს 20 ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა შეჯამება

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საუკეთესო ფეხბურთელი
ნიკა გელაშვილი („ზესტაფონი")



### საუკეთესო მწვრთნელი
ნესტორ მუმლაძე („ვიტ ჯორჯია")



### მოულოდნელობა
პაკა ნემსაძე („დინამო") და
დონალდ დერინ ჯიუსი („დინამო")





### საუკეთესო ლეგიონერი
დიდიე ოვონო



### საუკეთესო ახალგაზრდა
გიორგი ბერიაშვილი



### საუკეთესო ბომბარდირი
ნიკა გელაშვილი



### სიმბოლური ნაკრები

ნიკა გელაშვილი — ზესტაფონი
გიორგი მერებაშვილი — დინამო
შოთა ბაბუნაშვილი — ოლიმპი
ჟაბა ლიპარტია — ვიტ ჯორჯია
ლევან ხმალაძე — დინამო
ლუკა რაზმაძე — ვიტ ჯორჯია
ლაშა ჯაფარიძე — ვიტ ჯორჯია
გურამ კაშია — დინამო
ალექსანდრე კვახაძე — ვიტ ჯორჯია
თემურ ლონლაძე — ოლიმპი
დიდიე ოვონო — დინამო

### ბომბარდირები



20 - ნ. გელაშვილი — ზესტაფონი
13 - გ. მერებაშვილი — დინამო
13 - ი. სპასოევიჩი — დინამო
11 - გ. თიოდუა — მგლები
11 - ვ. კვარაცხელია — ვიტ ჯორჯია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 30 | 20 | 9 | 1 | 57:19 | 69 |
| დინამო | 30 | 19 | 6 | 5 | 70:21 | 63 |
| ოლიმპი | 30 | 16 | 9 | 5 | 40:20 | 57 |
| ზესტაფონი | 30 | 16 | 4 | 10 | 43:27 | 52 |
| სიონი | 30 | 11 | 11 | 8 | 35:29 | 44 |
| ლოკომოტივი | 30 | 10 | 8 | 12 | 35:33 | 38 |
| მგლები | 30 | 10 | 6 | 14 | 36:41 | 36 |
| მესხეთი | 30 | 7 | 8 | 15 | 23:42 | 29 |
| გაგრა | 30 | 7 | 7 | 16 | 23:48 | 28 |
| სპარტაკი | 30 | 6 | 7 | 17 | 28:46 | 25 |
| ბორჯომი | 30 | 2 | 7 | 21 | 21:85 | 13 |

# ადამიას აზერბაიჯანის ნაკრებში გზა გაეხსნა

**ბაჰამის კუნძულებზე ჩატარებულმა ფიფას 59-ე კონგრესმა დიდი იმედები გაუჩინა აზერბაიჯანის ფეხბურთის ასოციაციას...**

„აპასპორტის" ცნობით, ფიფამ ნატურალიზებული ფეხბურთელების ნაკრებში მიწვევაზე ასაკობრივი ლიმიტი მოხსნა, ანუ თუ რომელიმე ფეხბურთელს სხვა ნაკრებში არ აქვს ნათამაშები და გააჩნია შენი ქვეყნის მოქალაქეობა, თავისუფლად შეძლებ მის გამოყენებას.

აქამდე ასეთ მოთამაშეებს ისიც უშლიდათ ხელს, რომ ახალგაზრდულ ნაკრებებში ჰქონდათ თამაშები ჩატარებული, თუმცა ახლა არც ესაა პრობლემა და აზერბაიჯანელებმაც ხელი უმალ გიორგი ადამიასკენ გაიშვირეს.

„ბაკუს" ქართველი თავდამსხმელი ადრე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში იყო, ეროვნულში გამოძახება და თუნდაც ამხანაგურ მატჩში მისი გამოცდა კი დღემდე არავის მოსვლია აზრად და რატომაც არ უნდა გამოიყენონ ეს შანსი ჩვენმა მეზობლებმა?

ისიც გავიხსენოთ, რომ აზერბაიჯანლები საკმაო ხანია, ადამიაზე ნადირობენ. აქამდე ჩვენიანი თავს იკავებდა, თუმცა სულაც არ გაგვიკვირდება, ახლა თანხმობას თუ იტყვის...

ბაჰამის კუნძულებიდან დაბრუნებულ აზერბაიჯანის ფეხბურთის ასოციაციის გენმდივან ელხან მამედოვს „აპასპორტმა" ინტერვიუ ჩამოართვა და მოდით, ჩვენც იმ ნაწილს გავეცნოთ, რომელიც ადამიას ეხება...



ელხან მამედოვი



ალექსანდრ სამედოვი და გიორგი ადამია ბურთი ფოგთის სიტყვას ელიან

— ახალი წესი საშუალებას აძლევს გიორგი ადამიას, რომ ჩვენი ნაკრების წევრი გახდეს...

— მართალია. ამის გაკეთება შეუძლია ალექსანდრ სამედოვსაც, რომელიც რუსეთში დაბადებულ-გაზრდილი აზერბაიჯანელია. მასაც შეუძლია ჩვენი მოქალაქე გახდეს და ნაკრებშიც ითამაშოს, ისევე, როგორც გერმანიაში მცხოვრებ დაახლოებით 100-მდე ჩვენს თანამემამულეს. ისინი იქ თამაშობენ და იმ ქვეყნის მოქალაქეები არიან, თუმცა არაფერი შეუშლით ხელს აზერბაიჯანის ნაკრებში თამაშში.

**— მაინც ადამიაზე გკითხავთ. ის უკვე ხუთი წელია, აზერბაიჯანში თამაშობს და თავისუფლად შეუძლია, ჩვენი ქვეყნის მოქალაქე გახდეს...**

— უნდა გავიგოთ, აქვს თუ არა ადამიას ნათამაშები საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. ფიფა ამ საკითხს დიდ ყურადღებას აქცევს და არ უნდა შევცდეთ.

**— კი მაგრამ, ადამიას არასოდეს უთამაშია საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. ის მხოლოდ 21-წლამდელთა გუნდის წევრი იყო...**

— თუ მართლა ასეა, მაშინ ადამიას აქვს შანსი, აზერბაიჯანის ნაკრებში ითამაშოს.

**— აპირებთ მის მიწვევას?**

— ეს მხოლოდ მთავარი მწვრთნელის გადასაწყვეტია.

მოკლედ, როგორც მიხვდით, ადამია ახლოსაა აზერბაიჯანის ნაკრებთან და ვნახოთ, გაუღებს თუ არა მას უცხო ქვეყნის კარს გერმანელი მწვრთნელი ბერტი ფოგთსი...

**ქახა ზალამბერიძე**



# გიორგი შაშიაშვილი კუნძულზე გადასახლდა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების მცველი გიორგი შაშიაშვილი ბერძნულ „ერგოტელისში" გადავიდა.

ვერ გეტყვით, რატომ გადადგა მან ასეთი ნაბიჯი — ავსტრიული „შტურმიდან" უსახელო ბერძნულ კლუბში გადასვლა მაინცდამაინც წარმატებული არ უნდა იყოს, თუმცა ახლა აღარაფერი შეიცვლება.

შაშიაშვილმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ერგოტელისთან", რომელმაც გასულ ჩემპიონატში მე-9 ადგილი დაიკავა.

შაშიაშვილს „შტურმში" დარჩენის შანსი ჰქონდა, თუმცა კლუბთან ახალი კონტრაქტის პირობებზე ვერ მოილაპარაკა და ამიტომაც დატოვა იქაურობა.

მოკლედ, საბერძნეთის ჩემპიონატში მწვრთნელ თემურ ქეცბაიას შემდეგ ფეხბურთელიც გამოგვიჩნდა...

**ქახა ზალამბერიძე**

# ანჟი ალანიას მიუახლოვდა

**მახაჩყალის** „ანჟიმ" 1:0 მოუგო „მედ როსიას" და ქულითღა ჩამორჩება პირველი დივიზიონის ლიდერ „ალანიას".

ამ მატჩში ელიკ საჯაიამ, კახა ალადაშვილმა და გოჩა ხოჯავამ სრულად ითამაშეს, გიორგი ნავალოვსკი და ზურაბ არზიანი არ გამოჩენილან. სანდრო იაშვილის და ოთარ მარცვალაძის საიზო პრობლემებზე კი ისედაც გეცოდინებათ...

**ოთარ მხეიძე**

# ავსტრიაში მიმავალ ასათიანს სურკისი არა და არ ეშვება

**კიევის** „დინამოდან" მოსკოვის „ლოკომოტივში" დაბრუნებულ მალხაზ ასათიანს ისევ უკრაინაში ექაჩებიან.

„დინამოს" პრეზიდენტ იგორ სურკისის განცხადებით, ის ბოლომდე ეცდება ასათიანის იჯარის გაგრძელებას და ამ საკითხზე უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას მოსკოველებთან.

სურკისის თქმით, ასათიანს დიდი დახმარების გაწევა შეუძლია კიევური გუნდისთვის მომავალ ჩემპიონთა ლიგაში და ვნახოთ, როგორ გადაწყდება ეს ამბავი.

იქამდე კი მალხაზმა ასეთი კომენტარი მისცა რუსულ „სპორტ-ექსპრესს":

„ძალიან მსიამოვნებს იმ კლუბში დაბრუნება, სადაც ხუთ წელზე მეტი გავატარე. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს შინ დავბრუნდი. თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ კიევში ცუდად მიმიღეს. პირიქით, იქ ძალიან კარგი ატმოსფერო იყო და კმაყოფილი დავრჩი. ჯერ ზუსტად არ ვიცი, „ლოკომოტივში" დავრჩები თუ ისევ „დინამოში" დავბრუნდები. ეს საკითხი რამდენიმე დღეში გადაწყდება".



ჩვენ კი შეგვიძლია ის გითხრათ, რომ ასათიანი 90 პროცენტით „ლოკომოტივში" დარჩება. ამაზე ის სიაც მეტყველებს, რომელიც იური სიომინმა უკვე გააგზავნა ავსტრიულ შეკრებაზე წასაყვანად — მასში დავით მუჯირიცაა და მალხაზ ასათიანიც.

„ლოკომოტივი" ავსტრიაში 24 ივნისს გაემგზავრება.

**ქახა ზალამბერიძე**

# ბჟალავას სეზონი და იჯარა დაუმთავრდა



**ავსტრიის** პირველდივიზიონელ „აუსტრია ლუშტენაუს" მირზა ბჟალავა დაუბრუნდა.

21 წლის ქართველი ნახევარმცველი აქამდე ქვედალიგელ „ბრეგენცში" იყო სეზონის ბოლომდე განათხოვრებული.

„იჯარა უკვე დამიმთავრდა და ახლა „აუსტრიაში" დავბრუნდები" გვითხრა მირზა ბჟალავამ, ვინც ახლა შვებულებას თბილისში ატარებს.

**ქახა ზალამბერიძე**

ქართული ბიბლიოთეკა



# ჭაბუკთა ლიგა

## 1991-92-წლიანები

სიონი 2:1 სპარტაკი
გაგრა 5:2 ლოკომოტივი
ბორჯომი 5:0 ოლიმპი
მგლები 6:1 ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია 3:0 მესხეთი
ნაკრები U16 — დინამო გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 28 | 24 | 2 | 2 | 89:19 | 74 |
| გაგრა | 29 | 19 | 2 | 8 | 91:50 | 59 |
| ვიტ ჯორჯია | 30 | 18 | 5 | 7 | 45:22 | 59 |
| მგლები | 28 | 17 | 3 | 8 | 69:42 | 54 |
| ნაკრები U16 | 26 | 14 | 2 | 10 | 69:37 | 44 |
| ზესტაფონი | 29 | 13 | 5 | 11 | 63:41 | 44 |
| სპარტაკი | 29 | 13 | 5 | 11 | 48:34 | 44 |
| ლოკომოტივი | 29 | 11 | 2 | 16 | 52:68 | 35 |
| ბორჯომი | 29 | 9 | 4 | 16 | 39:68 | 31 |
| სიონი | 29 | 7 | 3 | 19 | 35:82 | 24 |
| ოლიმპი | 29 | 6 | 5 | 18 | 56:80 | 23 |
| მესხეთი | 29 | 0 | 2 | 27 | 15:134 | 2 |

## 1993-94-წლიანები

სპარტაკი 2:0 სიონი
ლოკომოტივი 3:1 გაგრა
ოლიმპი 1:3 ბორჯომი
ზესტაფონი 0:1 მგლები
მესხეთი 0:6 ვიტ ჯორჯია
ამერი 0:2 დინამო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 29 | 26 | 2 | 1 | 103:6 | 80 |
| ვიტ ჯორჯია | 29 | 19 | 7 | 3 | 61:23 | 64 |
| ამერი | 29 | 18 | 3 | 8 | 62:36 | 57 |
| ზესტაფონი | 29 | 16 | 4 | 9 | 49:31 | 52 |
| ლოკომოტივი | 29 | 14 | 3 | 12 | 59:28 | 45 |
| მგლები | 29 | 13 | 6 | 10 | 69:38 | 45 |
| სპარტაკი | 29 | 10 | 6 | 13 | 29:38 | 36 |
| გაგრა | 29 | 8 | 10 | 11 | 36:36 | 34 |
| ბორჯომი | 29 | 8 | 8 | 13 | 29:54 | 32 |
| ოლიმპი | 29 | 6 | 8 | 15 | 29:60 | 26 |
| სიონი | 29 | 3 | 2 | 24 | 13:77 | 11 |
| მესხეთი | 29 | 2 | 3 | 24 | 12:124 | 9 |

## 1995-96-წლიანები

სპარტაკი 0:1 სიონი
ლოკომოტივი 1:1 გაგრა
ოლიმპი 1:1 ბორჯომი
ზესტაფონი 4:0 მგლები
მესხეთი 0:0 ვიტ ჯორჯია
ამერი 0:3 დინამო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 29 | 24 | 3 | 2 | 73:12 | 75 |
| გაგრა | 29 | 18 | 6 | 5 | 50:13 | 60 |
| ოლიმპი | 29 | 16 | 5 | 8 | 47:33 | 53 |
| ზესტაფონი | 29 | 14 | 9 | 6 | 55:34 | 51 |
| მგლები | 29 | 14 | 5 | 10 | 38:28 | 47 |
| დინამო | 29 | 12 | 11 | 6 | 35:31 | 47 |
| ბორჯომი | 29 | 12 | 4 | 13 | 29:29 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 29 | 11 | 5 | 13 | 34:36 | 38 |
| სიონი | 29 | 7 | 5 | 17 | 33:51 | 26 |
| ამერი | 29 | 7 | 5 | 17 | 22:47 | 26 |
| სპარტაკი | 29 | 4 | 7 | 18 | 18:50 | 19 |
| მესხეთი | 29 | 0 | 5 | 24 | 4:74 | 5 |

# სამხრეთ ოსეთის ჩემპიონატი

## 1992-93-წლიანები

I ჯგუფი

გადადებული მატჩი

ბერმუხა 2:1 ნ. დინამო

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *განთიადი* | 18 | 13 | 3 | 2 | 60:16 | 42 |
| *XXI საუკუნე-1* | 18 | 13 | 1 | 4 | 64:33 | 40 |
| *გედა* | 18 | 12 | 4 | 2 | 48:14 | 40 |
| *ბერმუხა* | 18 | 11 | 2 | 5 | 49:25 | 35 |
| ნ. დინამო | 18 | 10 | 2 | 6 | 46:34 | 32 |
| მეტალურგი | 18 | 7 | 3 | 8 | 32:28 | 24 |
| 35-ე სკოლა | 18 | 7 | 0 | 11 | 41:59 | 21 |
| სასკო | 18 | 4 | 1 | 13 | 21:45 | 13 |
| XXI საუკუნე-3 | 18 | 4 | 0 | 14 | 23:49 | 12 |
| მთ. გლობუსი | 18 | 1 | 0 | 17 | 20:101 | 3 |

II ჯგუფი

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *იმედი (რ)* | 16 | 13 | 1 | 2 | 56:14 | 40 |
| *ერთობა* | 16 | 11 | 2 | 3 | 45:20 | 35 |
| *ნ. დინამო* | 16 | 10 | 2 | 4 | 47:16 | 32 |
| *შავნაბადა* | 16 | 9 | 2 | 5 | 34:24 | 29 |
| სკალდი | 16 | 7 | 1 | 8 | 24:39 | 22 |
| თეთრი არწივი | 16 | 6 | 1 | 9 | 27:38 | 19 |
| XXI საუკუნე-2 | 16 | 5 | 1 | 10 | 17:33 | 16 |
| გეორგია | 16 | 3 | 3 | 10 | 15:35 | 12 |
| ოლიმპიკი | 16 | 0 | 3 | 13 | 11:57 | 3 |

## 1994-წლიანები

შევარდენი 4:1 35-ე სკოლა-2
35-ე სკოლა-1 0:3 ლომები
ავაზა 0:3 გედა
ნ. დინამო-1 3:0 XXI საუკუნე
განთიადი 3:0 იმედი (თბ)
ნ. დინამო-2 0:3 იმედი (რ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გედა | 24 | 21 | 1 | 2 | 103:21 | 64 |
| იმედი (რ) | 23 | 20 | 0 | 3 | 70:11 | 60 |
| განთიადი | 24 | 19 | 1 | 4 | 55:29 | 58 |
| ნ. დინამო-1 | 24 | 15 | 1 | 8 | 59:41 | 46 |
| ლომები | 24 | 13 | 3 | 8 | 60:38 | 42 |
| ნ. დინამო-2 | 24 | 11 | 5 | 8 | 48:44 | 38 |
| შევარდენი (რ) | 22 | 10 | 5 | 7 | 44:29 | 35 |
| XXI საუკუნე | 23 | 10 | 4 | 9 | 37:35 | 34 |
| ავაზა | 24 | 8 | 1 | 15 | 34:51 | 25 |
| 35-ე სკოლა-1 | 24 | 7 | 0 | 17 | 32:68 | 21 |
| 35-ე სკოლა-2 | 24 | 5 | 0 | 19 | 43:81 | 15 |
| იმედი (თბ) | 24 | 3 | 1 | 20 | 24:91 | 10 |
| აიაქსი | 24 | 1 | 0 | 23 | 7:78 | 3 |

## 1995-წლიანები

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო-1 | 20 | 18 | 2 | 0 | 104:14 | 56 |
| ნ. დინამო-3 | 20 | 18 | 1 | 1 | 118:10 | 55 |
| ოლიმპიკი | 20 | 13 | 0 | 7 | 52:29 | 39 |
| მეტეხი-4 | 20 | 11 | 2 | 7 | 69:59 | 35 |
| იბერია-ამერი | 20 | 11 | 1 | 8 | 56:44 | 34 |
| ნ. დინამო-2 | 20 | 11 | 0 | 9 | 45:46 | 33 |
| 35-ე სკოლა | 20 | 7 | 0 | 13 | 33:82 | 21 |
| იმედი | 20 | 5 | 2 | 13 | 30:77 | 17 |
| მეტეხი-3 | 20 | 5 | 1 | 14 | 41:72 | 16 |
| 35-ე სკოლა-1 | 20 | 4 | 1 | 15 | 37:90 | 13 |
| 35-ე სკოლა-2 | 20 | 2 | 0 | 18 | 21:83 | 6 |

# ელიტ-ლიგა

## 1992-წლიანები

ნ. დინამო 4:4 35-ე სკოლა
იმედი 4:1 ამერი-2
დინამო 5:1 თბილისი
აკადემია 0:3 ამერი
აკადემია-92 2:3 ავაზა
ქართლი 2:0 ოლიმპიკი
გარეჯი 3:1 შევარდენი

გადადებული მატჩი

ოლიმპიკი 5:1 შევარდენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 25 | 22 | 1 | 2 | 99:14 | 67 |
| ქართლი | 25 | 18 | 5 | 2 | 58:21 | 59 |
| ამერი | 25 | 17 | 4 | 4 | 54:18 | 55 |
| ავაზა | 25 | 15 | 1 | 9 | 56:40 | 46 |
| 35-ე სკოლა | 25 | 14 | 3 | 8 | 54:34 | 45 |
| ნ. დინამო | 25 | 14 | 3 | 8 | 58:40 | 45 |
| ოლიმპიკი | 25 | 10 | 7 | 8 | 41:36 | 37 |
| თბილისი | 25 | 9 | 6 | 10 | 43:42 | 33 |
| იმედი | 25 | 10 | 2 | 13 | 39:52 | 32 |
| გარეჯი | 25 | 9 | 3 | 13 | 33:59 | 30 |
| შევარდენი | 25 | 5 | 6 | 14 | 29:51 | 21 |
| აკადემია-92 | 25 | 5 | 4 | 16 | 27:56 | 19 |
| ამერი-2 | 25 | 3 | 2 | 20 | 25:76 | 11 |
| აკადემია | 25 | 0 | 1 | 24 | 10:87 | 1 |

## 1993-წლიანები

ვეფხვები-2 0:5 აკადემია-1
ამერი 0:1 ნ. დინამო-1
ავაზა 4:0 აკადემია-2
35-ე სკოლა-1 0:1 შევარდენი
მთ. გლობუსი 3:0 ვეფხვები
ოლიმპიკი 2:0 ნ. დინამო-2
საბურთალო 0:3 იმედი
35-ე სკოლა-3 0:2 35-ე სკოლა-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო-1 | 28 | 26 | 1 | 1 | 133:13 | 79 |
| აკადემია-1 | 27 | 21 | 1 | 5 | 87:31 | 64 |
| შევარდენი | 28 | 19 | 5 | 4 | 66:28 | 62 |
| ავაზა | 28 | 19 | 3 | 6 | 88:35 | 60 |
| ოლიმპიკი | 28 | 17 | 6 | 5 | 70:31 | 57 |
| საბურთალო | 28 | 14 | 5 | 9 | 58:40 | 47 |
| 35-ე სკოლა-1 | 26 | 14 | 3 | 9 | 70:40 | 45 |
| მთ. გლობუსი | 26 | 12 | 5 | 9 | 58:39 | 41 |
| ნ. დინამო-2 | 27 | 11 | 4 | 12 | 45:49 | 37 |
| 35-ე სკოლა-2 | 28 | 10 | 6 | 12 | 45:63 | 36 |
| ვეფხვები-2 | 28 | 7 | 7 | 14 | 33:49 | 28 |
| იმედი | 28 | 8 | 3 | 17 | 35:79 | 27 |
| ამერი | 28 | 7 | 4 | 17 | 37:72 | 25 |
| აკადემია-2 | 28 | 6 | 3 | 19 | 35:83 | 21 |
| 35-ე სკოლა-4 | 26 | 5 | 4 | 17 | 23:54 | 19 |
| ვეფხვები | 28 | 4 | 2 | 22 | 27:89 | 14 |
| 35-ე სკოლა-3 | 28 | 2 | 2 | 24 | 26:141 | 8 |

## 1994-წლიანები

I ჯგუფი

35-ე სკოლა-1 3:0 საბურთალო

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 22 | 20 | 2 | 0 | 99:6 | 62 |
| 35-ე სკოლა-1 | 22 | 19 | 1 | 2 | 70:15 | 58 |
| ნ. დინამო-1 | 22 | 17 | 2 | 3 | 58:13 | 53 |
| ამერი | 22 | 14 | 1 | 7 | 50:27 | 43 |
| საბურთალო | 22 | 11 | 2 | 9 | 61:54 | 35 |
| აკადემია | 22 | 8 | 7 | 7 | 31:35 | 31 |
| თბილისი-2 | 22 | 8 | 2 | 12 | 34:57 | 26 |
| ვეფხვები | 22 | 7 | 5 | 10 | 39:55 | 26 |
| 35-ე სკოლა-3 | 22 | 6 | 2 | 14 | 31:56 | 20 |
| ავაზა | 22 | 5 | 1 | 16 | 27:75 | 16 |
| ერთობა | 22 | 4 | 1 | 17 | 20:52 | 13 |
| აკადემია-1 | 22 | 0 | 0 | 22 | 8:83 | 0 |

II ჯგუფი

აკადემია-94 1:1 შევარდენი
ვეფხვები-2 3:0 ოლიმპიკი
35-მეტეხი 0:3 გორი
ნ. დინამო-2 0:2 იმედი
35-ე სკოლა-2 1:2 თბილისი-1

გადადებული მატჩი

ოლიმპიკი 5:0 ამერი-2

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 20 | 15 | 2 | 3 | 43:16 | 47 |
| აკადემია-94 | 20 | 14 | 4 | 2 | 49:19 | 46 |
| თბილისი-1 | 20 | 12 | 7 | 1 | 53:18 | 43 |
| იმედი | 20 | 14 | 0 | 6 | 56:20 | 42 |
| ოლიმპიკი | 20 | 10 | 4 | 6 | 35:22 | 34 |
| ვეფხვები-2 | 20 | 7 | 4 | 9 | 31:44 | 25 |
| 35-მეტეხი | 20 | 7 | 2 | 11 | 35:44 | 23 |
| გორი | 20 | 7 | 1 | 12 | 28:39 | 22 |
| 35-ე სკოლა-2 | 20 | 6 | 0 | 14 | 30:65 | 18 |
| ამერი-2 | 20 | 2 | 3 | 15 | 19:49 | 9 |
| ნ. დინამო-2 | 20 | 2 | 1 | 17 | 14:57 | 7 |

## 1995-წლიანები

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო | 18 | 16 | 0 | 2 | 76:6 | 48 |
| აკადემია-95 | 18 | 13 | 1 | 4 | 58:16 | 40 |
| აკადემია-1 | 18 | 12 | 1 | 5 | 31:14 | 37 |
| ავაზა-2 | 18 | 11 | 0 | 7 | 41:33 | 33 |
| საბურთალო | 18 | 9 | 3 | 6 | 53:40 | 30 |
| ჰერეთი | 18 | 9 | 3 | 6 | 35:34 | 30 |
| 35-ე სკოლა-1 | 18 | 7 | 1 | 10 | 47:48 | 22 |
| ავაზა-1 | 18 | 3 | 0 | 15 | 18:48 | 9 |
| 35-ე სკოლა-3 | 18 | 2 | 2 | 14 | 26:80 | 8 |
| 35-ე სკოლა-2 | 18 | 2 | 1 | 15 | 14:80 | 7 |

## 1996-წლიანები

35-ე სკოლა 8:1 ჩემპიონი
ამერი 2:2 გორი
ვეფხვები-2 0:1 შევარდენი
ოლიმპი 3:4 თბილისი
ოლიმპიკი 2:0 საბურთალო
ლოკომოტივი 5:2 იმედი
აკადემია-2 1:6 ნ. დინამო-1
აკადემია-1 4:2 ნ. დინამო-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გორი | 27 | 22 | 3 | 2 | 100:27 | 69 |
| 35-ე სკოლა | 28 | 21 | 6 | 1 | 105:27 | 69 |
| ჩემპიონი | 28 | 19 | 4 | 5 | 104:54 | 61 |
| ოლიმპიკი | 28 | 17 | 6 | 5 | 63:25 | 57 |
| ოლიმპი | 29 | 16 | 4 | 9 | 84:32 | 52 |
| აკადემია-1 | 28 | 15 | 7 | 6 | 75:45 | 52 |
| თბილისი | 26 | 16 | 3 | 7 | 70:40 | 51 |
| ამერი | 30 | 13 | 8 | 9 | 69:65 | 47 |
| შევარდენი | 28 | 12 | 6 | 10 | 50:36 | 42 |
| ნ. დინამო-1 | 29 | 11 | 7 | 11 | 100:74 | 40 |
| ვეფხვები-1 | 28 | 11 | 4 | 13 | 75:50 | 37 |
| იმედი | 28 | 9 | 0 | 19 | 57:89 | 27 |
| საბურთალო | 29 | 7 | 4 | 18 | 57:119 | 25 |
| ლოკომოტივი | 29 | 6 | 5 | 18 | 52:84 | 23 |
| აკადემია-2 | 29 | 5 | 5 | 19 | 44:89 | 20 |
| ნ. დინამო-2 | 29 | 1 | 4 | 24 | 54:156 | 7 |
| ვეფხვები-2 | 29 | 2 | 0 | 27 | 17:164 | 6 |

## 1997-წლიანები

საბურთალო 5:2 35-ე სკოლა-2
ნ. დინამო-1 1:1 ლოკომოტივი
35-ე სკოლა-1 0:8 თბილისი-1
იმედი 2:1 თბილისი-2
აკადემია 4:1 ნ. დინამო-2
ნ. დინამო-3 0:3 ავაზა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი-1 | 22 | 21 | 0 | 1 | 111:22 | 63 |
| 35-ე სკოლა-2 | 21 | 13 | 3 | 5 | 61:27 | 42 |
| იმედი (თბ) | 22 | 13 | 3 | 6 | 52:39 | 42 |
| ლოკომოტივი | 23 | 12 | 4 | 7 | 76:41 | 40 |
| ავაზა | 22 | 12 | 4 | 6 | 45:39 | 40 |
| ნ. დინამო-1 | 22 | 11 | 4 | 7 | 67:56 | 37 |
| საბურთალო | 22 | 9 | 1 | 12 | 59:58 | 28 |
| 35-ე სკოლა-1 | 22 | 9 | 1 | 12 | 38:75 | 28 |
| თბილისი-2 | 22 | 7 | 5 | 10 | 46:49 | 26 |
| აკადემია | 23 | 7 | 4 | 14 | 45:51 | 25 |
| ნ. დინამო-3 | 21 | 5 | 2 | 14 | 36:47 | 17 |
| ამერი | 22 | 3 | 4 | 15 | 22:87 | 13 |
| ნ. დინამო-2 | 22 | 3 | 1 | 18 | 39:106 | 10 |

## 1998-წლიანები

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 16 | 12 | 1 | 3 | 58:25 | 37 |
| გორი | 16 | 11 | 3 | 2 | 44:23 | 36 |
| ავაზა | 16 | 9 | 0 | 7 | 47:34 | 27 |
| ნ. დინამო-1 | 16 | 7 | 4 | 5 | 34:31 | 25 |
| აკადემია | 16 | 7 | 2 | 7 | 30:28 | 23 |
| შევარდენი | 16 | 7 | 2 | 7 | 34:34 | 23 |
| ნ. დინამო-3 | 16 | 6 | 2 | 8 | 33:46 | 20 |
| ამერი | 16 | 5 | 1 | 10 | 34:43 | 16 |
| ნ. დინამო-2 | 16 | 0 | 1 | 15 | 3:53 | 1 |

რეკლამა სარბიელში
899 945 975, 93 16 08

# პატარა შევარდენის წარმატებული სეზონი

საფეხბურთო კლუბ „შევარდენი 1906“-ის 1999 წელს დაბადებულთა გუნდისთვის ეს სეზონი წარმატებული გამოდგა — ვაჟა და გიორგი ხუბეჯაშვილების შეგირდებმა ზედიზედ ორი ტურნირი მოიგეს და ინდივიდუალური პრიზებიც აიღეს.

ზურაბ დოლიძის სახელობის თბილისის პირველობაზე „შევარდენმა“ ჩემპიონობა არავის დაუთმო (22 თამაში, 20 მოგება, 2 ფრე), საუკეთესო ფეხბურთელი კი ცოტნე თურქოშვილი გახდა.

წარმატებული გამოდგა გურამ ლორთქიფანიძის სახელობის ტურნირიც, რომელიც 35-ე სკოლაში გუბაზ დოლიძის და გოჩა ჯამარაულის თაოსნობით ჩატარდა.

„შევარდენმა“ 5 მატჩიდან 4 მოიგო და ორი ინდივიდუალური პრიზიც გამოიყოლა — საუკეთესო მეკარე ნიკა აბაშიძე გახდა, ხოლო საუკეთესო თავდამსხმელი გიორგი კუცია.

აქვე გეტყვით, რომ „შევარდენის“ პრეზიდენტი მალხაზ გუგავა გახლავთ, ვიცე-პრეზიდენტი კი — რომან შონია.

**ოთარ მხეიძე**



პირველ რიგში: მირიან , გუგა გრიგოლია, ანრი ლამაზოშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ნიკა მალია, დათო გამსახურდიშვილი, გიორგი თამაზაშვილი, ნიკა აბაშიძე, დათო გრიგორიანი, ბუბა კიკვაძე; მეორე რიგში: ნიკა ზარდიაშვილი, ვაგო იმამგულოღლი, ლუკა კახიანი, თორნიკე გასვიანი, ცოტნე თურქოშვილი, ნიკა მჭედლიშვილი, ლაშა მჭედლიშვილი, გიგი გურგენიძე, გიორგი კუცია, უჩა წერეთელი, ლაშა ნიჟარაძე, სანდრო დოლაბერიძე; მესამე რიგში: ვაჟა ხუბეჯაშვილი, მალხაზ გუგავა, გიორგი ხუბეჯაშვილი, რომან შონია.

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

# საქართველო 105

**ფიფამ** ახალი, მაისის რეიტინგი გამოაქვეყნა და უთამაშებელმა საქართველომ ხუთი საფეხურით აიწია. ეს, რა თქმა უნდა, სხვა გუნდების დაქვეითების ხარჯზე მოხდა. აი, მოლდოვა-ალბანეთთან ამხანაგური მატჩების შედეგები კი ჩვენს ეროვნულ გუნდს უკვე მომდევნო რეიტინგში ჩაეთვლება...

| I | II | III | IV | I | II | III | IV | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | ესპანეთი | 1761 | 70 | 71 | ბაჰრეინი | 473 | 139 | 133 | ბურუნდი | 208 |
| 2 | 3 | ჰოლანდია | 1442 | 70 | 79 | ავსტრია | 473 | 140 | 142 | აზერბაიჯანი | 201 |
| 3 | 2 | გერმანია | 1378 | 72 | 74 | ტრინიდადი | 471 | 140 | 140 | ვანუატუ | 201 |
| 4 | 5 | *იტალია* | 1292 | 72 | 77 | ს. აფრიკა | 471 | 142 | 141 | ნიკარაგუა | 195 |
| 5 | 4 | ბრაზილია | 1288 | 74 | 73 | უელსი | 468 | 143 | 143 | ჰონგ კონგი | 186 |
| 6 | 7 | ინგლისი | 1225 | 75 | 66 | სენეგალი | 463 | 144 | 144 | ნიგერი | 171 |
| 7 | 6 | არგენტინა | 1203 | 76 | 70 | იამაიკა | 456 | 145 | 147 | ანტილია | 160 |
| 8 | 8 | ხორვატია | 1200 | 77 | 86 | ერაყი | 450 | 146 | 145 | იემენი | 157 |
| 9 | 9 | რუსეთი | 1167 | 78 | 76 | უზბეკეთი | 443 | 147 | 146 | ინდოეთი | 155 |
| 10 | 10 | საფრანგეთი | 1067 | 79 | 75 | *კვიპროსი* | 441 | 148 | 147 | ტაჯიკეთი | 147 |
| 11 | 11 | პორტუგალია | 1004 | 80 | 81 | ომანი | 440 | 149 | 149 | მალდივია | 142 |
| 12 | 14 | თურქეთი | 964 | 81 | 82 | ბელარუსი | 432 | 150 | 150 | მალტა | 140 |
| 13 | 17 | პარაგვაი | 961 | 82 | 78 | ახ. ზელანდია | 431 | 151 | 154 | სტ. კიტსი | 139 |
| 14 | 15 | აშშ | 947 | 83 | 89 | კანადა | 430 | 151 | 154 | პუერტო რიკო | 139 |
| 15 | 12 | ჩეხეთი | 943 | 84 | 88 | კონგო დრ | 423 | 153 | 150 | სტ. ვინსენტი | 136 |
| 16 | 18 | შვეიცარია | 931 | 85 | 98 | სიერა ლეონე | 421 | 154 | 153 | თურქმენეთი | 130 |
| 17 | 13 | საბერძნეთი | 922 | 86 | 67 | კონგო | 419 | 155 | 158 | მიანმარი | 129 |
| 17 | 16 | ურუგვაი | 922 | 87 | 80 | მოზამბიკი | 412 | 156 | 156 | ლიხტენშტაინი | 125 |
| 19 | 22 | უკრაინა | 891 | 88 | 85 | სუდანი | 408 | 157 | 159 | ლიბანი | 120 |
| 20 | 23 | სერბეთი | 870 | 89 | 87 | პერუ | 407 | 157 | 160 | ერიტრია | 120 |
| 21 | 19 | კამერუნი | 855 | 90 | 90 | ზამბია | 404 | 159 | 163 | მალაიზია | 109 |
| 22 | 24 | შოტლანდია | 840 | 91 | 94 | ბენინი | 402 | 160 | 166 | ფილიპინები | 108 |
| 23 | 20 | *ბულგარეთი* | 838 | 92 | 92 | ალბანეთი | 400 | 161 | 162 | შრი ლანკა | 107 |
| 24 | 29 | დანია | 836 | 92 | 94 | ისლანდია | 400 | 162 | 150 | ყირგიზეთი | 105 |
| 25 | 21 | ისრაელი | 827 | 94 | 96 | ყატარი | 385 | 163 | 157 | მავრიტანია | 104 |
| 26 | 25 | მექსიკა | 822 | 94 | 105 | კაპო ვერდე | 385 | 164 | 161 | ლესოტო | 100 |
| 27 | 27 | ჩრდ. ირლანდია | 820 | 96 | 84 | რუანდა | 375 | 164 | 164 | სოლომონი | 100 |
| 28 | 28 | რუმინეთი | 790 | 97 | 91 | ანგოლა | 374 | 166 | 165 | ფარერები | 96 |
| 29 | 32 | ავსტრალია | 779 | 98 | 97 | ჩინეთი | 363 | 167 | 167 | პაკისტანი | 88 |
| 30 | 30 | ნიგერია | 770 | 99 | 100 | კუბა | 353 | 168 | 169 | სომალი | 82 |
| 31 | 35 | იაპონია | 766 | 100 | 102 | სალვადორი | 352 | 169 | 170 | კაიმანი | 76 |
| 31 | 33 | შვედეთი | 766 | 101 | 106 | ზიმბაბვე | 346 | 170 | 173 | ნეპალი | 75 |
| 33 | 38 | ბოსნია | 763 | 102 | 109 | კენია | 344 | 171 | 174 | ბანგლადეში | 73 |
| 34 | 34 | *ირლანდია* | 762 | 102 | 103 | გრენადა | 344 | 171 | 172 | ლაოსი | 73 |
| 35 | 39 | ჰონდურასი | 761 | 104 | 101 | სირია | 341 | 171 | 168 | ტაივანი | 73 |
| 36 | 31 | განა | 750 | 105 | 110 | **საქართველო** | 339 | 174 | 171 | მავრიკეთი | 70 |
| 37 | 26 | ჩილე | 746 | 106 | 106 | ჩრდ. კორეა | 338 | 175 | 175 | პალესტინა | 69 |
| 38 | 36 | კოტდივუარი | 745 | 106 | 96 | მოლდოვა | 338 | 176 | 176 | მონღოლეთი | 68 |
| 39 | 40 | პოლონეთი | 722 | 108 | 108 | ფიჯი | 333 | 177 | 179 | ბელიზი | 64 |
| 40 | 37 | ეგვიპტე | 719 | 109 | 104 | ტანზანია | 332 | 177 | 177 | სამოა | 64 |
| 41 | 41 | კოსტა რიკა | 694 | 110 | 117 | *ჩერნოგორია* | 331 | 179 | 179 | კამბოჯა | 63 |
| 42 | 47 | სლოვაკეთი | 693 | 111 | 112 | მალავი | 323 | 180 | 178 | სეიშელი | 61 |
| 43 | 43 | უნგრეთი | 687 | 112 | 111 | გვატემალა | 311 | 181 | 181 | ბაჰამი | 53 |
| 44 | 42 | ეკვადორი | 686 | 113 | 113 | ესტონეთი | 297 | 182 | 182 | კაიკოსი | 51 |
| 45 | 44 | კოლუმბია | 678 | 114 | 116 | ანტიგუა | 296 | 183 | 186 | ბრუნეი | 46 |
| 46 | 46 | ს. კორეა | 654 | 114 | 115 | ბერმუდა | 296 | 184 | 183 | ავღანეთი | 44 |
| 47 | 45 | ნორვეგია | 638 | 116 | 113 | ტაილანდი | 290 | 185 | 184 | ჯიბუტი | 41 |
| 48 | 48 | გაბონი | 616 | 117 | 118 | ქუვეითი | 289 | 186 | 184 | დომინიკის რ. | 40 |
| 49 | 51 | ფინეთი | 614 | 118 | 123 | ბოტსვანა | 278 | 187 | 186 | გვინეა-ბისაუ | 38 |
| 50 | 57 | ბურკინა ფასო | 608 | 118 | 101 | ეთიოპია | 278 | 188 | 188 | გუამი | 34 |
| 51 | 52 | ტუნისი | 597 | 120 | 120 | ბარბადოსი | 277 | 189 | 189 | სტ. ლუსია | 32 |
| 52 | 53 | ირანი | 587 | 120 | 126 | ლუქსემბურგი | 277 | 189 | 189 | ტაიტი | 32 |
| 53 | 53 | გვინეა | 586 | 122 | 120 | საემიროები | 268 | 189 | 189 | ტონგა | 32 |
| 54 | 49 | მალი | 583 | 123 | 129 | სურინამი | 266 | 192 | 194 | ბუტანი | 30 |
| 55 | 50 | მაროკო | 571 | 124 | 122 | ჰაიტი | 264 | 192 | 192 | ბრიტ. ვირჯინია | 30 |
| 56 | 55 | ს. არაბეთი | 568 | 125 | 119 | ეკვატ. გვინეა | 261 | 194 | 193 | მაკაუ | 28 |
| 56 | 56 | ვენესუელა | 568 | 126 | 127 | იორდანია | 259 | 195 | 195 | არუბა | 22 |
| 58 | 58 | ბოლივია | 565 | 127 | 127 | გვიანა | 255 | 196 | 196 | ანდორა | 17 |
| 59 | 61 | ლატვია | 552 | 128 | 124 | ნამიბია | 249 | 197 | 197 | დომინიკა | 12 |
| 60 | 59 | ლიტვა | 544 | 129 | 130 | ჩადი | 246 | 198 | 198 | ტიმორ-ლესტე | 9 |
| 61 | 60 | პანამა | 536 | 130 | 131 | მადაგასკარი | 241 | 199 | 199 | კომოროსი | 8 |
| 61 | 63 | სლოვენია | 536 | 131 | 125 | სომხეთი | 239 | 199 | 199 | აშშ-ს ვირჯინია | 8 |
| 63 | 62 | ბელგია | 518 | 132 | 137 | ყაზახეთი | 230 | 201 | 201 | ცენტრ. აფრიკა | 4 |
| 64 | 64 | მაკედონია | 515 | 133 | 132 | ახ. კალედონია | 229 | 202 | 202 | სან მარინო | 0 |
| 65 | 69 | გამბია | 514 | 134 | 134 | სინგაპური | 226 | 202 | 202 | ანგილა | 0 |
| 66 | 72 | ალჟირი | 490 | 135 | 136 | ვიეტნამი | 224 | 202 | 202 | მონსერატი | 0 |
| 67 | 68 | უგანდა | 480 | 136 | 138 | ლიბერია | 221 | 202 | 202 | ამერიკის სამოა | 0 |
| 68 | 65 | ტოგო | 475 | 137 | 135 | სვაზილენდი | 218 | 202 | 202 | კუკის კ-ბი | 0 |
| 69 | 83 | ლიბია | 474 | 138 | 139 | ინდონეზია | 209 | 202 | 202 | პაპუა ახ. გვინეა | 0 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა



www.fcdinamo.ge

# კაშიამ დარჩენა თქვა

**თბილისის** „დინამოს" ფეხბურთელმა შოთა კაშიამ კიდევ ერთი წლით გადაწყვიტა გუნდში დარჩენა. ამგვარად, 24 წლის კაშიასთვის ეს იქნება ზედიზედ მე-9 სეზონი „დინამოში"...

„ერთი სეზონი კიდევ დავეხმარები ჩემს საყვარელ გუნდს. ჩემს თანაგუნდელებთან ერთად მაქსიმუმს გავილებ, რათა მომავალ სეზონში ჩემპიონობა დავიბრუნოთ და თასის და სუპერთასის შენარჩუნებაც შევძლოთ. „დინამო" ხომ ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის" — განუცხადა შოთა კაშიამ კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს.

შეგახსენებთ, რომ ზამთარში ის ოდესის „ჩერნომორეცში" ცდილობდა გადასვლას, თუმცა საბოლოოდ მაინც „დინამოში" მიბრუნდა.

**კახა ზალამბერიძე**

# ოვონო დინამოს დაემშვიდობა



**გაბონის** ნაკრების მეკარე დიდიე ოვონო უკვე გამოემშვიდობა თბილისის „დინამოს" და ფრანგულ „ლე მანს" მიაშურა.

გეცოდინებათ, ოვონომ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა ფრანგებთან, „დინამომ" კი ამ ტრანსფერით 700 ათასი ევრო მიიღო.

„საქართველოში დაუვიწყარი წლები გავატარე. „დინამოში" გატარებულ პერიოდს ყოველთვის სიამოვნებით მოვიგონებ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ყოველთვის თქვენი გულშემატკივარი ვიქნები" — ეს სიტყვები უთხრა ოვონომ წასვლის წინ თბილისის „დინამოს" ოფიციალურ ვებგვერდს.

**კახა ზალამბერიძე**

# დინამოს თასს ულოცავენ

**„დინამოელებო,** გილოცავთ მორიგ წარმატებას — საქართველოს თასის დაუფლებას. მიუხედავად იმ ბარიერებისა, რომელსაც ხელოვნურად უქმნიდნენ დინამო თბილისს, თქვენმა ბრძოლამ უშედეგოდ არ ჩაიარა. რასაც თქვენ მიაღწიეთ, მათ შორის, ეროვნულ ჩემპიონატშიც, მაქსიმუმია შექმნილ სიტუაციაში.

გილოცავთ და გისურვებთ, მომავალი გამარჯვებებით არაერთხელ გაგეხარებინოთ ქართული ფეხბურთის გულშემატკივრები".

*ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი*

**საქართველოს** დავით ყიფიანის სახელობის „კაზბეგის" თასის გათამაშებაში გამარჯვება თბილისის „დინამოს" უცხოური კლუბებიდან პირველმა იტალიურმა „მილანმა" მიულოცა:

„მილანის" მთელი ოჯახი გილოცავთ საქართველოს თასის მეცხრედ დაუფლებას" — წერს „მილანის" ხელმძღვანელი ადრიანო გალიანი.

*„მილანი", იტალია*

# ვიტ ჯორჯიას განცხადება

**სამშაბათს,** 9 ივნისს, 16 საათზე ფეხბურთის კლუბ „ვიტ ჯორჯიას" ოფისში მცხეთის „არმაზის" სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოების პრეზენტაცია გაიმართება.

პრეზენტაციას ფეხბურთის კლუბ „ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელობასთან ერთად ფეხბურთის ფედერაციისა და ფეხბურთის პროფესიული ლიგის ხელმძღვანელობა დაესწრება. მათ გარდა წარმოდგენილნი იქნებიან ის ფირმებიც, რომლებიც სტადიონის გაზონის კეთილმოწყობისა და სხვადასხვა სამუშაოებს შეასრულებენ. მხარეებს შორის გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

პრეზენტაციის შემდეგ მასმედიის წარმომადგენლებისთვის პრესკონფერენცია გაიმართება.

*„ვიტ ჯორჯიას" პრესსამსახური*

# ზესტაფონი ტენდერს აცხადებს

**საფეხბურთო** კლუბი „ზესტაფონი" ქალაქ ზესტაფონში საფეხბურთო ბაზის მშენებლობასთან დაკავშირებით ტენდერს აცხადებს. მასში მონაწილეობის მიღება ყველა დაინტერესებულ ქართულ და უცხოურ იურიდიულ პირს შეუძლია.

*„ზესტაფონის" პრესსამსახური*

## მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# ჰოლანდია პირველი აფრიკელია



კრისტიან სიგურდსონის ამ გოლმა ჰოლანდიელები სულაც ვერ დააღონა

### I ჯგუფი

**შვედეთი 0:1 დანია**

0:1 კალენბერგი (22)
კალსტრიომმა მე-12 წუთზე პენალტი ვერ გაიტანა ( მეკარე)
**შვედეთი:** ისაკსონი, მელბერგი, მასტროვიჩი, ნილსონი (სებასტიან ლარსონი 80), იოჰანსონი, ვილჰელმსონი (ელმანდერი 58), ანდერსონი (ვიქტორ ელმი 68), კალსტრიომი, რასმუს ელმი, ჰენრიკ ლარსონი, იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: ლარს ლაგერბეკი
**დანია:** სორენსენი, იაკობსენი, იაკობ პოულსენი, აგერი, კრისტიან პოულსენი (აუგუსტინუსენი 72), კიაერი, კალენბერგი, კვისტი, რომედალი, იორგენსენი (გრონკიაერი 56), ბენდტნერი (ბერნბურგი 84)
მწვრთნელი: მორტენ ოლსენი
გაფრთხილება: კალსტრიომი, იაკობსენი, რომედალი, სორენსენი
მსაჯი: მაიკლ რაილი

**ალბანეთი 1:2 პორტუგალია**

0:1 ალმეიდა (28), 1:1 ბოგდანი (29), 1:2 ბრუნო ალვეში (90)
**ალბანეთი:** ჰიდი, ბექირი, აგოლი, კური, ვანგელი, ვრაპი, შკელა, დურო (ბერიშა 87), კანა, ბულკუ (ბილიკბაში 90), ბოგდანი (სალიჰი 64)
მწვრთნელი: იოსიპ კუზე
**პორტუგალია:** ედუარდო, ბოსინგვა, კარვალიუ (ნანი 75), პეპე, ბრუნო ალვეში, დეკუ, დუდა, მეირელეში, ბოა მორტე (სიმაუ 46), რონალდუ, ალმეიდა (ედინიო 68)
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
გაფრთხილება: კური, ვაგელი, აგოლი, ჰიდი, მეირელეში, პეპე
მსაჯი: ფლორიან მაიერი

**დანიამ** თომას კალენბერგის გოლით მოიგო სტოკჰოლმში და უნგრეთს სამი ქულით გაუსწრო.

„დიდი ნაბიჯი გადავდგით მსოფლიოს ჩემპიონატისკენ, მაგრამ ჯერ აქ არ ვართ — თქვა მორტენ ოლსენმა — ფიზიკურად ჩემი ფეხბურთელები ჯანზე არიან და ასეთ მატჩებში ეს გადამწყვეტი ფაქტორია".

მე-12 წუთზე სტუმართა კარში პენალტი დაინიშნა, მაგრამ კალსტრიომის სუსტად დარტყმული სორენსენმა იოლად მოიხელთა.

გოლის მერე კი რომედალს შეძლო მეორის გატანა და ერთი მეტრიდან კარს ააცილა.

იტალიის ჩემპიონატის ბომბარდირმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა თავი ვერაფრით გამოიჩინა, რადგან ოლსენმა შვედი ფორვარდი ორ მცველს „ჩააბარა" და აგერმა და კიაერმა „იბრა" ამოკეტეს.

ბრუნო ალვეშის ბოლოწუთურმა გოლმა პორტუგალია ზედიზედ მეოთხე ფრისგან იხსნა და ჯგუფიდან გასვლის შანსი შეუნარჩუნა.

ალბანეთის ნაკრების მწვრთნელ იოსიპ კუჟესთვის სადებიუტო მატჩი მარცხით დასრულდა.

კარლუშ კეიროშს სკამი უკვე მორყეული აქვს და ეგებ ამ მოგებამ ცოტა გაამყაროს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 6 | 5 | 1 | 0 | 13:2 | 16 |
| უნგრეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 8:2 | 13 |
| პორტუგალია | 6 | 2 | 3 | 1 | 8:4 | 9 |
| შვედეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 2:2 | 6 |
| ალბანეთი | 8 | 1 | 3 | 4 | 4:8 | 6 |
| მალტა | 7 | 0 | 1 | 6 | 0:17 | 1 |

**ოთხშაბათს**

**შვედეთი — მალტა**

### III ჯგუფი

**სლოვაკეთი 7:0 სან მარინო**

1:0 ჩეხი (3), 2:0 ჰეკარიკი (12), 3:0 ჩეხი (32), 4:0 სტოხი (35), 5:0 კოზაკი (42), 6:0 იაკუბკო (63), 7:0 ჰანზელი (68)
გაფრთხილება: ჰანზელი, სტოხი (სლოვაკეთი), მიკელე მარანი, მაურო მარანი, ანდრეინი
მსაჯი: ერომე ნზოლო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 17:6 | 15 |
| ჩრდ. ირლანდია | 7 | 4 | 1 | 2 | 12:6 | 13 |
| პოლონეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 18:7 | 10 |
| ჩეხეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:4 | 8 |
| სლოვენია | 6 | 2 | 2 | 2 | 5:4 | 8 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 1:32 | 0 |

### IV ჯგუფი

**აზერბაიჯანი 0:1 უელსი**

0:1 ედვარდსი (42)
გაფრთხილება: მორგანი (უელსი)
მსაჯი: მარკუს შტრომბერგსონი

**ფინეთი 2:1 ლიხტენშტაინი**

0:1 ფრიკი (13), 1:1 ფორსელი (33), 2:1 იოჰანსონი (71)
გაფრთხილება: პოლვერინო, რორერი (ლიხტენშტაინი)
მსაჯი: ლიბორ კოვარიკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 6 | 5 | 1 | 0 | 18:4 | 16 |
| რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:3 | 12 |
| ფინეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:7 | 10 |
| უელსი | 7 | 3 | 0 | 4 | 5:7 | 9 |
| აზერბაიჯანი | 5 | 0 | 1 | 4 | 0:5 | 1 |
| ლიხტენშტაინი | 6 | 0 | 1 | 5 | 1:15 | 1 |

**ოთხშაბათს**

**ფინეთი — რუსეთი**

### VI ჯგუფი

**ყაზახეთი 0:4 ინგლისი**

0:1 ბერი (40), 0:2 ჰესკი (45), 0:3 რუნი (73), 0:4 ლამპარდი ( 78 პენ)
**ყაზახეთი:** მოხინი, კისლიცინი, ლოგვიენკო,კიროვი, აბდულინი, კარპოვიჩი, სკორიხი, კუკეიევი, ოსტაპენკო (იბრაიევი 27), ნუსრბაიევი, ავერჩენკო
მწვრთნელი: ბერნდ სტორკი
**ინგლისი:** გრინი, აპსონი, კოული, ტერი, ჯონსონი (ბექჰემი 75), ჯერარდი, ბერი, ლამპარდი, უოლკოტი (რაიტ-ფილიპსი 45), ჰესკი (დეფო 81), რუნი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ნუსრბაიევი, აბდულინი (ყაზახეთი), ბერი (ინგლისი)
მსაჯი: კრისტინ იაკობსონი

**ბელარუსი 5:1 ანდორა**

1:0 ბლიზნიუკი (2), 2:0 კალაჩევი (44), 3:0, 4:0 კორნილენკო (50, 66), 5:0 ბლიზნიუკი (76), 5:1 სოლა ლიმა (90 პენ)
გაფრთხილება: ალვარესი, სონეიე, სოლა ლიმა (ანდორა)
მსაჯი: რობერტ კრაინცი

**ხორვატია 2:2 უკრაინა**

1:0 პეტრიჩი (2), 1:1 შევჩენკო (13), 1:2 გაი (54), 2:2 მოდრიჩი (68)
**ხორვატია:** რუნიე, შიმუნიცი, კოვაჩი, ჩორლუკა, სრნა, პრანიჩი, რაკიტიჩი (ვუკოიევიჩი 46), მოდრიჩი, იურიჩი (ლეკო 46), პეტრიჩი, ოლიჩი (მანჯუკიჩი 60)
მწვრთნელი: სლავენ ბილიჩი
**უკრაინა:** პიატოვი, ჩიგრინსკი, შევჩუკი, კუჩერი, მანძიუკი, ტიმოშჩუკი (რუსოლი 86), როტანი, ნაზარენკო (კალინიჩენკო 75), გაი, შევჩენკო (სელეზნიოვი 22), მილევსკი
მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო
გაფრთხილება: სრნა, ლეკო, სელეზნიოვი, ნაზარენკო, მანჯიუკი
მსაჯი: ტერიე ჰაუგე

**მეორე** წუთზე დაწინაურებულ ხორვატებს ქულა გაუხდათ გადასარჩენი და საბოლოოდ ფრეს დასჯერდნენ.

სრნას საჯარიმო დარტყმა მეკარემ მოიგერია, პეტრიჩმა კი დაამატა და ანგარიში გახსნა.

ანდრეი შევჩენკომ თავურით გაათანაბრა და „მილანის" ფორვარდი ტრავმის გამო მალე შეცვალეს.

ასევე თავურით გაიმ სტუმრები წინ გაიყვანა, მეორე ტაიმში კი მანჯუკიჩი-მოდრიჩის კომბინაცია გოლით დასრულდა.

„მოედნის ცენტრში უკრაინა გვჯობდა პირველ ტაიმში, მაგრამ ლეკოს და ვუკოიევიჩის შესვლის შემდეგ ვითარება ჩვენს სასარგებლოდ შეიცვალა — თქვა სლავენ ბილიჩმა — თუ გავიხსნებთ, რომ მეორე ტაიმში ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, შედეგით კმაყოფილი ვერ ვიქნები".

დარიო სრნამ უკრაინელი მეკარე შეაქო: „ჩემი აზრით, დღევანდელ მატჩში საუკეთესო პიატოვი იყო".

ლონდონიდან ალმათიში ჩასულ ინგლისის ნაკრებს ყაზახებმა პიატოვივით მეკარე ვერ დაახვედრეს და ოთხი გოლი გაუშვეს, თუმც კი თავიდან გვარიანი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს.

„ძალიან კარგად დაიწყეს და პრესინგს გვეთამაშებოდნენ — თქვა კაპელომ — ასეთი გუნდები, როგორც წესი, ყოველთვის მონდომებით იწყებენ, მაგრამ ბოლოს კლასს მაინც თავისი გააქვს.

მოედანი არ ვარგოდა და ბურთის გაგორება გვიჭირდა სანამ გავშინაურდებოდით".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 6 | 6 | 0 | 0 | 20:4 | 18 |
| ხორვატია | 6 | 3 | 2 | 1 | 12:6 | 11 |
| ბელარუსი | 5 | 3 | 0 | 2 | 14:7 | 9 |
| უკრაინა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| ყაზახეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 6:20 | 3 |
| ანდორა | 6 | 0 | 0 | 6 | 2:19 | 0 |

**ოთხშაბათს**

**უკრაინა — ყაზახეთი**

**ინგლისი — ანდორა**

### VII ჯგუფი

**ლიტვა 0:1 რუმინეთი**

0:1 მარიკა (39)
გაფრთხილება: პილიბაიტისი, ჩესნაუსკისი, კლიმავიჩიუსი (ლიტვა), დანჩულესკუ, აპოსტოლი (რუმინეთი)
მსაჯი: იოჰან ერიკსონი

**სერბეთი 1:0 ავსტრია**

1:0 მილიაში (7 პენ)
გაფრთხილება: რუკავინა, იანკოვიჩი, სტანკოვიჩი (სერბეთი), გსპურნინგი, შარნერი, ლექსა (ავსტრია)
მსაჯი: პიტერ ვინკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 13:5 | 15 |
| საფრანგეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:6 | 10 |
| ლიტვა | 7 | 3 | 0 | 4 | 6:6 | 9 |
| ავსტრია | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | 7 |
| რუმინეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | 7 |
| ფარერები | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | 1 |

**ოთხშაბათს**

**ფარერები — სერბეთი**

### IX ჯგუფი

**მაკედონია 0:0 ნორვეგია**

გაფრთხილება: ჰანგელანდი, ბიორნ ჰალგე რიისე (ნორვეგია)
მსაჯი: პაოლო ტალიავენტო

**ისლანდია 1:2 ჰოლანდია**

0:1 დე იონგი (9), 0:2 ვან ბომელი (16), 1:2 სიგურდსონი (88)
**ისლანდია:** გუნლეიფსონი, ჰრეიდარსონი, სტეინსონი, ინდრიდი სიგურდსონი, ერიკსონი (სმარასონი 75), კრისტიან სიგურდსონი, დანიელსონი (ბრინიარ გუნარსონი 46), გისლასონი (არონ გუნარსონი 67), პალმასონი, სავარსონი, გუდიონსენი
მწვრთნელი: ოლაფურ იოჰანესონი
**ჰოლანდია:** შტეკელენბურგი, ვან ბრონკჰორსტი, ჰეიტინგა, მატიისენი, ოიერი, ვან დერ ვაარტი (ბაბელი 75), რობენი, ვან ბომელი, დე იონგი (და სილვა 79), კუიტი (ჰუნტელაარი 67), ვან პერსი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
გაფრთხილება: გისლასონი, გუნარსონი, ჰრეიდარსონი, დე იონგი
მსაჯი: მაიკლ დინი

**ევროპელთაგან** პირველმა ჰოლანდიამ გაინაღდა სამხრეთ აფრიკის საგზური.

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი წლით ადრე ბერტ ვან მარვიიკის გუნდმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიბევა — ექვსიდან ექვსი მოგებით.

ნაიჯელ დე იონგმა ვან დერ ვაარტის პასით შეაგდო, ვან ბომელმა კი საჯარიმოს გარედან დაუმიზნა კარგად.

დასრულებამდე ორი წუთით ადრე სიგურდსონმა ახლოდან თავურით შეაგდო.

„მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ზედიზედ ექვსი გამარჯვების გამო კომპლიმენტებს ვიმსახურებთ — თქვა ბერტ ვან მარვიიკმა — ახლა ერთი წელი გვაქვს მოსამზადებლად, მაგრამ მინდა, რომ ჯგუფში დარჩენილი ორი თამაშიც მოვიგოთ".

**მაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 6 | 6 | 0 | 0 | 14:2 | 18 |
| შოტლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | 7 |
| ისლანდია | 6 | 1 | 1 | 4 | 6:10 | 4 |
| მაკედონია | 5 | 1 | 1 | 3 | 2:7 | 4 |
| ნორვეგია | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |

**ოთხშაბათს**

**მაკედონია — ისლანდია**

**ჰოლანდია — ნორვეგია**



კრიშტიანუ რონალდუ და პორტუგალია მეოთხე ფრეს ძლივს გადაურჩნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ახალი ევროპის თეორია და პრაქტიკა

## გაიოლებული გზა ლიგაში მოსახვედრად, ოღონდ გააჩნია ვისთვის...

UEFA EUROPA LEAGUE

**მოგეხსენებათ**, ახალი სეზონიდან ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი ახლებური ფორმატით ჩატარდება, ხოლო უეფას თასი ევროპის ლიგად გადაკეთდა და ცვლილება მხოლოდ სახელს არ შეეხო.

აქამდე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე პირდაპირ 16 გუნდი დაიშვებოდა, დანარჩენი 16 ადგილისთვის კი გუნდები საკვალიფიკაციო ეტაპებზე იბრძოდნენ. ახლა ფორმატი შეიცვალა და ჯგუფში პირდაპირი წესით 22 გუნდი შედის. თუ ადრე დიდი ჩემპიონატებიდან (ინგლისი, იტალია, ესპანეთი...) ჯგუფში პირდაპირ ორ-ორი გუნდი ხვდებოდა, ახლა ბობოლებს ერთით მეტი გუნდის შეყვანის უფლება მიეცათ და ადგილდაბევებულთა რაოდენობა 16-დან 22-მდე ამიტომ გაიზარდა. შესაბამისად, გასათამაშებელი მხოლოდ 10 საგზური დარჩა.

საკვალიფიკაციო ეტაპი კი ორად გაიყო. ერთს „ჩემპიონთა გზა“ ჰქვია, მეორეს კი — „საუკეთესოთა გზა“.

ჩემპიონთა გზა ისეთივეა, როგორც აქამდე [illegible]. პირველ ეტაპზე ოთხი უსუსტესი გუნდი არკვევს ერთმანეთში ურთიერთობას, მერე კი კიდევ სამი ეტაპი თამაშდება, რომელთა გავლის მერეც ხუთი საუკეთესო გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ამოყოფს თავს.

საუკეთესოთა გზა კი ასეთია: პირველ ეტაპზე ათი გუნდი ხვდება ერთმანეთს, ხუთ გამარჯვებულს კი პლეი ოფში კიდევ ხუთი გუნდი ემატება და მათგან გამარჯვებულები ასევე ხუთ ადგილს მიიღებენ ჩემპიონთა ლიგაში.

საუკეთესოთა გზით ის გუნდები მიდიან ლიგისკენ, რომლებიც ბობოლა ჩემპიონატებს წარმოადგენენ, მაგრამ ლიგაში პირდაპირ ვერ მოხვდნენ. მაგალითად, ლონდონის „არსენალი“ ავიღოთ — ეს გუნდი დიდი ჩემპიონატიდანაა, მაგრამ სამ საუკეთესო ინგლისურ გუნდში ვერ მოხვდა და ამიტომ ლიგაში შესვლას ამ გზით ეცდება.

ჩემპიონთა გზის და საუკეთესოთა გზის ის ათი გუნდი, რომლებიც ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე დამარცხდებიან, ავტომატურად გადავლენ ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე.

და რას მოასწავებს ახალი წესი საქართველოს ჩემპიონისთვის? პრაქტიკული თვალსაზრისით არაფერს.

საქართველოს ჩემპიონს ლიგაში მოსახვედრად კვლავ სამი ეტაპის დაძლევა სჭირდება, ოღონდაც გარანტირებულია, რომ გზად ინგლისის, იტალიის, ესპანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის კლუბები არ შეხვდება. თეორიულად ეს, ცხადია, ლიგაში მოხვედრის მეტ შანსს ნიშნავს, მაგრამ პრაქტიკა ხომ გვიჩვენებს, რომ ქართული კლუბები ავსტრიული თუ პოლონური გუნდების დამმარცხებლებიც არ არიან?!

ევროპის ლიგაში კი, უეფას თასისგან განსხვავებით, ცვლილება ის არის, რომ საკვალიფიკაციო ეტაპის მერე 12 ოთხგუნდიანი ჯგუფი გაკეთდება, სადაც გუნდები ორ წრეს შეხვდებიან ერთმანეთს (უეფას თასზე ხუთგუნდა ჯგუფები და ერთი წრე იყო).

ამის მერე 24 საუკეთესო გუნდი და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპიდან გადმოსული 8 მესამეადგილოსანი 1/16 ფინალიდან გააგრძელებენ ევროპის ლიგის მოსაგებად ბრძოლას.

ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე გუნდების გეოგრაფიული ნიშნით განთესვაც ხდება. საქართველო ცენტრალურ-აღმოსავლეთ ზონაშია და „ოლიმპისა“ და „ზესტაფონის“ სავარაუდო მეტოქეები ესენი არიან:

**ინტერი** აზერბაიჯანი
**სიმურგი** აზერბაიჯანი
**ირტიში** ყაზახეთი
**ოქჟეპტესი** ყაზახეთი
**მიკა** სომხეთი
**ბანანცი** სომხეთი

თუმცა შესაძლოა, ზონებში კენტად დარჩენის შემთხვევაში, ჩვენი გუნდების სავარაუდო მეტოქეებად სხვა ზონის გუნდიც იქცეს.

ერთიც: ჩამონათვალში გუნდები კოეფიციენტების მიხედვით არიან დალაგებულნი და იმის შესაბამისად, რომელი გუნდები გავლენ მომდევნო ეტაპებზე, შესაძლოა, ზოგიერთები განუთესავებიდან განთესილებში გადაბარგდნენ.

**გიორგი დარჯანია**



„ვიტ ჯორჯიასთვის“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ყველაზე სასურველი მეტოქე, კოეფიციენტის მიხედვით, „ეკრანასია“ (ზედა ფოტოზე), ხოლო არასასურველი — „კოპენჰაგენი“



## ჩემპიონთა ლიგა

### ჩემპიონთა გზა

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

განთესილები:
**მოგრენი** ჩერნოგორია
**სანტა ჯულია** ანდორა

განუთესავები:
**ჰიბერნიანი** მალტა
**ტრე ფიორი** სან მარინო

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

განთესილები:
**კოპენჰაგენი** დანია
**ლევსკი** ბულგარეთი
**პარტიზანი** სერბეთი
**მაკაბი ჰაიფა**, ისრაელი
**დინამო** ხორვატია
**ვისლა** პოლონეთი
**ბატე** ბელარუსი
**ზალცბურგი** ავსტრია
**კალმარი** შვედეთი
**აპოელი** კვიპროსი
**სტაბეკი** ნორვეგია
**სლოვანი** სლოვაკეთი
**ვენტსპილსი** ლატვია
**მარიბორი** სლოვენია
**ჰაფნარფიორდი** ისლანდია
**ინტერი** ფინეთი
**ეკრანასი** ლიტვა

განუთესავები:
**ბოჰემიანსი** ირლანდია
**მოსტარი** ბოსნია
**დებრეცენი** უნგრეთი
**ვიტ ჯორჯია** საქართველო
**შერიფი** მოლდოვა
**მაკედონია** მაკედონია
**ბაკი** აზერბაიჯანი
**ლევადია** ესტონეთი
**ტირანა** ალბანეთი
**აქტობე** ყაზახეთი
**პიუნიკი** სომხეთი
**რილი** უელსი
**გლენტორანი** ჩრდ. ირლანდია
**სტეიმური** ფარერები
**დუდელანჟი** ლუქსემბურგი
*2 გუნდი I ეტაპიდან*

**III საკვალიფიკაციო ეტაპი**

განთესილები:
**ოლიმპიაკოსი** საბერძნეთი
**სლავია** ჩეხეთი
**ციურიხი** შვეიცარია
*17 გუნდი II ეტაპიდან*

**პლეი ოფი**

*10 გუნდი გაითამაშებს ჯგუფური ეტაპის 5 ადგილს*

### საუკეთესოთა გზა

**III საკვალიფიკაციო ეტაპი**

განთესილები:
**შახტარი** უკრაინა
**სპორტინგი** პორტუგალია
**პანათინაიკოსი** საბერძნეთი
**სელტიკი** შოტლანდია
**ანდერლეხტი** ბელგია

განუთესავები:
**სპარტა** ჩეხეთი
**დინამო** რუმინეთი
**ტვენტე** ჰოლანდია
**დინამო** რუსეთი
**სივასი** თურქეთი

**პლეი ოფი**

გაითამაშებენ ჯგუფური ეტაპის 5 ადგილს

განთესილები:
**არსენალი** ინგლისი
**ლიონი** საფრანგეთი

სავარაუდოდ განუთესავები:
**შტუტგარტი** გერმანია
**ფიორენტინა** იტალია
**ატლეტიკო** ესპანეთი
*5 გუნდი III ეტაპიდან*

### ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებენ

**I კალათა**
**ბარსელონა** ესპანეთი
**ლივერპული** ინგლისი
**ჩელსი** ინგლისი
**მანჩესტერი** ინგლისი
**მილანი** იტალია
**სევილია** ესპანეთი
**ბაიერნი** გერმანია

**II კალათა**
**ინტერი** იტალია
**რეალი** ესპანეთი
**ცსკა** რუსეთი
**პორტუ** პორტუგალია
**ალკმაარი** ჰოლანდია

**III კალათა**
**იუვენტუსი** იტალია
**რეინჯერსი** შოტლანდია
**მარსელი** საფრანგეთი
**დინამო** უკრაინა
**ბორდო** საფრანგეთი
**ბეშიქთაში** თურქეთი

**IV კალათა**
**ვოლფსბურგი** გერმანია
**სტანდარდი** ბელგია
**რუბინი** რუსეთი
**უნირეა** რუმინეთი




ასე გამოიყურება ევროპის საფეხბურთო ზონებად დაყოფის რუკა

## ევროპის ლიგა

### I საკვალიფიკაციო ეტაპი

განთესილები:
რუსენბორგი ნორვეგია
ანორთოსისი კვიპროსი
ჰელსინგბორგი შვედეთი
მოზერუელი შოტლანდია
რანდერსი დანია
პოლონია პოლონეთი
ბანეი იეჰუდა ისრაელი
სპარტაკი სლოვაკეთი
სლავენი ხორვატია
ლაჰტი ფინეთი
ვეტრა ლიტვა
სლიგო ირლანდია
დინაბურგი ლატვია
რუდარი სლოვენია
დინამო ბელარუსი
მტზ-რიპო ბელარუსი
შიროკი ბრიეგი ბოსნია
ჰალადაში უნგრეთი
ოლიმპი საქართველო
ზესტაფონი საქართველო
ზიმბრუ მოლდოვა
კეფლავიკი ისლანდია
ფრამი ისლანდია

განუთესავები:
რენოვა მაკედონია
ინტერი აზერბაიჯანი
სიმურგი აზერბაიჯანი
ტრნავა ესტორეთი
ნომე ესტონეთი
ვლაჟნია ალბანეთი
დინამო ალბანეთი
ირტიში ყაზახეთი
ოქჟეპტესი ყაზახეთი
მიკა სომხეთი
ბანანცი სომხეთი
ლანელი უელსი
ტნს უელსი
ლინფილდი ჩრდ. ირლანდია
ლისბურნი ჩრდ. ირლანდია
ტორსჰავნი ფარერები
გრევენმახერი ლუქსემბურგი
კარენლი ლუქსემბურგი
ბუდუჩნოსტი ჩერნოგორია
სეტუისკა ჩერნოგორია
ვალეტა მალტა
ბირკირკარა მალტა

### II საკვალიფიკაციო ეტაპი

განთესილები:
ბაზელი შვეიცარია
გალათასარაი თურქეთი
ოლბორგი დანია
ცრვენა ზვეზდა სერბეთი
ბრონდბიუ დანია
მეტალურგი უკრაინა
ჰელსინგბორგი შვედეთი
ჟილინა სლოვაკეთი
ტრომსიო ნორვეგია
რაპიდი ავსტრია
ფერეირა პორტუგალია
ბრედა ჰოლანდია
ლარისა საბერძნეთი
ელფსბორგი შვედეთი
ფოლკირკი შოტლანდია
ჩერნო მორე ბულგარეთი
გენტი ბელგია
სიგმა ჩეხეთი
ლეგია პოლონეთი
შტურმი ავსტრია
დინამო საქართველო
სევოინო სერბეთი
მაკაბი ნეთანია, ისარელი
ომონია კვიპროსი
სტ. პატრიკსი ირლანდია
დერი ირლანდია
ნოვა გორიცა სლოვენია
რიეკა ხორვატია
რაბოტნიჩკი მაკედონია
ჰიკ ფინეთი
ჰონკა ფინეთი

განუთესავები:
სუდუვა ლიტვა
კაუნასი ლიტვა
მეტალურგსი ლატვია
სკონტო ლატვია
ნაფტანი ბელარუსი
სლავია ბოსნია
სარაევო ბოსნია
უიპეშტი უნგრეთი
დაჩია მოლდოვა
ისკრა მოლდოვა
რეიკიავიკი ისლანდია
ვადუცი ლიხტენშტაიანი
მილანო მაკედონია
ყარაბახი აზერბაიჯანი
ფლორა ესტონეთი
ფლამურტარი ალბანეთი
ტობოლი ყაზახეთი
განძასარი სომხეთი
ბანგორი უელსი
კრუზეიდერსი ჩრდ. ირლანდია
ტორსჰავნი ფარერები
დიფენდაჟი ლუქსემბურგი
პერტოვაჩი ჩერნოგორია
სანტა კოლომა ანდორა
სლიემა მალტა
იუვენესი სან მარინო
*23 გუნდი I ეტაპიდან*

### III საკვალიფიკაციო ეტაპი

განთესილები:
რომა იტალია
პსვ ჰოლანდია
ჰამბურგი გერმანია
ფენერბაჰჩე თურქეთი
ლილი საფრანგეთი
ბრაგა პორტუგალია
ბრიუგე ბელგია
აუსტრია ავსტრია
მეტალისტი ხარკოვი, უკრაინა
ბილბაო ესპანეთი
ჰაპოელი თელ ავივი, ისრაელი
ფულემი ინგლისი
ცსკა ბულგარეთი
ოდენსე დანია
ლეხი პოლონეთი
ლიბერეცი ჩეხეთი
აბერდინი შოტლანდია
კრილია რუსეთი
პაოკ საბერძნეთი

განუთესავები:
იანგ ბოიზი შვეიცარია
ვოლერენგა ნორვეგია
ფრედრიკსტადი ნორვეგია
ვოივოდინა სერბეთი
კინირასი კვიპროსი
გეტებორგი შვედეთი
კოშიცე სლოვაკეთი
ჰაიდუკი ხორვატია
ლიუბლიანა სლოვენია
ჰონვედი უნგრეთი
*40 გუნდი II ეტაპიდან*

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი



ჟუანის გოლი ურუგვაელთა კარში

# მარადონა: აქ ვარ თუ იქ?

**ურუგვაი 0:4 ბრაზილია**

0:1 დანი ალვეში (11), 0:2 ჟუანი (35), 0:3 ლუიშ ფაბიანო (51), 0:4 კაკა (73 პენ)

**ურუგვაი:** ვიერა, გოდინ, მასიმილიანო პერეირა, კასერესი, ვალდესი, ვასკესი, დანიელ პერეირა (ფერნანდესი 65), პერესი (აბრეუ 45), ბარიოსი, ფორლანი, სუარესი (კავანი 73)

**მწვრთნელი:** ოსკარ ტაბარესი

**ბრაზილია:** სეზარი, ჟუანი, კლებერი, დანი ალვეში, ლუსიო, ჟილბერტო სილვა, კაკა (ბაპტიშტა 85), ელანო (რამირესი 65), ფელიპე მელო, ლუიშ ფაბიანო, რობინიო (ჟოსუე 85)

**მწვრთნელი:** კარლოს დუნგა

**გაფრთხილება:** ვალდესი, ლუიშ ფაბიანო

**გაძევება:** ლუიშ ფაბიანო (64), მასიმილიანო პერეირა (86)

**მსაჯი:** საულ ლავერნი

**არგენტინა 1:0 კოლუმბია**

1:0 დიასი (56)

**არგენტინა:** ანდუხარი, ჰაინცე, დიასი, დემიკელისი, მასკერანო, გაგო (ძანეტი 45), გუტიერესი, ვერონი, ტევესი (ბურდისო 83), მესი, აგუერო (დიეგო მილიტო 40)

**მწვრთნელი:** დიეგო მარადონა

**კოლუმბია:** ოსპინა, იეპესი, პერეა, არმერო (კონტრერო 81), საპატა, ვარგასი, სუნიგა, გუარინი, მარინი (რამოსი 65), გარსია (როდალეგა 72), რენტერია

**მწვრთნელი:** ედუარდო ლარა

**გაფრთხილება:** მასკერანო, დემიკელისი, პერეა, მარინი, არმერო, ვარგასი

**მსაჯი:** რენე ორტუბე

**ბოლივია 0:1 ვენესუელა**

0:1 ლუის სეიხასი (32)

**გაფრთხილება:** რეიესი, იეკეროტე, მორენო (ბოლივია), გარსია, ფლორესი, დი ჯორჯო, ბოადა, რენდონი, პეროსო, რომო (ვენესუელა)

**მსაჯი:** ვერა როდრიგესი

**პარაგვაი 0:2 ჩილე**

0:1 ფერნანდესი (13), 0:2 სუასო (50)

**გაფრთხილება:** კასერესი, მანსური, კარდოსო, ვალდესი (პარაგვაი), კარმონა, ესტრადა (ჩილე)

**მსაჯი:** სერხიო პესოტა

**კოლუმბიასთან** მატჩის შემდეგ დიეგო მარადონა უკმაყოფილო იყო გუნდის თამაშით.

არგენტინელთა მწვრთნელმა თქვა, რომ უფერული პირველი ტაიმის შემდეგ გასახდელში სცადა ფეხბურთელების დაქოქვა.

„ასეთი უსახური ტაიმი საშინაო მატჩში არ გვქონია და ამიტომ შესვენებაზე ბიჭების მოტივირება ვცადე, რამაც მეორე ტაიმისთვის შედეგი გამოიღო და თამაშიც აშკარად უკეთესობისკენ შეიცვალა.

ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ბოგოტაში ვიყავით და არა ბუენოს აირესში, რადგან კოლუმბია ბურთს ფლობდა და ჩვენ კონტრშეტევებზე ვთამაშობდით" — განაცხადა მარადონამ.

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი კარლოს დუნგა კი ურუგვაელთა უხეშობამ გააბრაზა და პრესკონფერენციაზე ბრძანა: „ჩვენ ფეხბურთს ვთამაშობდით, მასპინძლები კი მეტოქის ფეხებზე ნადირობდნენ".

ბრაზილიას მონტევიდეოში 33 წლის განმავლობაში არ მოუგო.

ოთხი გოლიდან მესამე ლუიშ ფაბიანომ — რომელიც მეორე ტაიმში გააძევეს — დაახლოებით 40 მეტრიდან შეაგდო. ფაბიანოსთვის ეს მეშვიდე გოლი იყო შესარჩევში.

ლა პასში, 3 600 მეტრ სიმაღლეზე, სადაც აპრილში ბოლივიამ არგენტინა 6:1 გაანადგურა, ვენესუელა ჩავიდა და მოულოდნელად მოიგო.

„ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ამ სიმაღლეზე ბოლივიელების დამარცხება შესაძლებელი ყოფილა" — თქვა სტუმართა მეკარემ რაფაელ რომომ.

არგენტინელებისგან განსხვავებით, რომლებიც აპრილში ლა პასში მატჩის დაწყებამდე ორი საათით ადრე ჩაბრძანდნენ, ვენესუელა სამი კვირით ადრე ჩავიდა და იქაურ უჰაერობას მიეჩვია.

**როგან თურქია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 13 | 6 | 6 | 1 | 23:5 | 24 |
| პარაგვაი | 13 | 7 | 3 | 3 | 19:11 | 24 |
| არგენტინა | 13 | 6 | 4 | 3 | 19:13 | 22 |
| ჩილე | 13 | 7 | 2 | 4 | 19:14 | 20 |
| ურუგვაი | 13 | 4 | 5 | 4 | 21:14 | 17 |
| ვენესუელა | 13 | 5 | 1 | 7 | 15:22 | 16 |
| ეკვადორი | 12 | 3 | 5 | 4 | 14:19 | 14 |
| კოლუმბია | 13 | 3 | 5 | 5 | 6:11 | 14 |
| ბოლივია | 13 | 3 | 3 | 7 | 19:26 | 12 |
| პერუ | 12 | 1 | 4 | 7 | 6:26 | 7 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიფას კონფედერაციის თასი 2009
## სამხრეთ აფრიკა

# ესპანეთი სამშენდიალე ადგილს გასინჯავს






ევროპის ჩემპიონმა ესპანეთმა რა ხანია, მარცხი არ იცის

## A ჯგუფი

### ერაყი

| | | | |
|---|---|---|---|
| უდაი ტალები | მეკარე | 27 წლის | დოჰუკი |
| მოჰამედ ალი ქარიმი | მცველი | 22 | ალ ჯაზირა |
| ბასიმ აბასი | მცველი | 26 | ალ ტალაბა |
| ფარედ მაიედი | მცველი | 22 | ალ ტალაბა |
| ნასატ აკრამი | ნახევარმცველი | 24 | ტვენტე |
| სალიჰ სადირი | ნახევარმცველი | 26 | ალ აჰედი |
| ემად მოჰამედი | ფორვარდი | 26 | სეპაჰანი |
| ლუია სალაჰი | ფორვარდი | 27 | არბილი |
| აბუ ალ ჰაილი | ნახევარმცველი | 32 | სეპაჰანი |
| იუნის მაჰმუდი | ფორვარდი | 26 | ალ გარაფა |
| ჰავარ მოჰამედი | ნახევარმცველი | 28 | ანორთოსისი |
| მოჰამედ გასიდი | მეკარე | 22 | ალ ზავრაა |
| კარარ იასიმი | ნახევარმცველი | 22 | ალ ვაკრა |
| სამერ საედი | ნახევარმცველი | 21 | ალ აჰლი |
| ალი რემა | მცველი | 24 | ალ ვაკრა |
| დარა მოჰამედი | მცველი | 21 | სულაიმანია |
| აბდულ ზაჰრა | ფორვარდი | 21 | ალ ხორი |
| მაჰდი ქარიმი | ნახევარმცველი | 25 | ალ ხორი |
| ესამ იასინი | მცველი | 22 | ალ ამანა |
| მუაიად ხალიდი | მცველი | 23 | ალ ქუვა |
| სალამ შაზირი | მცველი | 20 | ალ ხორი |
| ნოორ საბრი | მეკარე | 25 | ალ ტალაბა |
| მულა მოჰამედი | ნახევარმცველი | 21 | სულაიმანია |

მწვრთნელი: ბორა მილუტინოვიჩი

უახლოეს უქმეებზე სამხრეთ აფრიკაში კონფედერაციის თასის გათამაშება დაიწყება, რომელშიც, შეგახსენებთ, მასპინძლის გარდა კონტინენტთა და მსოფლიოს ჩემპიონები თამაშობენ.

და რა შეხსენება უნდა, რომ ზუსტად ერთ წელიწადში სამხრეთ აფრიკა მსოფლიოს ჩემპიონატსაც უმასპინძლებს.

A ჯგუფში ესპანეთი ფავორიტია და პირველ ადგილზე გასვლა არ უნდა გაუჭირდეს.

ვისენტე დელ ბოსკეს ხელში ევროპის ჩემპიონებმა კიდევ უფრო გააუმჯობესეს თამაში და წაუგებელი სერია გა- აგრძელეს.

მეორე ადგილისთვის სამხრეთ აფრიკას ერაყი და ახალი ზელანდია, ალბათ, ვერ შეებრძოლებიან, რადგან „ბაფანა ბაფანა" გამოცდილებითაც ალემატება მათ და უფრო მაღალი კლასის არაერთი ფეხბურთელი ჰყავს.

14 ივნისი. 19:00. იოჰანესბურგი
სამხრეთ აფრიკა — ერაყი
14 ივნისი. 23:30. რუსტენბურგი
ახალი ზელანდია — ესპანეთი
17 ივნისი. 19:00. მანგაუნგი
ესპანეთი — ერაყი
17 ივნისი. 23:30. რუსტენბურგი
სამხრეთ აფრიკა — ახალი ზელანდია
20 ივნისი. 23:30. იოჰანესბურგი
ერაყი —ახალი ზელანდია
20 ივნისი. 23:30. მანგაუნგი
ესპანეთი — სამხრეთ აფრიკა

### ნახევარფინალი. 24 ივნისი
**A1 - B2**

### მესამე ადგილისთვის
28 ივნისი

### ახალი ზელანდია

| | | | |
|---|---|---|---|
| მარკ პასტონი | მეკარე | 32 | ველინგტონი |
| აარონ სკოტი | მცველი | 22 | ვეიტეიკერი |
| ტონი ლოჩჰიდი | მცველი | 27 | ველინგტონი |
| დანკან აუტონი | ნახევარმცველი | 31 | კოლამბუსი |
| ბენ სიგმუნდი | მცველი | 28 | ველინგტონი |
| ივან ვისელიჩი | მცველი | 32 | ოკლენდი |
| საიმონ ელიოტი | ნახევარმცველი | 34 | სან ხოსე |
| ტიმ ბრაუნი | ნახევარმცველი | 28 | ველინგტონი |
| შეინ სმელცი | ფორვარდი | 27 | გოლდ კოსტი |
| კრის კილენი | ფორვარდი | 27 | სელტიკი |
| ლეო ბერტოსი | ნახევარმცველი | 27 | ველინგტონი |
| გლენ მოსი | მეკარე | 26 | მელბურნი |
| ენდრიუ ბარონი | ნახევარმცველი | 28 | ტიმ ველინგტონი |
| ჯერემი კრისტი | ნახევარმცველი | 26 | ველინგტონი |
| ჯერემი ბროკი | ფორვარდი | 21 | ქვინსლენდი |
| კრის ჯეიმსი | ნახევარმცველი | 21 | ტამპერე |
| დევიდ მულიგანი | მცველი | 27 | ველინგტონი |
| ენდრიუ ბოიენსი | მცველი | 25 | რედ ბული |
| სტივენ ოლდი | მცველი | 23 | კილმარნოკი |
| კრის ვუდი | ფორვარდი | 17 | ვესტ ბრომვიჩი |
| კრის ბრტაითი | ფორვარდი | 22 | პანსერაიკოსი |
| იაროდ სმიტი | ფორვარდი | 24 | სიეტლი |
| ჯეიმს ბენატინი | მეკარე | 33 | ტიმ ველინგტონი |

მწვრთნელი: რიკი ჰერბერტი

### სამხრეთ აფრიკა

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრაიან ბალოი | მეკარე | 35 | მამელოდი |
| როუენ ფერნანდესი | მეკარე | 31 | არმინია |
| იტუმელენგ ხუნე | მეკარე | 21 | კაიზერ ჩიფსი |
| მეტიუ ბუტი | მცველი | 32 | მამელოდი |
| სიბონისო გაქსა | მცველი | 25 | მამელოდი |
| მორგან გულდი | მცველი | 26 | სუპერსპორტი |
| ბონგანი ხუმალო | მცველი | 22 | სუპერსპორტი |
| ტსეპო მასილელა | მცველი | 24 | მაკაბი ჰაიფა |
| ინოსენტ მდლედლე | მცველი | 23 | ორლანდო |
| აარონ მოკოენა | მცველი | 28 | პორტსმუთი |
| ბრაის მუნი | მცველი | 23 | პანათინაიკოსი |
| ლანს დევიდსი | ნახევარმცველი | 24 | სუპერსპორტი |
| კაგისო დიკგასოი | ნახევარმცველი | 24 | გოლდენი |
| ბენსონ მლონგო | ნახევარმცველი | 26 | ორლანდო |
| ტეკო მოდისე | ნახევარმცველი | 26 | ორლანდო |
| სტივენ პიენაარი | ნახევარმცველი | 27 | ევერტონი |
| მაკბეტ სიბაია | ნახევარმცველი | 31 | რუბინი |
| სიფივე ტსაბალალა | ნახევარმცველი | 27 | კაისერ ჩიფსი |
| ელრიო ვან ჰირდენ | ნახევარმცველი | 26 | ბლექბერნი |
| ბერნარდ პარკერი | ნახევარმცველი | 23 | ცრვენა ზვეზდა |
| ტემბინკოსი ფანტენი | ფორვარდი | 25 | მაკაბი ჰაიფა |
| კატლეგო მასეგო | ფორვარდი | 27 | ორლანდო |
| კატლეგო მფელა | ფორვარდი | 24 | მამალოდი |

მწვრთნელი: ჟოელ სანტანა

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| იკერ კასილიასი | მეკარე | 28 | რეალი |
| რაულ ალბიოლი | მცველი | 23 | ვალენსია |
| ხერარდ პიკე | მცველი | 22 | ბარსელონა |
| კარლოს მარჩენა | მცველი | 29 | ვალენსია |
| კარლეს პუიოლი | მცველი | 31 | ბარსელონა |
| პაბლო ერნანდესი | ნახევარმცველი | 24 | ვალენსია |
| დავიდ ვილია | ფორვარდი | 27 | ვალენსია |
| ხავი | ნახევარმცველი | 29 | ბარსელონა |
| ფერნანდო ტორესი | ფორვარდი | 25 | ლივერპული |
| სესკ ფაბრეგასი | ნახევარმცველი | 22 | არსენალი |
| ხუან კალდევილა | მცველი | 31 | ვილიარეალი |
| სერხი ბუსკეტსი | ნახევარმცველი | 20 | ბარსელონა |
| დიეგო ლოპესი | მეკარე | 27 | ვილიარეალი |
| ხაბი ალონსო | ნახევარმცველი | 27 | ლივერპული |
| სერხიო რამოსი | მცველი | 23 | რეალი |
| ფერნანდო ლორენტე | ფორვარდი | 24 | ბილბაო |
| დანიელ გუისა | ფორვარდი | 28 | ფენერბაჰჩე |
| ალბერტ რიერა | ნახევარმცველი | 27 | ლივერპული |
| ალვარო არბელოა | მცველი | 26 | ლივერპული |
| სანტი კასორლა | ნახევარმცველი | 24 | ვილიარეალი |
| დავიდ სილვა | ნახევარმცველი | 23 | ვალენსია |
| ხუან მატა | ნახევარმცველი | 21 | ვალენსია |
| ხოსე რეინა | მეკარე | 26 | ლივერპული |

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

# ფიფას კონფედერაციის თასი 2009
## სამხრეთ აფრიკა

# მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონები დასხვები



ბრაზილია — იტალია. 1994 წლის მუნდიალის ფინალი



15 ივნისი. 19:00. მანგაუნგი
ბრაზილია — ეგვიპტე
15 ივნისი. 23:30. პრეტორია
აშშ — იტალია
18 ივნისი. 19:00. პრეტორია
აშშ — ბრაზილია
18 ივნისი. 23:30. იოჰანესბურგი
ეგვიპტე — იტალია
21 ივნისი. 23:30. პრეტორია
იტალია — ბრაზილია
21 ივნისი. 23:30. რუსტენბურგი
ეგვიპტე — აშშ

ამ ჯგუფში გაცილებით მძიმეწონოსნები მოხვდნენ. მსოფლიოს ხუთი და ოთხგზის ჩემპიონების — ბრაზილიის და იტალიის — შეხვედრა ერთ რამედ ღის.

ორივე ნაკრების მწვრთნელმა, ტრავმირებულებს თუ არ ჩავთვლით, ხუმლიერეს შემადგენლობას მოუყარა თავი.

ბრაზილიას და იტალიას ისეთი იოლი თამაში არ ელით ეგვიპტესთან და აშშ-სთან, როგორც, მაგალითად ესპანეთს ერაყთან.

ამერიკელების დაპროგრამებულმა გუნდმა სამი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატზე გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია მომავალ ჩემპიონ იტალიას და 1:1 ეთამაშა.

არც ეგვიპტეა ხელწამოსაკრავი ნაკრები, რადგან ზედიზედ ორჯერ (2006, 2008) აფრიკის ეროვნებათა თასი მოიგო და უკვე ჩამოყალიბებული გუნდია.

**გაჟა ხუციშვილი**

## ნახევარფინალი. 25 ივნისი
**B1 - A2**

## ფინალი
28 ივნისი

## B ჯგუფი

### აშშ

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრედ გუზანი | მეკარე | 24 | ასტონ ვილა |
| ტიმ ჰოვარდი | მეკარე | 30 | ევერტონი |
| ლუის რობლსი | მეკარე | 25 | ლაუტერნი |
| კარლოს ბოკანეგრა | მცველი | 30 | რენი |
| ჯონ ბორნშტეინი | მცველი | 24 | ჩივასი |
| დენი კალიფი | მცველი | 29 | მიდტიულანდი |
| ჯეი დემერიტი | მცველი | 29 | უოტფორდი |
| ოგუჩი ონიევუ | მცველი | 27 | სტანდარდი |
| ჰით პირსი | მცველი | 24 | პანზა |
| ჯონ სპექტორი | მცველი | 23 | ვესტ ჰემი |
| მარველ ვაინი | მცველი | 23 | ტორონტო |
| ფრედი ადუ | ნახევარმცველი | 20 | მონაკო |
| დამარკუს ბისლი | ნახევარმცველი | 27 | რეინჯერსი |
| მაიკლ ბრედლი | ნახევარმცველი | 21 | გლადბახი |
| რიკარდო კლარკი | ნახევარმცველი | 26 | ჰიუსტონი |
| ბენი ფეილჰაბერი | ნახევარმცველი | 24 | ორჰუსი |
| საშა კლიესტანი | ნახევარმცველი | 23 | ჩივასი |
| ხოსე ტორესი | ნახევარმცველი | 21 | პაჩუკა |
| ჟოზი ალტიდორე | ფორვარდი | 19 | ვილიარეალი |
| კონორ კეისი | ფორვარდი | 27 | კოლორადო |
| ჩარლი დევისი | ფორვარდი | 22 | ჰამარბი |
| ლანდონ დონოვანი | ფორვარდი | 27 | გალაქსი |

მწვრთნელი: ბობ ბრედლი

### ბრაზილია

| | | | |
|---|---|---|---|
| ჟულიო სეზარი | მეკარე | 29 | ინტერი |
| მაიკონი | მცველი | 27 | ინტერი |
| ლუსიო | მცველი | 31 | ბაიერნი |
| ჟუანი | მცველი | 30 | რომა |
| კლებერსონი | ნახევარმცველი | 29 | ფლამენგო |
| კლებერი | მცველი | 29 | ინტერნასიონალი |
| ელანო | ნახევარმცველი | 27 | სიტი |
| ჟილბერტო სილვა | ნახევარმცველი | 32 | პანათინაიკოსი |
| ლუიშ ფაბიანო | ფორვარდი | 28 | სევილია |
| კაკა | ნახევარმცველი | 27 | მილანი |
| რობინიო | ფორვარდი | 25 | სიტი |
| გომეში | მეკარე | 28 | ტოტენჰემი |
| დანი ალვეში | მცველი | 26 | ბარსელონა |
| ლუიზაო | მცველი | 27 | ბენფიკა |
| მირანდა | მცველი | 24 | სან პაულუ |
| ანდრე სანტოსი | მცველი | 26 | კორინთიანსი |
| ჟოსუე | ნახევარმცველი | 29 | ვოლფსბურგი |
| რამირესი | ნახევარმცველი | 22 | ბენფიკა |
| ჟულიო ბაპტისტა | ნახევარმცველი | 27 | რომა |
| ფელიპო მელო | ნახევარმცველი | 25 | ფიორენტინა |
| ნილმარი | ფორვარდი | 24 | ინტერნასიონალი |
| ვიქტორი | მეკარე | 26 | გრემიო |
| ალეშანდრე პატო | ფორვარდი | 19 | მილანი |

მწრთნელი: კარლოს დუნგა

### ეგვიპტე

| | | | |
|---|---|---|---|
| ესამ ელ ჰადარი | მეკარე | 36 | სიონი |
| აბდელ ალ საიედი | მეკარე | 32 | ზამალეკი |
| მოჰამედ სობჰი | მეკარე | 27 | ისმაილი |
| მაჰმუდ ფატალაჰი | მცველი | 27 | ზამალეკი |
| აჰმედ ალ მუჰამადი | მცველი | 21 | ენპი |
| ჰანი საიდი | მცველი | 29 | ზამალეკი |
| აჰმედ ფატჰი | მცველი | 24 | ალ აჰლი |
| საიედ მოავადი | მცველი | 30 | ალ აჰლი |
| აჰმედ ფარაგი | მცველი | 23 | ისმაილი |
| ვაელ გომაა | მცველი | 33 | ალ აჰლი |
| აჰმედ საიდი | მცველი | 25 | ჰარასი |
| აჰმედ ხაირი | ნახევარმცველი | 21 | ისმაილი |
| ჰოსნი რაბო | ნახევარმცველი | 24 | აჰლი დუბაი |
| აჰმედ მალეკი | ნახევარმცველი | 29 | ჰარასი |
| მოჰამედ შაუქი | ნახევარმცველი | 24 | მიდლსბრო |
| აჰმედ ჰასანი | ნახევარმცველი | 34 | ალ-აჰლი |
| მოჰამედ აბუტრიკა | ნახევარმცველი | 30 | ალ აჰლი |
| მოჰამედ სოლიმანი | ნახევარმცველი | 30 | ისმაილი |
| აბდელაზიზ ტავფიკი | ნახევარმცველი | 23 | ენპი |
| მოჰამედ ზიდანი | ფორვარდი | 27 | დორტმუნდი |
| ამრ ზაკი | ფორვარდი | 26 | უიგანი |
| აჰმედ აბდელ-განი | ფორვარდი | 27 | ჰარასი |
| აჰმედ რაუფი | ფორვარდი | 27 | ენპი |

მწვრთნელი: ჰასან შეჰატა

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| ჯანლუიჯი ბუფონი | მეკარე | 31 | იუვენტუსი |
| დავიდე სანტონი | მცველი | 18 | ინტერი |
| ფაბიო გროსო | მცველი | 31 | ლიონი |
| ჯორჯო კიელინი | მცველი | 24 | იუვენტუსი |
| ფაბიო კანავარო | მცველი | 35 | იუვენტუსი |
| ნიკოლა ლეგროტალიე | მცველი | 32 | იუვენტუსი |
| სიმონე პეპე | მცველი | 25 | უდინეზე |
| ჯენარო გატუზო | ნახევარმცველი | 31 | მილანი |
| ლუკა ტონი | ფორვარდი | 32 | ბაიერნი |
| დანიელე დე როსი | ნახევარმცველი | 25 | რომა |
| ალბერტო ჯილარდინო | ფორვარდი | 26 | ფიორენტინა |
| მორგან დე სანქტისი | მეკარე | 32 | გალათასარაი |
| ალესანდრო გამბერინი | მცველი | 27 | ფიორენტინა |
| მარკო ამელია | მეკარე | 27 | პალერმო |
| ვინჩენცო იაკინტა | ფორვარდი | 29 | იუვენტუსი |
| მაურო კამორანეზი | ნახევარმცველი | 32 | იუვენტუსი |
| ჯუზეპე როსი | ფორვარდი | 22 | ვილიარეალი |
| ანჯელო პალომბო | ნახევარმცველი | 27 | სამპდორია |
| ჯანლუკა ძამბროტა | მცველი | 32 | მილანი |
| რიკარდო მონტოლივო | ნახევარმცველი | 24 | ფიორენტინა |
| ანდრეა პირლო | ნახევარმცველი | 30 | მილანი |
| ანდრეა დოსენა | მცველი | 27 | ლივერპული |
| ფაბიო კვალიარელა | ფორვარდი | 26 | ნაპოლი |

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

# კაპელომ ავტობიოგრაფია მოიგერია, ანჩელოტის მამამ ველოსიპედი მოიგონა

# პურისმჭამელი



ფაბიო კაპელო



კარლო ანჩელოტი

**ინგლისში ორი იტალიელი მწვრთნელი ერთმანეთს შეასკდა — „ჩელსის" თავკაცი კარლო ანჩელოტი და ფაბიო კაპელო. ახალჩასულ ანჩელოტის ფესვგამაგრებული კაპელო დახვდა. ანჩელოტის ავტობიოგრაფიაში კაპელო უსალმო, ცივ და პირქუშ კაცად მოუხსენებია. ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა „ჩელსის" ახალი თავკაცის ნაწერი უპასუხოდ არ დატოვა...**

**„მე** სულაც არ მგონია საკუთარი თავი ისეთი, როგორც ანჩელოტი მახასიათებს" — თქვა კაპელომ, რომელიც „მილანის" მწვრთნელი გახდა 1991 წელს და იმ გუნდის მოთამაშე ანჩელოტი მალევე მოიშორა, ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო.

ანჩელოტიმაც თავის წიგნში ჩაწერა, რომ კაპელოს ფეხბურთელებთან ლაპარაკი არ გამოსდიოდა და პროფესიულ საქმიანობას ჩვეულებრივი, ადამიანური ურთიერთობისგან ვერ არჩევდა.

„კამათი როგორ არ მომსვლია, მაგრამ მხოლოდ ერთ ფეხბურთელთან და არა მთელ გუნდთან — განაგრძო ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა — მოთამაშეებს ჩვეულებრივ ვესაუბრებოდი, თუმცა მათთან პურის საჭმელად არასოდეს დავმჯდარვარ, ანჩელოტისგან განსხვავებით.

არც ჟურნალისტებთან ერთად ვყოფილვარ სუფრასთან. მეუღლესთან და მეგობრებთან ერთად დავდიოდი სასაუზმოდ.

ჩემი აზრით, საკლუბო წესი ასეთი უნდა იყოს: „მე ვარ მწვრთნელი — შენ ფეხბურთელი".

მე პატივს ვცემ მათ და იგივეს ვითხოვ საპასუხოდ. სულ ესაა.

თუ რომელიმე მწვრთნელს ფეხბურთელთან მეგობრობა სურს, იმეგობროს.

ანჩელოტიმ საკუთარი სტილით მოიგო ტიტულები და მე ჩემით".

„სანის" კორესპონდენტმა იტალიაში კარლო ანჩელოტის მამას, 87 წლის ჯუზეპეს ჩააკითხა, რომელმაც შვილის „ველოამბავი" მოუთხრო.

პაპა ჯუზეპემ უამბო, რომ სკოლის მოსწავლე კარლო ველოსპორტში ძალიან ყოჩაღი ყოფილა და უამრავი ტურნირი მოუგია.

საქმე იქით მიდიოდა, რომ ბიჭი ველოსპორტს უნდა გაყოლოდა და „ტურ დე ფრანსის" და „ჯირო იტალიის" აღმართ-დაღმართებზე ევლო, მაგრამ კარლოს ფეხბურთელობა დაუჟინია.

„ძალიან სწრაფი იყო და არაერთი რბოლა მოიგო სკოლაში — გაიხსენა ანჩელოტის მამამ — მე არ მეჯერა, მისგან ფეხბურთელი თუ გამოვიდოდა, მაგრამ პირველად მაშინ ვირწმუნე, როცა „პარმაში" გასინჯვაზე მიიწვიეს.

მერე, „მილანში" თამაშისას, ამბობდნენ, რომ მისგან კარგი მწვრთნელი დადგებაო, მაგრამ რას ვიფიქრებდი, ჩემპიონთა თასს ორჯერ თუ მოიგებდა.

„მილანში" ტიტულოვანი გახდა და, ალბათ, „ჩელსიშიც" არ გაუჭირდება ჯილდოების მოგება.

ინგლისურის სწავლა ექვსი თვის წინ დაიწყო და იმდენი იცის, რომ ლონდონში ენის პრობლემა არ ექნება.

ამ ზაფხულს სკოლაში ივლის და უკეთესად ისწავლის. მისმა შვილმა კატიამ ძალიან კარგად იცის ინგლისური და ისიც დაეხმარება.

მე თვითმფრინავით მგზავრობა არ შემიძლია, მაგრამ მატარებლით მაინც მოვახერხებ ლონდონში ჩასვლას, რომ ვნახო, თუ რას გააკეთებს ჩემი შვილი „ჩელსისგან".

კარლო ანჩელოტიმ „მილანი" ერთი კვირის წინ, „ფიორენტინასთან" ბოლო ტურის მატჩის შემდეგ დატოვა და მეორე დღეს ოფიციალურად დანიშნეს „ჩელსის" მწვრთნელად.

სამწლიან კონტრაქტში ანჩელოტი 9 მილიონ გირვანქას მიიღებს, რასაც პრემია დაემატება ჩემპიონთა თასის მოგების შემთხვევაში.

21 თვეში „ჩელსიში" მწვრთნელი მეოთხედ შეცვალეს და რომან აბრამოვიჩს ეიმედება, რომ ჩემპიონთა თასის ორჯერ მომგები იტალიელი მაინც მიუტანს ნანატრ ჯილდოს, რომელიც კლაუდიო რანიერისგან, ჟოზე მოურინიუსგან, ავრაამ გრანტისგან და გუს ჰიდინკისგან ვერ მიიღო.

კარლო ანჩელოტი მესამე იტალიელი მწვრთნელია „ჩელსიში" ჯანლუკა ვიალის და კლაუდიო რანიერის შემდეგ.

**ვაჟა ხუციშვილი**



## კარლო ანჩელოტი

*დაიბადა 1959 წლის 10 ივნისს რეჯიოლოში.*

**ფეხბურთელის კარიერა:**

1976-79 პარმა — 55 (13 გოლი)

1979-87 რომა — 171 (12)

1987-92 მილანი 112 (10)

**სამწვრთნელო კარიერა:**

1995-96 რეჯინა

1996-98 პარმა

1999-01 იუვენტუსი

2001-09 მილანი

**ჯილდოები ფეხბურთელობისას:**

**რომა**

იტალიის თასი — 1980, 1981, 1984, 1986

სკუდეტო — 1983

**მილანი**

სკუდეტო — 1988, 1992

იტალიის სუპერთასი — 1988

ჩემპიონთა თასი — 1989, 1990

უეფას სუპერთასი — 1989, 1990

საკონტინენტთაშორისო — 1989, 1990

**ჯილდოები მწვრთნელობისას:**

**იუვენტუსი**

ინტერტოტოს თასი — 1999

**მილანი**

იტალიის თასი — 2003

სკუდეტო — 2004

იტალიის სუპერთასი — 2004

ჩემპიონთა ლიგა — 2003, 2007

უეფას სუპერთასი — 2003, 2007

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი — 2007

# ინჟინერი ხუთ მილიონად პერესმა რეალს მეცხრე მიუყვანა

**2003 წლის** ივნისიდან მადრიდის „რეალში" რვა მწვრთნელი მივიდა და წავიდა.

ამ მწვრთნელებიდან ერთ სეზონზე მეტი გუნდში არავინ გაუჩერებიათ. მათ შორის იყო ოთხი ესპანელი, თითო-თითო კი პორტუგალიელი, იტალიელი, გერმანელი და ბრაზილიელი.

ახალგაპრეზიდენტებულმა ფლორენტინო პერესმა მეცხრე მიიყვანა — 55 წლის ჩილელი, მეტსახელად „ინჟინერი", მანუელ პელეგრინი.

სწორედ პერესის წინა პრეზიდენტობისას მოიგო „რეალმა" ბოლოს ჩემპიონთა ლიგა (2002) და მას მერე გუნდი აცაბაცა დადის.

პელეგრინის „ვილიარეალთან" კონტრაქტი ჰქონდა, რომლის გაწყვეტაც ფლორენტინო პერესს 5 მილიონი დოლარი დაუჯდა.

ჩილელმა „სამეფო კლუბთან" ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

1953 წლის 16 სექტემბერს სანტიაგოში დაბადებულმა პელეგრინიმ ფეხბურთელობისას 13 სეზონი „უნივერსიდად დე ჩილეს" შეალია, ნაკრებში კი მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა.

**ირაკლი ნინიძე**



ფლორენტინო პერესი, „რეალის" საპატიო პრეზიდენტი ალფრედო დი სტეფანო და მანუელ პელეგრინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მჩ. შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 1 | ფარერები-სერბეთი | 21.00 | 10.00 | 1.05 | 6.77 | 1.00 | 1.00 |
| 19:45 | 3 | მაკედონია-ისლანდია | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 21:00 | 5 | შვედეთი-მალტა | 1.02 | 12.00 | 26.00 | 1.00 | 1.00 | 8.21 |
| 21:00 | 7 | უკრაინა-ყაზახეთი | 1.15 | 6.80 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.67 |
| 22:30 | 9 | ფინეთი-რუსეთი | 4.50 | 3.20 | 1.75 | 1.87 | 1.25 | 1.13 |
| 22:45 | 11 | ჰოლანდია-ნორვეგია | 1.25 | 4.90 | 9.30 | 1.00 | 1.10 | 3.20 |
| 23:15 | 13 | ინგლისი-ანდორა | 1.01 | 13.00 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 9.06 |
| 23:45 | 15 | მექსიკა-ტრინიდადი | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| 23:45 | 17 | ჰონდურასი-სალვადორი | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 12:00 | 19 | ავსტრალია-ბაჰრეინი | 1.25 | 4.80 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.18 |
| 13:20 | 21 | იაპონია-ყატარი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 15:00 | 23 | ს.კორეა-საუდის არაბეთი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 18:30 | 25 | ირანი-საამიროები | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 27 | ჩილე-ბოლივია | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 23:45 | 29 | ვენესუელა-ურუგვაი | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 31 | ეკვადორი-არგენტინა | 3.55 | 3.30 | 1.90 | 1.71 | 1.23 | 1.20 |
| 23:45 | 33 | კოლუმბია-პერუ | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 23:45 | 35 | ბრაზილია-პარაგვაი | 1.35 | 4.10 | 8.50 | 1.01 | 1.16 | 2.76 |
| | | საერთაშორისო. ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 45 | აზერბაიჯანი-ესპანეთი | 13.00 | 6.50 | 1.15 | 4.33 | 1.05 | 1.00 |
| 14:00 | 46 | ბოსნია-ომანი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 14:00 | 47 | ერაყი-პოლონეთი | 3.70 | 3.20 | 1.90 | 1.71 | 1.25 | 1.19 |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 48 | იტალია-ახალი ზელანდია | 1.12 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.04 | 4.77 |
| 22:30 | 49 | ესტონეთი-პორტუგალია | 9.00 | 4.50 | 1.30 | 3.00 | 1.13 | 1.00 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 13 ივნისი | | | | | | |
| 22:00 | 92 | რუზენბორგი-სტრომსგოდსეტი | 1.35 | 4.70 | 9.00 | 1.04 | 1.17 | 3.08 |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 93 | ალესუნდი-ვიკინგი | 2.65 | 3.30 | 2.60 | 1.46 | 1.31 | 1.45 |
| 20:00 | 94 | ტრომსიო-სანდეფიორდი | 1.75 | 3.40 | 4.80 | 1.15 | 1.28 | 1.99 |
| 20:00 | 95 | ბრანი-ლინი | 1.75 | 3.60 | 4.55 | 1.17 | 1.26 | 2.00 |
| 20:00 | 96 | ლილესტრომი-ფრედრიკსტადი | 2.15 | 3.30 | 3.40 | 1.30 | 1.31 | 1.67 |
| 20:00 | 97 | ოდ გრენლანდი-ბოდო გლიმტი | 1.75 | 3.60 | 4.60 | 1.17 | 1.26 | 2.01 |
| 22:00 | 98 | ვოლერენგა-სტაბეკი | 2.35 | 3.30 | 2.85 | 1.37 | 1.28 | 1.52 |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 99 | სტარტი-მოლდე | 2.50 | 3.20 | 2.75 | 1.40 | 1.30 | 1.47 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 21:35 | 100 | ჰამ კამი-ჰაუგესუნდი | 1.55 | 3.70 | 4.90 | 1.09 | 1.17 | 2.10 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 8 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 108 | ტროლეტენი-ანგელჰოლმი | 2.90 | 3.30 | 2.20 | 1.54 | 1.25 | 1.32 |
| | | ნორვეგია. თასი | | | | | | |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 177 | ბაერამი-სტრიომსგოდსეტი | 7.50 | 6.00 | 1.25 | 3.33 | 1.07 | 1.03 |
| 20:00 | 178 | კონგსვინგერი-სკარბოვიკი | 1.25 | 5.40 | 7.50 | 1.01 | 1.07 | 3.13 |
| 20:00 | 179 | ნიბერგსუნდი-ასკერი | 1.55 | 4.00 | 4.50 | 1.11 | 1.15 | 2.11 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 8 ივნისი | | | | | | |
| 22:15 | 184 | სირიანსკა-სუნდსვალი | 2.40 | 3.30 | 2.65 | 1.38 | 1.25 | 1.46 |
| | | უეფა. ეჩ (21) შვედეთი | | | | | | |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 185 | ინგლისი21-ფინეთი21 | 1.35 | 4.00 | 8.50 | 1.00 | 1.16 | 2.72 |
| 22:45 | 186 | ესპანეთი21-გერმანია21 | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| | | FIFA. კონფედერაციის თასი | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 18:00 | 189 | ს აფრიკა-ერაყი | 1.60 | 3.40 | 5.40 | 1.08 | 1.23 | 2.08 |
| 22:30 | 190 | ახ ზელანდია-ესპანეთი | 20.00 | 9.00 | 1.06 | 6.20 | 1.00 | 1.00 |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 18:00 | 191 | ბრაზილია-ეგვიპტე | 1.25 | 4.70 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.08 |
| 18:00 | 193 | აშშ-იტალია | 6.50 | 3.50 | 1.50 | 2.27 | 1.21 | 1.04 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

უცხოური ფეხბურთი

# რომამ ოუენი ისურვა



**„რომამ“** გამოაცხადა, რომ სიამოვნებით გაუფორმებს კონტრაქტს მაიკლ ოუენს, რომელსაც „ნიუკასლთან“ მოქმედი ხელშეკრულების ვადა 30 ივნისს ეწურება.

მოგეხსენებათ, „ნიუკასლი“ პრემიერლიგიდან გავარდა და ფრიად საეჭვოა, რომ ოუენმა „კაჭკაჭებთან“ ახალი კონტრაქტის გაფორმება და დაბალ დივიზიონში თამაშის მოისურვოს. „რომამდე“ კი ოუენის გადაბირების სურვილი „ასტონ ვილამ“ გამოთქვა.

ახლა პასუხი ოუენზეა, ისე კი, „რომა“ პირველი იტალიური გუნდი არ არის, რომელმაც ეს ინგლისელი ფორვარდი მოისურვა. რამდენიმე წლის წინ, ოუენის გადაბირებას „ინტერი“ და „იუვენტუსი“ ლამობდნენ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდათ.

„რომას“ კი ვინჩენცო მონტელას შემცვლელი სჭირდება, რომელიც ქრონიკულმა ტრავმებმა დატანჯა.



რობინ ვან პერსი

# ინგლისელები იუწყებიან...

**უიგანელი** ანტონიო ვალენსიათი ორი დიდი კლუბი — „მანჩესტერ იუნაიტედი და „რეალი“ დაინტერესდა. სკაი-მ გამოაცხადა, რომ ორივე სუპერკლუბი 16 მილიონი ევროს გადამხდელია ამ ფეხბურთელში.

„მანჩესტერს“ ვალენსია პორტუგალიელი ნანის შემცვლელად ეგულება, ვინაც ვერაფრით შეეგუა ინგლისურ ფეხბურთს და სავარაუდოდ, მალე დატოვებს მანჩესტერულ კლუბს.

„რეალი“ კი ვალენსიას ზამთარშიც უტრიალებდა, მაგრამ მაშინ არაფერი გამოუვიდა და ახლა მეორე წრეზე მიდის.

„სანდი მირორი“ კი იუწყება, რომ მილანის „ინტერი“ მზადაა, „არსენალს“ რობინ ვან პერსის სანაცვლოდ 25 მილიონი გირვანქა გადაუხადოს.

ჟოზე მოურინიუ, ბუნებრივია, მომდევნო სეზონისთვის გუნდის გაძლიერებას გეგმავს და ჰოლანდიელი ფორვარდიც ამიტომ მოხვდა მისი თვალთახედვის არეში.

ვან პერსის „მეთოფეებთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს, თუმცა ამბობენ, რომ ლონდონელები მილანური შეთავაზების განხილვას აპირებენ.

## XX საუკუნის უდიდესი სპორტსმენები

# ნერვების ომი

**როდესაც 1985 წლის „უიმბლდონის" ფინალში ყველასთვის უცნობი ბორის ბეკერი გავიდა, რომელსაც ჯერ 18 წელიც არ შესრულებოდა, ჩოგბურთის მცოდნეებმა ეს წარმატება შემთხვევითობას მიაწერეს და ფინალში გამარჯვება გაცილებით გამოცდილ კევინ კარენს უწინასწარმეტყველეს.**
**ფინალი კი უაღრესად დაძაბული გამოდგა და თვალსაჩინო უპირატესობის მოპოვება ვერც ერთმა მოთამაშემ ვერ მოახერხა. თამაში ქულა ქულაში მიდიოდა და როცა ბოლო ბურთი ბეკერმა მოიგო და ჩემპიონი შეიქნა, ხალხი მიხვდა, რომ ეს ჟღალთმიანი ყმაწვილი დიდ ჩოგბურთში დიდი ხნით მოვიდა...**


ბორისი და ბარბარა

**ბორის ბეკერი** 1967 წელს დაიბადა ლეიმენში. სამი წლისა იყო, პირველად რომ აიღო ხელში ჩოგანი. ის ჩოგანი, რომელმაც წლების მერე უზარმაზარი წარმატება, ფული, სახელი და თაყვანისმცემელთა აღფრთოვანება მოუტანა.

მწვრთნელი არ ჰყოლია. მშობლებმა სახლის ეზოში ნამდვილი კორტი მოაწყვეს. ჩოგანი მამამ მისცა, უფროსი და კი მის ჭნევას ასწავლიდა. ეგებ უკეთესიც იყო, მწვრთნელი რომ არ ჰყავდა — ჩოგანს ისე იჭნევდა, როგორც პირადად მისთვის იყო მოსახერხებელი. თამაშს კი არ ერგებოდა, საკუთარ თავზე ირგებდა.

ჩოგბურთი ძალიან მოეწონა და დიდი ნიჭიც გამოამჟღავნა. ცხრა წლისა ათასგვარ ტურნირებში იღებდა მონაწილეობას და არა მხოლოდ იღებდა, გამუდმებით იგებდა კიდეც.

17 წლისამ საბოლოოდ გადაწყვიტა, პროფესიონალი ჩოგბურთელი გამხდარიყო. საამისოდ ყველანაირი მონაცემი ჰქონდა — კარგი აღნაგობა, ფიზიკური ძალა, საოცარი გამძლეობა, მტკიცე ნებისყოფა და მეტად თავისებური ტექნიკა.

1985 წელს თავის პირველ უიმბლდონზე გაემგზავრა და სპეციალისტთა გასაოცრად, პირველი ორი მატჩი მოიგო. მესამე წრეში, შვედ ნისტრემთანაც კარგად დაიწყო. თუმცა მეტოქემ გათანაბრება მოახერხა და ამ დროს წვიმაც დაიწყო. თამაში შეწყდა.

სწორედ ამ დროს იგრძნო ბეკერმა, თუ რა არის ნამდვილი ნერვების ომი.

ბორგავდა, ადგილს ვერ პოულობდა, ღამე ძალიან ცუდად ეძინა და ყველაფერმა ამან, ცხადია, იმოქმედა. მეორე დღეს, როცა თამაში განახლდა, შვედი უკეთ გამოიყურებოდა. ხოლო როცა ბოლო, მეხუთე სეტში ნისტრემმა 5:4 წაიყვანა, აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ მომდევნო ეტაპზე სწორედ შვედი ჩოგბურთელი გავიდოდა.

შეცდნენ. ბეკერმა რაღაც მანქანებით, ნერვიულობას სძლია და ის გადამწყვეტი სეტი 9:7 მოიგო.

ამ გამარჯვებამ ფრთები შეასხა და დარჩენილი პარტიებიც მოიგო, რის მერეც, 7 ივლისს ფინალში გავიდა, სადაც მეტოქედ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამერიკელი კევინ კარენი ელოდა.

კარენმა განიზრახა, რომ ყმაწვილი მეტოქისთვის თავიდანვე მოეხვია თავს თავისი თამაში და დაეთრგუნა. ბეკერმა ზეწოლას გაუძლო და მეტიც — პირველი სეტი საკმაოდ იოლად მოიგო. მეორე სეტში დამარცხდა, მაგრამ ძალა მოიკრიფა და საქმე ბოლომდე მიიყვანა — უიმბლდონს ასეთი ახალგაზრდა ჩემპიონი არასდროს ჰყოლია.

და მაინც, საიდან ჰქონდა დამწყებ ჩოგბურთელს ასეთი მტკიცე ნერვული სისტემა? მისი მწვრთნელი გიუნტერ ბოსხი თვლიდა, რომ ბეკერს ფსიქიკა ჯერ არ ჰქონა შერყეული გაუთავებელ მგზავრობას და სხვა სტრესებს, რაც დამახასიათებელია გამოცდილი ჩოგბურთელებისთვის.

ბეკერს რაღაც უცნაური სტილი ჰქონდა, როცა უტევდა, მისი თითოეული მოძრაობა მაშინაც კი თავდაცვას ემსახურებოდა. არასდროს არავის უნახავს არათუ მოცინარი, გაღიმებულიც კი კორტზე. ის ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა საქმეს. მწვრთნელმა ერთხელ ესეც თქვა: დააკვირდით, როგორი მზერა აქვს ბეკერს, როცა მისკენ გამოსროლილ ბურთს უყურებსო. მართლაც, ამ მზერაში ზიზღი იგრძნობოდა. მას ეზიზღებოდა ბურთი, რომელიც — როცა მისკენ მოფრინავდა — მტერი იყო. ამიტომაც მთელ ზიზღს საპასუხო დარტყმაში აქსოვდა.

ბეკერი პირველი გერმანელი გახდა, რომელმაც „უიმბლდონი" მოიგო და უმალ იქცა ერის საამაყო შვილად და კერპად. მას პირდაპირი გაგებით ხელით ატარებდნენ და ისიც ამ დიდებით ტკბებოდა.

ამასობაში ერთმა წელმა გაირბინა და ბორის ბეკერი მეორედ ჩავიდა ლონდონში — ამჯერა, ტიტულის შესანარჩუნებლად.

ჩავიდა და აღმოაჩინა, რომ ტიტულის შენარჩუნება გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე მისი მოპოვება. ახლა მას უზარმაზარ ტვირთად აწვა მხრებზე პასუხისმგებლობა, რაკი მთელი გერმანია მისგან მხოლოდ გამარჯვებას ითხოვდა. მეტოქეებსც მოესწროთ ბეკერის თამაშის სტილის საგულდაგულოდ შესწავლა და არა როგორც დამწყებ ჩოგბურთელს, არამედ, როგორც უგამოცდილეს მეტოქეს, ისე უყურებდნენ და მის წინააღმდეგ სათამაშოდ სრული მობილიზაციით გამოდიოდნენ.

ყოველი თამაში უზარმაზარ ენერგიას ართმევდა და ძლივს აღწევდა საწოლამდე. მწვრთნელი შეშფოთებული იყო, მაგრამ დილას მშვიდდებოდა — მეორე დღეს ბეკერს წინა დღის უმომქანცველესი თამაშის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

ბორის ბეკერი კვლავ გავიდა ფინალში, სადაც მას მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი, მწვერვალზე ძალიან დიდხანს მყოფი ივან ლენდლი ელოდა.

ბოსხი იხსენებს, რომ ბეკერისთვის ფინალი კორტზე გასვლამდე 20 საათით ადრე დაიწყო, როცა ბეკერი ნერვების მოწესრიგებას შეუდგა.

ისე კარგად მოახერხა, რომ მრავალთა „განაწყენებაც" გამოიწვია — ფინალში ნაღდი ბრძოლა არც ყოფილა — მხოლოდ მესამე სეტში შეძლო ლენდლმა მეტოქის შევიწროვება, დანარჩენი სეტები კი გერმანელისა იყო.

და რეაქცია ფინალის მერე?

— ცხადია, ბედნიერი ვიყავი, მაგრამ მეგონა, რომ სიხარული უფრო მძაფრი იქნებოდა — აღიარა მოგვიანებით ბეკერმა.

უიმბლდონის ზედიზედ მეორედ მოგების მერე ბეკერი ლეგენდად იქცა და მას მერე კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში ის პლანეტის უძლიერესი ჩოგბურთელი იყო. მისი დამარცხება გმირობის ტოლფასად ითვლებოდა.

კორტზე ბეკერი ნამდვილი არიელი იყო — მტკიცე ხასიათით და ბოლომდე მებრძოლი. ხანდახან ისეთი სიტუაციიდან გამოძვრებოდა ხოლმე, შეუძლებელი იყო, არ გაოცებულიყავით. აი, კორტს მიღმა კი ბეკერი სხვანირი გახლდათ და ამიტომაც შევიდა ისტორიაში არა მხოლოდ უდიდეს სპორტსმენად, არამედ, დიდი სკანდალისტადაც.

რა გასაკვირია, რომ მდიდარ, წარმოსადეგ და სახელმოხვეჭილ ბეკერს მთელ მსოფლიოში უამრავი თაყვანისმცემელი გოგონა ჰყავდა. ბეკერიც, ასე ვთქვათ, უარს არავის ეუბნებოდა. მას რომანები ჰქონდა მსახიობებთან, მოდელებთან და სრულიად უცნობ გოგონებთანაც.

სანამ იგებდა და მწვერვალზე იმყოფებოდა, პუბლიკა ამ სისუსტეს პატიობდა. გაუთავებელი რომანები ჩოგბურთელისთვის აუცილებელ რეჟიმს და კონცენტრაციას აკარგვინებდა, მაგრამ იგებდა, და ვის რა უნდა ეთქვა... მაგრამ როცა წაგებებს გაუშინაურდა, ხალხმა მისგან კეთილგონიერების გზაზე დაბრუნება მოითხოვა.

მალე მოთხოვნებს მუქარებიც შეერია. საქმე ის გახლდათ, რომ ბორის ბეკერი ბარბარა ფოლტუსს გაუმიჯნურდა, ბარბარა კი მულატი გახლდათ და გერმანელმა ნეონაცისტებმა ბეკერის ტელეფონზე რეკვას უხშირეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩოგბურთელს მიუნხენში აღარ დაედგომებოდა და შვეიცარიაში გადასახლდა.

ესეც რომ არა, ბეკერს პაპარაცებიც არ აძლევდნენ მოსვენებას და გამუდმებით ლამობდნენ, მისი და ბარბარას საძინებელ ოთახში შეეჭყიტათ. რამდენჯერმე ბეკერს ნერვებმა სერიოზულად უმტყუნა და ფოტოგრაფებზე მუშტით გაიწია.

საბოლოოდ ბეკერის სიჯიუტემ გაიმარჯვა და ხალხი დანებდა — გატაცება გადაუვლის და მიატოვებს ბარბარასო.

მოტყუვდნენ. 1993 წელს ბორისი და ბარბარა დაქორწინდნენ. მალე ვაჟი, ნოა შეეძინათ, რამაც მათი ოჯახური იდილია კიდევ უფრო განამტკიცა და ასე გაგრძელდა მთელი ხუთი წელი.

მერე კი დასასრულის დაწყების დრომ მოატანა.

ბარბარას მობეზრდა ბეკერის ცოლის როლი, გაუთავებელი ხეტიალი ქალაქიდან ქალაქში, სასტუმროდან სასტუმროში და გადაწყვიტა, ძველ პროფესიას დაბრუნებოდა. პროფესია კი მოდელობა გახლდათ. ბეკერი ამის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ბარბარა ქმარზე არანაკლებ ჯიუტი გამოდგა. ბეკერი იხსენებდა: როცა რომელიღაც ჩვენგანმა პირველად ახსენა სიტყვა „განქორწინება" ყველაფერი თავდაყირა დადგა. ვგრძნობდი, რომ მოვლენები თავისით, თითქოს ვიღაცის უხილავი ხელით ვითარდებოდა და უძლური ვიყავი რამე მეღონა.

ოჯახის გადარჩენის ბოლო შანსი 2000 წელს გაქრა, როცა მოდელმა ანჟელა ერმაკოვამ საქვეყნოდ განაცხადა, რომ ბეკერისგან ფეხმძიმედ იყო...

ბეკერი გაოგნებული იყო, ამტკიცებდა, რომ ანჟელას რამდენიმე თვით ადრე, „უიმბლდონზე" შეხვდა და რომ ნერვების დასაწყნარებლად სულ რაღაც „ხუთი წამით" ჩაეხუტა.

არ ვიცით, ეგებ მართლაც ხუთ წამს გაგრძელდა ყველაფერი, ეგებ, ბეკერს მოეჩვენა საამო წუთები თუ საათები ხუთ წამად, მაგრამ ფაქტია — ქალი ფეხმძიმედ იყო და ერთი საინტერესო დეტალიც — ანჟელაც, რუსული გვარის მიუხედავად, მულატი გახლდათ.

ბარბარას სკანდალი არ მოუწყვია, საჭიროება აღარ იყო, ისედაც ხომ აპირებდა ქმრისგან წასვლას. ფლორიდაში გადაბარგდა, ბეკერმა კი დაიჟინა, ანჟელას ფეხმძიმობასთან არაფერი მაკავშირებსო. მხოლოდ მას მერე, რაც სასამართლომ ის ბავშვის მამად სცნო, აღიარა, ჩემიაო.

თუმცა ბეკერს ანჟელასთან ურთიერთობა აღარ გაუგრძელებია და ნუგეში საბრინა სეტლურის მკლავებში ჰპოვა. საბრინა მომღერალი გახლდათ და საოცრად ჰგავდა ბარბარას. მათ ერთმანეთი დაჯილდოვებისას გაიცნეს, რომელზეც ბორისი და საბრინა წლის ყველაზე სექსუალურ ადამიანებად აღიარეს გერმანიაში. ერთი სიტყვით, სხვაც რომ არაფერი, გარემოება აიძულებდათ...

ხოლო როცა ბეკერი 34 წლისა გახდა, დიდებული საჩუქარი მიიღო — ბარბარა დაუბრუნდა, მაგრამ მალე ისევ გაექცა...

მას მერე ბორის ბეკერი მშვიდად ცხოვრობს, მეორე ცოლთან ერთად. თუმცა სკანდალში ერთხელაც გაეხვა — საგადასახადო სამსახურმა მას გადასახადების დამალვაში დასდო ბრალი და 33 მილიონი მარკის გადახდა დააკისრა, სხვა შემთხვევაში 10-წლიანი პატიმრობა ელოდა.

**გიორგი დარჯანია**

**დიდი სლემის ტიტულები**
ავსტრალია: 1991, 1996
უიმბლდონი: 1985, 86, 89
US ოუფენი: 1989

ოლიმპიური ჩემპიონი: 1992

## ავტოსპორტი

# ბატონი და ციდან ჩამომყვანი შუქნიშანი



**ზოგადად** სპორტში ოპტიმისტებს რა გამოლევს, მაგრამ წლევანდელი „ფორმულა 1“-ს შემხედვარე ოპტიმისტთა რიგები გვარიანად შეთხელდა.

ოპტიმისტები ოცნებობდნენ, რომ ჯენსონ ბატონს და „ბრაუნს“ როგორმე გამოუჩნდებოდნენ კონკურენტები და საჩემპიონო ბრძოლას ინტრიგა შეუნარჩუნდებოდა, მაგრამ არა — შვიდი ეტაპის მერე ბატონს ექვსი გრან პრი დაუგროვდა და ყოვლად წარმოუდგენელია, მას პირველობაში ვინმე შეეცილოს.

იგივე სიტუაციაა კონსტრუქტორთა დავაში — რა უნდა მოხდეს, „ბრაუნს“ პირველობა ვინმემ ჩამოართვას.

„ისტანბულ პარკის“ ტრასაზე ინტრიგა თავიდან იყო — სებასტიან ფეტელმა პოულ-პოზიცია მოიპოვა და რაკი მისი ბოლიდი დიდად არ ჩამოუვარდება ბატონისას (თანაც „რედ ბულის“ ბოლიდი „ბრაუნზე“ მსუბუქია), გაჩნდა იმედი, რომ ბატონის ჰეგემონიას ფეტელი წყალს შეუყენებდა.

მაგრამ არა, რამდენიმე წრის მერე ფეტელმა შეცდომა დაუშვა და ბატონი წინ გაიჭრა. სასოწარკვეთილმა ფეტელმა ვითარების გამოსწორება სცადა, მაგრამ მეორეობაც დაკარგა და ბატონის გარდა წინ თანაგუნდელი მარკ ვებერი გაუშვა.

თურქული რბოლის იმედგაცრუება იყო რუბენს ბარიკელო. ბრაუნელი რამდენიმე დღით ადრე იმუქრებოდა, ამ ეტაპსაც მოვიგებ და მსოფლიოს ჩემპიონიც გავხდებიო, მაგრამ ციდან შუქნიშანმა ჩამოიყვანა. სტარტზე ნაადრევად დაძრა ბოლიდი და ყველაფრის შემმჩნეველმა სტიუარტებმა ათი პოზიციით დააქვეითეს.

რამდენიმე წრის მერე ბარიკელოს ბოლიდს წინა ანტიფრთა დაუზიანდა და პილოტს ბოქსში შესვლა მოუხდა, ბოლოს კი სიჩქარეთა კოლოფმაც უმტყუნა და საბოლოოდ ჩაიქნია ხელი. ამგვარად, მიმდინარე სეზონში პირველად მოხდა, რომ „ბრაუნის“ ბოლიდმა ფინიშამდე ვერ მიაღწია.


რუსეთის წარმომადგენელი
Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი





## ფორმულა 1. 60-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეშვიდე ეტაპი

### რბოლის შედეგები

**თურქეთის დიდი პრიზი**
7 ივნისი. სტამბოლი
დისტანცია 58 წრე — 309,396 კმ

| | |
|---|---|
| 1 (2). ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, „ბრაუნი“) | 1:26:24.848 |
| 2 (4). მარკ ვებერი (ავსტრალია, „რედ ბული“) | +6,7 |
| 3 (1). სებასტიან ფეტელი (გერმანია, „რედ ბული“) | +7,4 |
| 4 (5). იარო ტრული (იტალია, „ტოიოტა“) | +27,8 |
| 5 (7). ნიკო როსბერგი (გერმანია, „უილიამსი“) | +31,5 |
| 6 (9). ფელიპე მასა (ბრაზილია, „ფერარი“) | +39,9 |
| 7 (10). რობერტ კუბიცა (პოლონეთი, „BMW-ზაუბერი“) | +46,2 |
| 8 (13). ტიმო გლოკი (გერმანია, „ტოიოტა“) | +46,9 |
| 9 (6). კიმი რაიკონენი (ფინეთი, „ფერარი“) | +50,2 |
| 10 (8). ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, „რენო“) | +62,4 |
| 11 (11). ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, „BMW-ზაუბერი“) | +64,3 |
| 12 (12). კაზუკი ნაკაჯიმა (იაპონია, „უილიამსი“) | +66,3 |
| 13 (16). ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, „მაკლარენი“) | +80,4 |
| 14 (14). ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, „მაკლარენი“) | +1 წრე |
| 15 (18). სებასტიენ ბუემი (შვეიცარია, „ტორო როსო“) | +1 წრე |
| 16 (17). ნელსინიო პიკე (ბრაზილია, „რენო“) | +1 წრე |
| 17 (15). ადრიან სუტილი (გერმანია, „ფორს ინდია“) | +1 წრე |
| 18 (20). სებასტიან ბურდე (საფრანგეთი, „ტორო როსო“) | +1 წრე |
| **რბოლას გამოეთიშნენ** | |
| 19 (3). რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, „ბრაუნი“) | 47 წრე |
| 20 (19). ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, „ფორს ინდია“) | 4 წრე |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

| პოული | |
|---|---|
| სებასტიან ფეტელი | 1 წთ 27,016 წმ |

| საუკეთესო წრე | |
|---|---|
| ჯენსონ ბატონი | 1 წთ 27,579 წმ (საშ. სიჩქარე 219,442 კმ/სთ) |

Formula 1

| | ავსტრალია 29 მარტი | მალაიზია 5 აპრილი | ჩინეთი 19 აპრილი | ბაჰრეინი 26 აპრილი | ესპანეთი 11 მაისი | მონაკო 24 მაისი | თურქეთი 7 ივნისი | ბრიტანეთი 21 ივნისი | გერმანია 17 ივლისი | უნგრეთი 26 ივლისი | ევროპა 23 აგვისტო | ბელგია 30 აგვისტო | იტალია 13 სექტემბერი | სინგაპური 13 სექტემბერი | იაპონია 4 ოქტომბერი | ბრაზილია 18 ოქტომბერი | აბუ-დაბი 15 ნოემბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბატონი | 10 | 5 | 6 | 10 | 10 | 10 | 10 | | | | | | | | | | | 61 |
| 2 ბარიკელო | 8 | 2 | 5 | 4 | 8 | 8 | - | | | | | | | | | | | 35 |
| 3 ფეტელი | - | - | 10 | 8 | 5 | - | 6 | | | | | | | | | | | 29 |
| 4 ვებერი | - | 1.5 | 8 | - | 6 | 4 | 8 | | | | | | | | | | | 27.5 |
| 5 ტრული | 6 | 2.5 | - | 6 | - | - | 5 | | | | | | | | | | | 19.5 |
| 6 გლოკი | 5 | 3 | 2 | 2 | - | - | 1 | | | | | | | | | | | 13 |
| 7 როსბერგი | 3 | 0.5 | - | - | 1 | 3 | 4 | | | | | | | | | | | 11.5 |
| 8 მასა | - | - | - | - | 3 | 5 | 3 | | | | | | | | | | | 11 |
| 9 ალონსო | 4 | - | - | 1 | 4 | 2 | - | | | | | | | | | | | 11 |
| 10 რაიკონენი | - | - | - | 3 | - | 6 | - | | | | | | | | | | | 9 |
| ჰემილტონი — 9 ქულა; ჰაიდფელდი — 6; კოვალაინენი — 4; ბუემი — 3; კუბიცა — 2; ბურდე — 2 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ბრაუნი | 18 | 7 | 11 | 14 | 18 | 18 | 10 | | | | | | | | | | | 96 |
| 2 რედ ბული | - | 1,5 | 18 | 8 | 11 | 4 | 14 | | | | | | | | | | | 56,5 |
| 3 ტოიოტა | 11 | 5,5 | 2 | 8 | - | - | 6 | | | | | | | | | | | 32,5 |
| 4 ფერარი | - | - | - | 3 | 3 | 11 | 3 | | | | | | | | | | | 20 |
| 5 მაკლარენი | - | 1 | 7 | 5 | - | - | - | | | | | | | | | | | 13 |
| უილიამსი — 11,5 ქულა; რენო — 11 ქულა; ზაუბერი — 8 ქულა; ტორო როსო — 5 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |

## მშვილდოსნობა

# ქართველებმა მშვილდი კარგად ვერ მოზიდეს



**თურქულ** კურორტ ანთალიაში, მსოფლიოს თასის ეტაპი ჩატარდა მშვილდოსნობაში. შეჯიბრში ქართველმა სპორტსმენებმაც მიიღეს მონაწილეობა, თუმცა დასაკვეხნი შედეგები ვერ ჩამოიტანეს.

ქართველთაგან საუკეთესო ხათუნა ნარიმანიძე იყო, რომელმაც ოდენ 36-ე ადგილი დაიკავა. არადა, პეკინის ოლიმპიადის მერე მისგან გაცილებით მეტს მოველოდით.

გუნდურ ჩათვლაში კი საქართველომ მე-17 ადგილი დაიკავა, სულ კი ეტაპზე 18 ქვეყანა მონაწილეობდა.

**კოტე კეკელია**

## ჰოკეი

# დეტროიტმა თასს გახედა

**სტენლის თასი. ფინალი**

I მატჩი
**დეტროიტი 3:1 პიტსბურგი**
II მატჩი
**დეტროიტი 3:1 პიტსბურგი**
III მატჩი
**პიტსბურგი 4:2 დეტროიტი**
IV მატჩი
**პიტსბურგი 4:2 დეტროიტი**
V მატჩი
**დეტროიტი 5:0 პიტსბურგი**

**ოთხშაბათს** ნაციონალურ ჰოკეის ლიგაში ფინალური სერიის მეექვსე მატჩი გაიმართება, რომელსაც პიტსბურგი უმასპინძლებს და რომელიც, ეგებ, გადამწყვეტიც გახდეს სტენლის თასისთვის ბრძოლაში. ჯერჯერობით კი სერიას „დეტროიტი“ იგებს 3:2 და თასის შენარჩუნებამდე ერთი მოგებალა უკლია. თუ ასე მოხდა, „დეტროიტი“ ბოლო 12 წელიწადში მეხუთედ, ისტორიაში კი მეთორმეტედ დაეუფლება სტენლის თასს.

**კოტე კეკელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცების ბადე — როლან გაროსი 2009. პარიზი. თიხა.

# მხიარულმა როჯერმა ფედერ-ერა დააბრუნა

## პიტ სამპრასმა მუქარას მილოცვით უპასუხა

1/8

- ნადალი (1) — **სოდერლინგი (23)** 2:6 7:6 4:6 6:7
- **დავიდენკო (10)** — ვერდასკო (8) 6:2 6:2 6:4
- **მიურეი (3)** — ჩილიჩი (13) 7:5 7:6 6:1
- **ფ. გონსალესი (12)** — ჰანესკუ (30) 6:2 6:4 6:2
- **დელ პოტრო (5)** — ცონგა (9) 6:1 6:7 6:1 6:4
- **რობრედო (16)** — კოლშრაიბერი (29) 6:4 5:7 7:6 6:2
- როდიკი (6) — **მონფილსი (11)** 4:6 2:6 3:6
- ჰაასი — **ფედერერი (2)** 7:6 7:5 4:6 0:6 2:6

1/4

- **სოდერლინგი (23)** — დავიდენკო (10) 6:1 6:3 6:1
- მიურეი (3) — **ფ. გონსალესი (12)** 3:6 6:3 0:6 4:6
- **დელ პოტრო (5)** — რობრედო (16) 6:3 6:4 6:2
- მონფილსი (11) — **ფედერერი (2)** 6:7 2:6 4:6

1/2

- სოდერლინგი (23) — ფ. გონსალესი (12) 6:3 7:5 5:7 4:6 6:4
- დელ პოტრო (5) — ფედერერი (2) 6:3 6:7 6:2 1:6 4:6

სოდერლინგი (23) — ფედერერი (2) 1:6 6:7 4:6



## ვინ არის რობინ სოდერლინგი?

**რობინ სოდერლინგი** ერთადერთი ჩოგბურთელია, ვისაც „როლან გაროსზე" რაფაელ ნადალი დამარცხებული ჰყავს. ამასთანავე სოდერლინგი ერთადერთი შვედია, რომელიც ამჟამად მსოფლიოს 100 საუკეთესო ჩოგბურთელის სიაშია.

ვინ არის რობინ სოდერლინგი? რაფაელ ნადალის, თუ ფინალში მისი მეტოქის, როჯერ ფედერერისგან განსხვავებით, ამ სპორტსმენზე ბევრიც არაფერი ვიცით და ამიტომ შევეცდებით, უკეთ გაგაცნოთ.

სოდერლინგი 1984 წლის 14 აგვისტოს დაიბადა ტიბრპუში.

საერთაშორისო იუნიორთა ტურნირებზე 1998 წლიდან თამაშობს, თუმცა პირველი სრული სეზონი მხოლოდ 2000 წელს ჰქონდა და იმ წელს ოთხი ტურნირი მოიგო. მომდევნო სეზონში სამი ჯილდო მოიხვეჭა და კარიერაში პირველ უფროსთა ტურნირზეც ითამაშა.

2002-ში ATP-ის 5 ტურნირზე გამოვიდა. ამერიკის ღია პირველობაზე მეორე წრეში გააღწია, ხოლო იუნიორთა შორის ფინალშიც გავიდა. იმავე წელს „უიმბლდონის" მესამე წრეში ითამაშა და მსოფლიოს ასეულშიც მაშინ შევიდა.

2003 წელს თავისი პირველი ტიტული მოიგო უფროსთა შორის, ლიონის ტურნირის გამარჯვებული გახდა და მსოფლიოს 40 საუკეთესო ჩოგბურთელს შორისაც დაიკავა ადგილი.

2005 უიღბლო წელი გამოუვიდა. მარტში მუხლზე ოპერაცია გაიკეთა. მართალია, მერე მილანის ტურნირი მოიგო, მაგრამ ოქტომბერში ისევ საოპერაციო შეიქნა.

2006 წელს დიდად დაეხმარა შვედეთის ნაკრებს დევისის თასის ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად, ხოლო სეზონი 25 საუკეთესოს შორის ჩაამთავრა.

მომდევნო წელს სოდერლინგის და რაფაელ ნადალის გზები პირველად გადაიკვეთა. ეს „უიმბლდონის" 1/32 ფინალში მოხდა, რომელმაც ხუთი სეტი გასტანა და ესპანელის გამარჯვებით დასრულდა. სოდერლინგი ყველანაირად ცდილობდა ნადალის წონასწორობიდან გამოყვანას და მეტოქის პაროდირებაც არ ითაკილა — რამდენჯერმე დემონსტრატიულად ნადალივით გაისწორა ტრუსი.

მერე დაშავდა და სამი თვე გაუცდა.

შარშან როტერდამის და მემფისის ტურნირები მოიგო, წლევანდელ ავსტრალიის ღია პირველობაზე კი მე-16 ნომრად იყო განთესილი, მაგრამ განუთესავ მარკოს ბაღდატისთან დამარცხდა მეორე წრეში.

## ამიერიდან: საკუთარი სიამოვნებისთვის

**სადაც** სამართალია, როჯერ ფედერერმა მადლობა უნდა უთხრას რობინ სოდერლინგს, ვინაც რაფაელ ნადალი გამოთიშა შეჯიბრს. საქმე ის გახლავთ, რომ ფედერერი წინა სამი ფინალის მონაწილეა და სამჯერვე წააგო ესპანელთან.

ახლა კი, გამარჯვების მერე, როჯერ ფედერერი მეხუთე ჩოგბურთელი გახდა ისტორიაში, ვისაც ოთხივე სლემტურნირი მოგებული აქვს.

არადა, გასაოცარი ამბავია — ფედერერი უკვე დიდი ხანია ატარებს დიადის სახელს და „როლან გაროსი" კი ვერასდროს მოეგო.

ამ გამარჯვებით ფედერერი გაუთანაბრდა სხვა ლეგენდას, პიტ სამპრასს, ვისაც ასევე 14 დიდი სლემის ტურნირი აქვს მოგებული. და თუ გავითვალისწინებთ, რომ „უიმბლდონი" კარსაა მომდგარი, ეგებ ახალი რეკორდიც გამოცხვეს.

თავისი პირველი სლემტურნირი კი როჯერმა 10 წლის წინ მოიგო.

ამ ფინალს კი სკანდალიც ახლდა — შვეიცარიის დროშით შემოსილი ვილაც ქომაგი კორტზე ჩახტა და ფედერერთან ჩახუტება განიზრახა. მცდელობა სტიუარტებმა ალკვეთეს.



ფედერერმა თასი ანდრე აგასისგან ჩაიბარა, მილოცვა კი პიტ სამპრასისგანაც მიიღო, ვის რეკორდსაც, როგორც ვთქვით, დიდი დღე აღარ უნდა ეწეროს.

პრესკონფერენციაზე კი ფედერერმა თქვა: ახლა, როცა ყველაფერი მოგებული მაქვს, შემიძლია, საკუთარი სიამოვნებისთვის ვითამაშოო.

**ლუკა თალაქვაძე**

## ნადალი თითქმის უიმედოა



**დიდი** შანსია, რაფაელ ნადალმა „უიმბლდონი" გამოტოვოს. მიზეზი მუხლია, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელს ქრონიკულად აწუხებს და ახლა გაუმიზეზდა.

ეს უსიამოვნო ამბავი ნადალის ბიძამ და იმავდროულად მწვრთნელმა ტონი ნადალმა გამოაცხადა და თქვა, რომ რაფას ბარსელონელი ექიმები შეამოწმებენ და ვერდიქტს ორშაბათს ან სამშაბათს გამოიტანენ.

ტონი ნადალის ნალაპარაკევიდან იმ დასკვნის გამოტანაც შეიძლება, რომ პროგნოზი უფრო უიმედოა, ვიდრე ოპტიმისტური.

„როლან გაროსიდან" გავარდნის მერე ნადალმა უარი თქვა ლონდონში, უიმბლდონისწინა ტურნირში მონაწილეობაზე და ფიქრობენ, რომ გამოჯანმრთელებას ვერც 22 ივნისისთვის მოასწრებს, როცა წლის რიგით მესამე სლემტურნირი აიღებს სტარტს.

რობინ სოდერლინგთან დამარცხება კი ნადალისთვის პირველი იყო, რაც კი ის „როლან გაროსზე" თამაშობს. აქამდე ესპანელს მიჯრით ოთხჯერ ჰქონდა ეს ტურნირი მოგებული.

**24 მაისი — 7 ივნისი. საპარიზო 16 150 460 ევრო** **ქალების ბადე**

# ვისთვის ავდარი, რუსებისთვის დარია

## სიმართლის მარცვალი სერენას ნათქვამში




**შაბათს** პარიზის თავზე საავდრო ღრუბლები შეიკრიბა, ზაფხულის კვალობაზე საკმაოდ გრილოდა და ქარიც ქროდა, ფილიპ შატრიეს ცენტრალურ კორტზე კი წმინდა რუსული ფინალი გაიმართა.

ტურნირის მსვლელობისას სენსაციები არ დალეულა, თუმცაღა ფინალს, უფრო სწორად ფინალში გასულ დინარა საფინას და სვეტლანა კუზნეცოვას, მიმდინარე სეზონის შედეგთა მიხედვით, ნაღდად ერგებოდათ სლემტურნირის გადამწყვეტ მატჩში თამაში.

წლეულს, „როლან გაროსამდე" ჩატარებული სამი უდიდესი სათიხნარო ტურნირი სწორედ ამ რუსმა გოგოებმა მოიგეს და მათგან ორის ფინალშიც ისინი შეხვდნენ ერთმანეთს.

შტუტგარტის სუპერტურნირზე კუზნეცოვამ დაამარცხა საფინა. მერე რომში, საფინამ რევანში აუღო, ხოლო მადრიდულ ფინალში საფინამ დანიელ კაროლინ ვოზნიაცკის სძლია. საერთოდაც, საფინას წლეულს თიხნარზე ოდენ ერთი მარცხი ევემა, კუზნეცოვა კი უკვე იყო სლემტურნირის მომგები — 2004-ში ამერიკის ღია პირველობაზე იმარჯვა, სადაც ფინალში ასევე რუსი ელენა დემენტიევა დაამარცხა.

სხვათა შორის 2004 წლით თარიღდება სლემტურნირთა პირველი რუსული ფინალიც, როცა „როლან გაროსზე" ანასტასია მისკინამ დემენტიევა დაამარცხა.

ისიც ვთქვათ, რომ „როლან გაროსის" ფინალში მარცხის სიმწარე აქამდე საფინასაც და კუზნეცოვასაც ეგემათ. კუზნეცოვამ სამი წლის წინ წააგო ბრწყინვალე ჟუსტინ ენინთან, ხოლო საფინა შარშან დამარცხდა ანა ივანოვიჩთან.

ერთი საინტერესო ფაქტიც — 1993 წელს აქეთ რუსებმა WTA-ს ტურნირებში 100 გამარჯვება მოიპოვეს და ამ „როლან გაროსის" მოგება მათთვის 101-ე იყო. ამასთანავე აქამდე რუს ქალებს ათჯერ ეთამაშათ დიდი სლემის ტურნირთა ფინალებში და ეს ფინალი მეთერთმეტე გახლდათ.

ფინალი კუზნეცოვამ მოიგო და ამგვარად დინარა საფინა კვლავაც რჩება მსოფლიო რეიტინგის ისეთ პირველ ნომრად, რომელსაც არასდროს უმარჯვია არც ავსტრალიაში, არც „როლან გაროსზე", არც „უიმბლდონზე" და არც ამერიკის ღია პირველობაზე. ამიტომაც იყო, სერენა უილიამსმა ამასწინათ რომ დააყვედრა საფინას პირველნომრობა.

სერენას ნათქვამში, რა თქმა უნდა, არის სიმართლის მარცვალი, თუმცა წლევანდელ „როლან გაროსზე" უმცროსი უილიამსი საფინაზე ადრე დამარცხდა. ეს მეოთხედფინალში მოხდა და მისი მძლეველიც სვეტლანა კუზნეცოვა გახლდათ.

ურთულესი მატჩი იყო, რაკი კუზნეცოვამ ფეხი გადაიბრუნა ჯერ კიდევ პირველ სეტში. თუმცა ფეხმტკივანმაც შეძლო სერენას დამარცხება.

ფინალისთვის კუზნეცოვას ფეხი ბოლომდე მორჩენილი არც ჰქონდა, თუმცა ტკივილი დაივიწყა და ისე გავიდა სათამაშოდ. აი, საფინას კი ხუთშაბათს სურდო შეეყარა და სუნთქვა უჭირდა.

ფინალი იმით დაიწყო, რომ კუზნეცოვას ჩაწოდებაზე საფინა 40:0-ს იგებდა და მეორე ბრეიკით გეიმიც მოიგო. ამან კუზნეცოვა გააბრაზა და მომდევნო ორი გეიმი ისე მოიგო, რომ დინარასთვის ერთი ქულაც არ დაუნებებია.

შემდეგ მეტოქეებმა ორ-ორი გეიმი მოიგეს თავიანთ ჩაწოდებაზე და ანგარიში 4:3 გახდა კუზნეცოვას სასარგებლოდ.

მერვე გეიმში კუზნეცოვა 40:0 დაწინაურდა და მართალია, საფინამ ორი ბურთი ჩაუგდო, გეიმის გადარჩენა ვერ მოახერხა.

მეცხრე, სეტის მომგები გეიმი სვეტლანამ პირწმინდად დათმო და საქმე მეათე გეიმში მოათავა.

მეორე სეტი უფრო სწრაფად დამთავრდა, თუმცა მეხუთე გეიმში საფინას გარღატეხის კარგი შანსი მიეცა — მეტოქის ჩაწოდებაზე 30:0-ს იგებდა, საქმე კი ბოლომდე ვერ მიიყვანა. კუზნეცოვამ ის გეიმი სათავისოდ შეატრიალა და დარჩენილ გეიმებშიც ილად გაუსწორდა თანამემამულეს.

**ლუკა თალაკვაძე**



სვეტლანა კუზნეცოვა და დინარა საფინა



ჩემპიონს თასი შტეფი გრაფმა ჩააბარა

კალათბურთი

# თქვენ შეაჩერებთ ბრაიანტს?

## ფილ ჯეკსონი იწყებს და იგებს

**ფინალი**

I მატჩი

**ლეიკერსი 100: 75 ორლანდო**

22:24 31:19 29:15 18:17

**ლეიკერსი:** ფიშერი (9), ბრაიანტი (40 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), არიზა (3), გასოლი (16), ბაინუმი (9), ოდომი (11 ქულა, 14 მოხსნა), პაუელი (3)

**ორლანდო:** ალსტონი (6), ლი (7), თურქოღლუ (13), ლუისი (8), ჰოვარდი (12 ქულა, 15 მოხსნა), პიეტრუსი (14), ნელსონი (6), ბორტაატი (4), რედიკი (3), ბეტი (2)

**დღეს** გამთენიისას ნბა-ს ფინალის მეორე მატჩი ჩატარდა, პირველი კი „ლეიკერსმა“ 25 ქულით მოიგო და ამ გამარჯვებას პირველ რიგში კობი ბრაიანტის უბრწყინვალეს თამაშს უნდა უმადლოდეს.

ფინალში გამარჯვება, მოგეხსენებათ, ოთხ მოგებამდეა და ჯერჯერობით დასკვნების გამოტანა ნაადრევია.

მართალია, „ლეიკერსი“ ფავორიტიად ითვლება, მაგრამ ორლანდოელთა ლიდერი დუაიტ ჰოვარდი სწორედ ამას გვირჩევს — არ იჩქაროთო: „პირველ მატჩში დამარცხება სამწუხაროა, მაგრამ განსაკუთრებით მტკივნეულადაც არ უნდა აღვიქვათ. პირველი მატჩი — ეს მხოლოდ დასაწყისია და მდგომარეობის გამოსასწორებლად დრო საკმარისად გვაქვს.

პირველ მატჩში თავდაჯერებულობა გვაკლდა და რამდენჯერმე ბურთი გაუმართლებლად დავკარგეთ. ამასთანავე, კობი ბრაიანტის დაკეტვაც ვერ მოვახერხეთ, რომელმაც 40 ქულა ჩაგვიგდო. დარწმუნებული ვარ, მსგავს შეცდომებს აღარ დავუშვებთ.“

კობი ბრაიანტმა კი თქვა, პირველ მატჩში დიდებულად ვითამაშეთ, ოღონდ ფრთხილად უნდა ვიყოთ, თავში არ აგვივარდეს, თორემ დავისჯებითო.

კალიფორნიელთა მწვრთნელმა ფილ ჯეკსონმა გაამხილა, თამაშის წინ ბიჭებს ვუთხარი, არ მაინტერესებს, რამდენი ქულით მოვიგებთ, მაგრამ რომ უნდა მოვიგოთ, უეჭველია-მეთქი. ჰოდა, გავიდნენ და დიდებულადაც ითამაშეს. „ორლანდოდან“ განსაკუთრებულ ყურადღებას დუაიტ ჰოვარდს ვაქცევდით და მისი განეიტრალებაც მოვახერხეთ, მხოლოდ 12 ქულა ჩააგდო, რაც მისი დონის კალათბურთელისთვის ძალიან ცოტაა.

სხვათა შორის, ფილ ჯეკსონს არასოდეს წაუგია სერია, რომლის პირველი თამაშიც მოიგო. ასეთი შემთხვევები კი არა ერთი და ორი, არამედ 43 ჰქონდა („ლეიკერსში“ — 19, „ჩიკაგოში“ — 24). ასე რომ, სტატისტიკას თუ ვენდობით, „ლეიკერსის“ ფავორიტობა უფრო მყარდება.

პირველი მატჩი კი, რომელიც ლოს ანჯელესში გაიმართა, როგორც იტყვიან, გარდამავალი უპირატესობით დაიწყო. პირველ მეოთხედში დაწინაურებული გუნდი შვიდჯერ შეიცვალა და საბოლოოდ „ორლანდომ“ 2 ქულით იმარჯვა. სტუმართაგან ყველაზე გამორჩეული გახლდათ ჰიდაიეტ თურქოღლუ, ვინაც ამ მეოთხედში თავისიანებს 9 ქულით შეეწია.

მეორე მეოთხედში კი მოედანზე გავიდა ორლანდოელთა გამთამაშებელი ჯამირ ნელსონი, რომლის დაბრუნებასაც ამ გუნდის ქომაგები მთელი ოთხი თვე ელოდნენ, რაკილა მძიმე ტრავმის მერე მკურნალობდა. გავიდა და, ვერც შეატყობდით პრაქტიკის არქონას, ისე ითამაშა. ისიც ვთქვათ, რომ ნელსონის სიმაღლე მხოლოდ 183 სმ-ია.

თუმცა მეორე მეოთხედიდან მოყოლებული მოედანზე მხოლოდ „ლეიკერსი“ ჩანდა. პაუ გასოლმა, ენდრიუ ბაინუმმა და ლამარ ოდომმა ხელი არ გაანძრევინეს ნაქებ დუაიტ ჰოვარდს, საპირისპირო ფართან კი კობი ბრაიანტი გახლდათ შეუჩერებელი. „ორლანდოს“ არც საფირმო სამქულიანები გამოსდიოდა, რისი წყალობითაც დაამარცხა კონფერენციის ფინალში „კლივლენდი“. და არათუ სამქულიანები, საერთოდაც ვერ ისროდნენ — რეალიზაციის პროცენტი 30 ჰქონდათ, რაც სამარცხვინოდ ცოტაა.

კობი ბრაიანტმა კი კარიერაში მეათედ უწია 40-ქულიან ზღვარს პლეი ოფებში.

**ირაკლი ნინიძე**



კობი ბრაიანტი

რაგბი

# ორჯერ მესამე თითქმის ჰანოვერია

**ევროპის შვიდკაცა სერია**

ოდესა, უკრაინა. 6-7 ივნისი

**A ჯგუფი**

შვეიცარია 0:50 საქართველო
რუმინეთი 14:10 პოლონეთი
საქართველო 39:0 საბერძნეთი
რუმინეთი 47:0 შვეიცარია
პოლონეთი 31:7 საბერძნეთი
საქართველო 22:0 რუმინეთი
პოლონეთი 79:0 შვეიცარია
რუმინეთი 51:0 საბერძნეთი
საქართველო 36:0 პოლონეთი
საბერძნეთი 10:14 შვეიცარია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 4 | 4 | 0 | 0 | +147 | 12 |
| რუმინეთი | 4 | 3 | 0 | 1 | +80 | 10 |
| პოლონეთი | 4 | 2 | 0 | 2 | +63 | 8 |
| შვეიცარია | 4 | 1 | 0 | 3 | -172 | 6 |
| საბერძნეთი | 4 | 0 | 0 | 4 | -118 | 4 |

**B ჯგუფი**

ბულგარეთი 0:31 უკრაინა
რუსეთი 26:7 შვედეთი
უკრაინა 7:7 მოლდოვა
რუსეთი 46:0 ბულგარეთი
შვედეთი 19:28 მოლდოვა
უკრაინა 0:28 რუსეთი
შვედეთი 38:0 ბულგარეთი
რუსეთი 17:19 მოლდოვა
უკრაინა 7:7 შვედეთი
მოლდოვა 47:0 ბულგარეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოლდოვა | 4 | 3 | 1 | 0 | +58 | 11 |
| რუსეთი | 4 | 3 | 0 | 1 | +89 | 10 |
| უკრაინა | 4 | 1 | 2 | 1 | +5 | 8 |
| შვედეთი | 4 | 1 | 1 | 2 | +10 | 7 |
| ბულგარეთი | 4 | 0 | 0 | 4 | -162 | 4 |

**სანუგეშო ნახევარფინალი**

შვეიცარია 0:19 უკრაინა
პოლონეთი 24:12 შვედეთი

**ნახევარფინალი**

მოლდოვა 20:12 რუმინეთი
საქართველო 0:17 რუსეთი

**მე-9 ადგილისთვის**

ბულგარეთი 26:21 საბერძნეთი

**მე-7 ადგილისთვის**

შვედეთი 41:0 შვეიცარია

**მე-5 ადგილისთვის**

პოლონეთი 12:17 უკრაინა

**მე-3 ადგილისთვის**

საქართველო 24:0 რუმინეთი

**ფინალი**

რუსეთი 50:14 მოლდოვა



**ამგვარად**, საქართველოს შვიდკაცა მორაგბეთა ნაკრებმა ევროპული სერიის ორ ეტაპზე ითამაშა და ახლა დარჩენილი ორი ეტაპის დასრულებას ელოდება, რის მერეც გაირკვევა, მოხვდება თუ არა საქართველო თერთმეტ საუკეთესო ნაკრებს შორის, რომლებიც, გერმანიასთან ერთად, ჰანოვერში ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ.

ისევე როგორც, პირველ, სოპოტურ ეტაპზე, ჩვენმა ნაკრებმა ამჯერადაც მესამე ადგილი დაიკავა და საერთო ჩათვლაში 28 ქულა მოაგროვა, რაც წესითა და რიგით, სავსებით საკმარისი უნდა იყოს ჰანოვერში გსამგზავრებლად.

სოპოტისგან განსხვავებით, ოდესაში ქართველებმა ჯგუფში პირველი ადგილი აიღეს, თან ისე, რომ მეტოქეებს ერთხელაც არ დაადებინა ბურთი თავის ჩათვლის მოედანში.

აი, ნახევარფინალში კი ქართველები ეტაპის მომავალ გამარჯვებულ რუსეთთან დამარცხდნენ, რის მერეც მესამე ადგილისთვის მატჩში რუმინელები დაამარცხეს.

ოთხი ეტაპის მერე საერთო ჩათვლა ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 18 | 18 | 36 |
| საქართველო | 14 | 14 | 28 |
| რუმინეთი | 16 | 12 | 28 |
| პოლონეთი | 16 | 8 | 24 |
| კვიპროსი | 12 | 8 | 20 |
| პორტუგალია | 18 | - | 18 |
| შვედეთი | 12 | 6 | 18 |
| რუსეთი | 18 | - | 18 |
| მოლდოვა | 16 | - | 16 |
| იტალია | 16 | - | 16 |
| ესპანეთი | 14 | - | 14 |
| გერმანია | 14 | - | 14 |
| ხორვატია | 12 | - | 12 |
| ბოსნია | 6 | 6 | 12 |
| დანია | 10 | - | 10 |
| ბელგია | 10 | - | 10 |
| უკრაინა | 10 | - | 10 |
| სერბეთი | 10 | 0 | 10 |
| ჩეხეთი | 8 | - | 8 |
| მონაკო | 8 | - | 8 |
| ლატვია | 6 | - | 6 |
| შვეიცარია | 2 | 4 | 6 |
| საბერძნეთი | 4 | 0 | 4 |
| უნგრეთი | 0 | 4 | 4 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 4 |
| ბულგარეთი | 2 | 2 | 4 |
| ნორვეგია | 2 | - | 2 |
| ჰოლანდია | - | - | - |
| ლიტვა | - | - | - |
| აზერბაიჯანი | - | - | - |

## ჩერჩილის თასის ურიგო დასაწყისი

**ამერიკაში** „ჩერჩილის თასზე“ მიწვეულმა საქართველოს ნაკრებმა სტარტი ძალიან ცუდად აიღო. პირველ მატჩში ჩვენი ეროვნული ნაკრები კანადასთან დამარცხდა 10:42.

ქართველთაგან ლელო შეცვლაზე შესულმა დავით დადუნაშვილმა გაიტანა, გარდასახვა მერაბ კვირიკაშვილმა გაიტანა და მანვე ერთი ჯარიმაც ზუსტად შეასრულა.

გუშინდელ მეორე მატჩში ინგლისის A ნაკრებმა არგენტინის A ნაკრები 28:20 დაამარცხა.

ჩვენი მომდევნო მეტოქე ირლანდიის A ნაკრები იქნება, თამაში კი 14 ივნისს ჩატარდება.

კანადასთან ქართველებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

კვირიკაშვილი, თოდუა, კაჭარავა, გიგაური, გუგავა, მალაღურაძე, როხვაძე, პეტრიაშვილი, ნატრიაშვილი, ფლენტი, დათუნაშვილი, ურუშაძე, ლაბაძე, გუნდიშვილი, ბასილაია. შეცვლაზე შევიდნენ: ელიზბარაშვილი, დადუნაშვილი, ბრეგვაძე, კაკოვინი, უვაკა, მაისურაძე.

ამ მარცხის გამო საქართველოს რეიტინგში დაქვეითებაც ელის.

**ირაკლი ნინიძე**

ჩოგბურთი



მანანა შაფაქიძე



მაკა ჩახნაშვილი

# ქართველებმა ფინალი მოიგეს და წააგეს

**წინა** კვირა კარგი გამოდგა ქართველი ჩოგბურთელებისთვის, რომელთაგანაც წარმატებებით განებივრებულები არ ვართ.

თელ ავივში 10-ათასიან ტურნირზე ჩვენი მანანა შაფაქიძე მე-6 ნომრად იყო განთესილი, მაგრამ გზად ხუთი მეტოქე მიჩონგა და ჩემპიონიც გახდა. მანანამ ფინალში ბელგიელი სოფი კორნერო დაამარცხა — 6:2 1:6 7:5.

მაკა ჩახნაშვილმა იტალიურ გალატინაში 25-ათიასიან ტურნირზე ითამაშა და ფინალშიც გააღწია, თუმცა გადამწყვეტ მატჩში ესპანელ ევა ფერნანდეს-ბრუგუესთან დამარცხდა — 6:3 3:6 2:6.

ამავე ტურნირზე მეოთხედფინალში დამარცხდა ანა ტატიშვილი, რომელმაც კოლუმბიელ კასტანოსთან წააგო და ნახევარფინალში ეს კოლუმბიელი გოგო სწორედ ჩახნაშვილმა დაამარცხა.

მაკამ და ანამ ამ ტურნირზე წყვილებშიც სცადეს ბედი, მაგრამ პირველივე წრიდან გამოეთიშნენ შეჯიბრს.

უფრო ადრეულ ეტაპებზე გამოეთიშნენ სხვა ქართველები, რომლებიც უზბეკურ ბუხარაში 25-ათასიან ტურნირზე იყვნენ მიწვეულები.

აქ პირველი სოფო შაფათავა დამარცხდა, რომელსაც მესამე რეიტინგი ჰქონდა, მაგრამ პირველი წრეში დახარა ჩოგანი.

ოქსანა კალაშნიკოვამ, ეკატერინე გორგოძემ და სოფო ქვაცაბაიამ კი პირველი წრე წარმატებით გაიარეს.

ქვაცაბაია მეორე წრეში გამოეთიშა ტურნირს და მისმა მძლეველმა ავსტრიელმა ნიკოლა ჰოფმანოვამ მეოთხედფინალიდან კალაშნიკოვაც გააგდო. მეოთხედფინალშივე დამარცხდა გორგოძეც.

ძიუდო

# რისი დამტკიცებაც საჭირო აღარ არის...

**წინა** კვირაში მოსკოვმა ძიუდოში ფრიად პრესტიჟულ ტურნირს უმასპინძლა, რომლის საპრიზო ფონდიც 150 თასი დოლარი გახლდათ.

ქართველთაგან ამ ტურნირზე დავით ქევხიშვილმა (81 კგ) და გრიგოლ მამრიკიშვილმა (90 კგ) იჭიდავეს და ვერაფერს გახდნენ. ორივე პირველ წრეში დამარცხდა იპონით. მამრიკიშვილი — უნგრელ ტომაშ მადარაშთან, ხოლო ქევხიშვილი — ბელარუს ალექსანდრ სტიაშენკასთან.

მთავარი კი სხვა რამ არის — საქართველოს ნაკრები, მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელიც აგვისტოში ჰოლანდიაში გაიმართება. ნაკრების მთავარ მწვრთნელ შოთა ხაბარელს სპორტსმენები შეკრებაზე ჰყავს და, როგორც ირკვევა, მამრიკიშვილის და ქევხიშვილის მოსკოვური ვოიაჟი მასთან შეთანხმებული სულაც არ ყოფილა.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რასაც, კაცმა რომ თქვას, დამტკიცება აღარც სჭირდება — ქართულ ძიუდოში სრული განუკითხაობა სუფევს და ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც სირაქლემას პოზაში ყოფნას ამჯობინებს, საქართველოს ძიუდოს ფედერაციაა.

**ირაკლი ნინიძე**



დავით ქევხიშვილი

ჭიდაობა

# ბალავაძის და კარტოზიას მემორიალი: ჩვენები და ძალიან ცოტაც სხვები

**ბერძნულ-რომაული**

55 კგ.
1 გოდერძი დავითაძე (საქართველო)
2 ზურაბ კეკელიძე (საქართველო)
3 გიორგი გვენეტაძე (საქართველო)
3 ლაშა გოგიტაძე (საქართველო)

60 კგ.
1 რევაზ ლაშხი (საქართველო)
2 კარმან მამედოვი (საქართველო)
3 ზვიად ოქრაძე (საქართველო)
3 არმენ ანტონიანი (სომხეთი)

66 კგ.
1 მანუჩარ ცხადაია (საქართველო)
2 ვახრამ ხაჩატურიანი (სომხეთი)
3 ანტონ მამაგეიშვილი (საქართველო)
3 ტარიელ ებრალიძე (საქართველო)

74 კგ.
1 გენადი გოგიშვილი (საქართველო)
2 ვარშან ბორანიანი (სომხეთი)
3 მუხრან მაჭუტაძე (საქართველო)
3 მამუკა ხიმშიაშვილი (საქართველო)

84 კგ.
1 ბადრი ხასაია (საქართველო)
2 არტურ შანინიანი (სომხეთი)
3 გიორგი ცირეკიძე (საქართველო)
3 დავით ქარჩავა (საქართველო)

96 კგ.
1 სოსო ჯაბიძე (საქართველო)
2 არმენ გეგამიანი (საქართველო)
3 ალექსანდრე ბურდილაძე (საქართველო)
3 გენადი ხელაია (საქართველო)

120 კგ.
1 გურამ ფერსელიძე (საქართველო)
2 რევაზ ჭელიძე (საქართველო)
3 დიმიტრი ჯავახიშვილი (საქართველო)
3 რამინ შაქარაშვილი (საქართველო)

**თავისუფალი**

55 კგ.
1 ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (საქართველო)
2 ბეგამ ბაბახანიანი (სომხეთი)
3 მალხაზ მახარობლიძე (საქართველო)
3 გიორგი ედიშერაშვილი (საქართველო)

60 კგ.
1 მალხაზ ზარქუა (საქართველო)
2 გიორგი ბალუაშვილი (საქართველო)
3 მალხაზ ქურდიანი (საქართველო)
3 არტურ ბაღდასარიანი (სომხეთი)

66 კგ.
1 შალვა მუზიაშვილი (საქართველო)
2 კობა კაკალაძე (საქართველო)
3 დიდიე რეისი (საფრანგეთი)
3 ჯონი ჯინჭარაძე (საქართველო)

74 კგ.
1 გიორგი ჩიხლაძე (უკრაინა)
2 გოჩა ლომთათიძე (საქართველო)
3 გიორგი მარსაგიშვილი (საქართველო)
3 ლუკას ლამპისი (საფრანგეთი)

84 კგ.
1 ტარას დანკო (უკრაინა)
2 ნიკოლოზ გაგნიძე (საქართველო)
3 ლაშა ქეთიშვილი (საქართველო)
3 თორნიკე სვანიძე (საქართველო)

96 კგ.
1 დაჩი ქერაშვილი (საქართველო)
2 თორნიკე ხიდაშელი (საქართველო)
3 ზაზა თურმანიძე (საქართველო)
3 რაკეშ კუმარი (სომხეთი)

120 კგ.
1 ლევან ბერიანიძე (საქართველო)
2 გიორგი ნიკურაძე (საქართველო)
3 ლაზარე მარსაგიშვილი (საქართველო)
3 კობა კერესელიძე (საქართველო)

**საფრანგეთი**, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ინდოეთი — აი, ამ ქვეყნებმა გამოუშვეს თავიანთი ფალავნები თბილისში, გივი კარტოზიას და ვახტანგ ბალავაძის მემორიალზე, რომელიც ერთწლიანი შესვენების მერე კვლავ გაიმართა.

ნახსენებმა ქვეყნებმა ფალავნები კი გამოუშვეს, მაგრამ ტურნირის შედეგებს რომ გადახედავთ, მათი ყოფნა ტურნირს დიდად არც დატყობია. ქართველები უპირობო ფავორიტები იყვნენ, და ეს იმის მიუხედავად, რომ ჩვენი ნაკრები გვარიანად სახეცვლილი შემადგენლობით იყო წარმოდგენილი.



# იტალიელი გვარდიოლა



**42 წლის** ჩირო ფერარა „იუვენტუსის“ მწვრთნელია — კონტრაქტი 2011 წლამდე გააფორმა.

იტალიის ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე მოხსნილი კლაუდიო რანიერის ნაცვლად ფერარა დროებით დანიშნეს, მაგრამ ჩანს, მოეწონათ და აი, ორწლიანი კონტრაქტიც.

მის ხელში „იუვემ“ „სიენას“ და „ლაციოს“ მოუგო, რითაც ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა.

კლუბის შეფებმა ახალი მწვრთნელის ძებნა აღარ დაიწყეს და გუნდი ყოფილ იუვენტუსელს ანდეს.

ნეაპოლში დაბადებულმა კარიერა „ნაპოლიში“ (1985-94) და „იუვენტუსში“ (1994-2005) გაატარა, სადაც გადასვლიდან მცირე ხანში კაპიტნის სამკლავური მოირგო.

ამ ხნის განმავლობაში ფერარამ აურაცხელი ჯილდო მოიგო:

შვიდჯერ სკუდეტო (ორჯერ „ნაპოლიში“ და ხუთჯერ „იუვეში“), ორჯერ იტალიის თასი (ორივე გუნდში თითო-თითო), სამჯერ იტალიის სუპერთასი (ორი „იუვეში“, ერთი „ნაპოლიში“), თითოჯერ კი ჩემპიონთა თასი, უეფას თასი, საკონტინენტთაშორისო და ევროპის სუპერთასები.

„სკუადრა აძურაში“ 49 მატჩი ითამაშა.

ჩირო ფერარა 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონი იტალიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბში იყო. ჩემპიონატის მერე კი „იუვეს“ აკადემია ჩააბარეს.

შარშან ივლისში კი უეფას მწვრთნელის ლიცენზია მიიღო.

„ფერარა იტალიელი გვარდიოლა გახდება“ — თქვა ნიკოლა რეგლოტალიემ — „ბარსას“ მაგალითით ვნახეთ, რომ ახალგაზრდა მწვრთნელზე, რომელიც კარგად იცნობს კლუბს, ფსონის დადება ღირს“.

# ბალოტელის ბანანები



**ბარში** მჯდომ მარიო ბალოტელის „რომას“ ფანებმა ბანანები ესროლეს და კანის ფერი შეუგინეს.

„ინტერის“ 18 წლის ფორვარდი რომში ჩავიდა ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე და ეს ამბავიც იქ მოხდა.

მწვრთნელმა პიერლუიჯი კაზირაგიმ ბიჭი მოთმინებისთვის შეაქო, რადგან ადრე რასისტების გამოხდომას ბალოტელიმ საჯარო ლანძღვითვე უპასუხა, რამაც აურზაური გამოიწვია.

განელი ემიგრანტების შვილი აპრილში „იუვენტუსთან“ მატჩისას ტურინული კლუბის ფანებმა გალანძღეს, რის გამოც „იუვეს“ ერთი საშინაო თამაშის უმაყურებლოდ გამართვა მიუსაჯეს.

# ამინდის პროგნოზი ფრანკ რიბერისგან



**ფრანკ** რიბერიმ ინგლისში გადასვლისგან თავი შორს დაიჭირა — იქაური კლიმატი არ მომწონსო.

ფრანგ ფეხბურთელზე „მანჩესტერი“, „ჩელსი“, „რეალი“ და „ბარსელონა“ ნადირობენ და შესაძლებელია, რომ ამ ზაფხულსვე წავიდეს „ბაიერნიდან“.

ალექს ფერგიუსონს რიბერი რონალდუს იდეალურ შემცვლელად მიაჩნია. პორტუგალიელი, ალბათ, „რეალში“ გადავა.

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ახალ „გალაქტიკოს“ აკეთებს და კაკა, რონალდუ და რიბერი თვითონ სჭირდება.

ფრანკ რიბერი კი ამბობს, რომ „ბაიერნში“ თავს კარგად გრძნობს, მაგრამ არ იცის რა მოხდება ამ ზაფხულს:

„მართლა არ ვიცი, რა იქნება და მე თვითონ საკუთარ თავს ყველაზე ხშირად ამას ვეკითხები.

ვნახოთ, როგორ აეწყობა საქმეები ზაფხულში, ისე კი „ბაიერნში“ ბედს არ ვუჩივი.

ინგლისში გადასვლა არ მინდა, რადგან თითქმის იგივე კლიმატია, რაც გერმანიაში“.

რიბერიმ „ბაიერნში“ ორი სეზონი გაატარა და 53 მატჩში 20 გოლი გაიტანა.

ოლივერ კანს მიაჩნია, რომ რიბერის საქმის გაწელვა კლუბს პრობლემებს მოუმატებს და ხეირს არ დააყრის:

„როცა ფეხბურთელის თავში „ბარსელონა“, „რეალი“ და სხვა დიდი კლუბები ტრიალებს მუდმივად, ის აფორიაქებულია და საქმეს ფრიადზე ვერ შეასრულებს. ამიტომ ვურჩევ „ბაიერნს“, რომ რიბერის ამბავი მალე მოაგვაროს“.

# ვიდიჩს ცოლი ბარსაში ყიდის



**„დეილი სტარის“** ცნობით, „ბარსელონამ“ „მანჩესტერს“ ნემანია ვიდიჩში 22 მილიონი ევრო შესთავაზა.

ბრიტანული ტაბლოიდი წერს, რომ სერბი ფეხბურთელის ცოლს მანჩესტერი გულზე არ ეხატება, კლიმატიც ნერვებს უშლის და გული სამხრეთისკენ მიუწევს.

ალექს ფერგიუსონმა სამი წლის წინ ვიდიჩი 7 მილიონ ევროდ იყიდა მოსკოვის „სპარტაკისგან“ და სერბი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მცველად იქცა პრემიერლიგაში.

ხოსეპ გვარდიოლას დაცვის გაძლიერება სურს და „მანჩესტერს“ ამიტომ მიადგა.

ვიდიჩით, რომელმაც პრემიერლიგაში 100-ზე მეტი მატჩი ითამაშა, „მილანიც“ დაინტერესებულია.

# რაიკარდის სარაი



**ერთწლიანი** უქმობის შემდეგ ფრანკ რაიკარდმა სამუშაო სტამბოლში ნახა — „გალათასარაისთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ჰოლანდიელმა ბიულენტ ქორქმაზი შეცვალა, რომელიც 2 ივნისს წავიდა.

თურქ მწვრთნელს 23 თებერვალს მოხსნილი მიხაელ სკიბეს ადგილი ეკავა.

ქორქმაზმა იმდენი მოახერხა, რომ ცხრილის შუაში ჩაკარგული „გალა“ მეხუთე ადგილზე გაიყვანა და ევროპის ლიგის საგზური მოაპოვებინა, მაგრამ კლუბის შეფები მაინც უკმაყოფილონი დარჩნენ.

ფრანკ რაიკარდი შარშან გაუშვეს „ბარსელონადან“, რომელსაც ჩემპიონთა თასი (2006) და ორჯერ პრიმერა მოაგებინა, მაგრამ 2007-ში და 2008-ში უტიტულოდ დასრულა სეზონი.

„გალათასარაი“ რაიკარდისთვის მესამე კლუბი იქნება. „ბარსელონამდე“ იგი როტერდამის „სპარტაში“ მუშაობდა, მანამდე კი ჰოლანდიის ნაკრებს წვრთნიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათობით

გამომცემელი: ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი: გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი: გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე: კახა შალამბერიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge


სარეკლამო სამსახური: 93 16 08, 899 945 975